ბერდია ნანოგაშვილი

ქართული ანდაზები ახალი რაკურსით

თბილისი 1998 წ.

დროზე მოსწრებული სიტყვა
ბასრ ხმალზე უკეთესია.
ჩემი ნიგნიც მას ეძღვნება,
რაც მითქვამს, რაც მითესია.

ანდაზების სამყაროში ენა დამიჩლუნგდაო,
ხალხის სიბრძნეს შევეჭიდე, სიტყვა გამიხუნდაო,
გაინურა სათქმელი, როგორც თოვლის გუნდაო;
შეიძლება ისე ვერ ვთქვი, რასაც როგორ უნდაო...

ბერდია ნანობაშვილი

ავტორისაგან

ამ წიგნში თავი მოვუყარე იმ ძველ ქართულ ანდაზებს, რომლებიც სხვადასხვა დროს დასტამბულია პეტრე უმიკაშვილის, თედო სახოკიას, ვანო ხორნაულის, ალექსანდრე სიგუას და სხვა შემდგენელთა მიერ. ენამჭევრი ქართველი დღესაც მოხდენილად იყენებს ანდაზებს, რაც უფრო მხატვრულს ხდის და ამდიდრებს საუბარს.

ქართული ანდაზების გვერდით მე შევქმენი ახალი ანდაზების სერია, რომელთა რაოდენობა 1895-ს შეადგენს. ისინი შეძლებისამებრ მივუსადაგე ძველებს და ცხოვრების ახალ ასპექტში ახლებურად ავაჟღერე, თანაც ზოგიერთი მათგანი ოდნავი იუმორით შევალამაზე. მიზნად დავისახე, ჩემეული ანდაზებით ცხოვრება დამენახა ახალი რაკურსით, მთელი სიგრძე-სიგანით გამეზომა მისი ავკარგიანობა და გარკვეული აზრი გამომეთქვა. უკეთ რომ ვთქვათ, ჩემს მიერ გამოგონილი ანდაზები წარმოადგენს თანამედროვე ადამიანის ყოფის, ქცევისა და ზნეობის გარკვეულ კომპლექსს, ჩემს პირად მრწამსს, ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენის, ან ადამიანის ხასიათისა და თვისებების შესახებ.

ანდაზების კრებულის სტრუქტურა ასეთია: პირველ სტრიქონზე მოთავსებულია ნამდვილი ანდაზა, მეორე და ზოგჯერ მესამე სტრიქონზე — ჩემეული ანდაზა, რომელიც განსხვავებული შრიფტითაა დაბეჭდილი.

პირველი ჯგუფი ანდაზებისა ლოგიკურ მთლიანობაშია ძველთან და მის გაგრძელებას წარმოადგენს, რაც უფრო ფართოდ განმარტავს ქართულ ანდაზას და, ასე თუ ისე, აღრმავებს მის შინაარსს.

ანდაზების მეორე ჯგუფი არსებულისაგან განსხვავებულია ფორმითა და შინაარსით, მაგრამ გარითმულია მასთან. ისინი, ცალკე აღებული, გადმოსცემს ჩემს შეხედულებებს ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენაზე, დარიგე-

ბებსა და შეგონებებს საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიმართ.

ანდაზების მესამე ჯგუფი სრულიად საპირისპიროა არსებულისა, მაგრამ ერითმება მას. ისიც, ცალკე აღებული, ერთგვარ სიბრძნეს გამოხატავს.

თუ რამდენად მივაღწიე მიზანს, განსასჯელად მკითხველისათვის მიმინდვია.

ამ წიგნის გამოქვეყნებაზე გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდი ახალგაზრდა ქართველ მამულიშვილს **სანდრო ლილუაშვილს.**

„კარგი ჭქმენი მოძმისათვის", –
ქართული სიბრძნე ამბობდა;
ასეთი სიკეთისათვის
მადლობა, დიდი მადლობა!..

ავტორი

რედაქტორი: **ბალავარ მესხი**
მხატვარი: **ანზორ ლომთაძე**

რეცენზენტი: თსუ ეთნოგრაფიის კათედრის
დოცენტი **ზურაბ კუტალეიშვილი**

ა

ააფრინე, ალალიო, რაც არ არი, არ არიო.
ქართულ ყურძენს მიემატა ფინიკი და ბანანიო.

აბაზის დამწუნებელსა ორი აბაზი მაინც უნდა გქონდესო.
ჩვენ გვინდა კაცი, რომელიც ბიზნესის საქმეს ფლობდესო.

აგაშენა ღმერთმა, ნაჯახმა და ხერხმაო.
გაიხაროს მუშამ, ოსტატმა და გლეხმაო.

აგორდება სარქველი—იპოვის ქოცოსაო.
მისდევს კაცი ხელადით, რომ ღვინოს აკოცოსაო.

აგორებულ ქვას ხავსი არ მოეკიდებაო.
შრომის მოყვარეს დაღლა არ მოეკიდებაო.

ადამიანის პანღური ვირის ნიხლზე უარესიაო.
დაუმსახურებელ წიხლებს უკანვე ესვრიანო.

ადამიანი ჯოჯოხეთსაც შეეჩვევაო.
თორემ სამოთხეს ვინ შეელევაო.

ადამიანი ღმერთსაც კი დაივიწყებს და ჭამა-სმას—ვერაო.
საჭმელ-სასმელის მქონე ღმერთსაც ივიწყებს ნელაო.

ადამიანი უენო საქონელზედაც ადვილად ირყვნებაო.
ახლა "სექსზე" და "ინტიმზე" ლაპარაკი სირცხვილად არ ითვლებაო.

ადე, ნახე ჭირიო, დაჯე, ნახე ლხინიო.
ზედმეტ სიტყვას ნუ იტყვი, დააჭირე კბილიო.

ადგილის ლობიოს ადგილის წყალი მოხარშავსო.
ჰუმანიტარული ლობიოს მოსახარშად სად ვიშოვოთ ამერიკული წყალი.

ადრე ამდგომსა ყმაწვილსა დედა უმზადებს სადილსო.
თვითონ "ყმაწვილი" ჯიბეში ხელჩაწყობილი დადისო.

ავადმყოფობა ბევრია, ჯანმრთელობა კი—ერთი.
ლოთობა ზარბაზანია, ხოლო თუთუნი—დენთი.

ავადმყოფი რომ მორჩება, ექიმი დაავიწყდებაო.
ურთიერთობა მათ შორის მორჩენის შემდეგ იცვლებაო.

ავადმყოფის პატრონი ავადმყოფზე უარესიაო.
უფასო და ფასიანი სწავლა ორივე მაღალფასიანიაო.

ავაფურთხე ულვაშს მოხვდა, დავაფურთხე—წვერებსაო.
თუ ახალი შეიძინე, ნუ გადაყრი ძველებსაო.

ავ კაცს შორიდან შემოუარეო.
თუ იმ ხერხმაც არ გაგიჭრა, წიხლით გადაუარეო.

ავ მოვალეს ნაცარი გამოართვი და თვალებში შეაყარეო.
თუ თვალები დახუჭა, ყურებში ჩააყარეო.

ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო.
მტრებისა კი მალხინებელიაო.

ავი არ მაკადრიანო, კარგი არ მაღირსიანო.
აბა, კარგისა მსურველი ცუდისა რა ღირსიაო?

ავი კაცი აქე და ერიდეო.
კარგიც აქე და მიენდეო.

ავი მაყარი ჭირსაცა სცდებოდა და ლხინსაცაო.
კაცი ზარმაცი, უსაქმო, ჩემიცა მძულს და სხვისაცაო.

ავი მეზობლისაგან ცეცხლიც ნუ გინდაო.
ავი მეზობელი კეთილს დავიდარაბას უქმნიდაო.

ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს, არც სხვას აჭმევსო.
უმეზობლო კაცი არც სხვისგან იღებს და არც სხვას აძლევსო.

ავი აღლი იყეფებს, იყეფებს, დაიღლება და დადგებაო.
თუ აქვს რამე გადასანსლავს, გაძღება და დაწვებაო.

ავი ცოლის ყოლას, ავი ძაღლის ყოლა სჯობიაო.
ცუდი ცოლის ყოლას, სულ არ გყავდეს — სჯობიაო.

ავიხედავ, ცას შევხედავ, დავიხედავ—მინასაო.
სხვის კოშკებს და სასახლეებს, შენი სჯობდეს ხისაცაო.

ავია თუ კარგიაო, ქალო, შენი ქმარიაო.
ვერავინ ვერ გამოგიცვლის, გინდა მისცე ქრთამიაო.

ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა-გულსა.
ლოთსა კაცსა არყის ბოთლი ურჩევნია თვის ცოლ-შვილსა.

ავალიანის სუფრაზე ასათიანი ცეკვავდაო.
ას ათი კაცის მონაგარს კი ერთი კაცი ცეხვავდაო.

ავჭალას ქორწილია, მცხეთას მაყრები მოდიანო.
ურუკოდ და უკომპასოდ უგზო-უკვლოდ დადიანო.

აზნაურის სტუმრობაო, ნუ გგონია ხუმრობაო
დრო და ჟამი შეიცვალა, მოილია ხურმობაო.

აზნაურის მოკითხული სუფრაზე არ დაიდებაო.
წყევლა-კრულვით მოკითხული ჯიბეში არ ჩაიდებაო.

აზნაური მჭადს არა სჭამს, მოშივდება-ჭირსაც მომჭამსო.
ლანძღვა-გინებას უგზავნის უყველოდ მჭადის მომტანსო.

ათას სიკეთეს ერთი წყენა ჰკარგავსო.
ცხოვრების ჩარჩოს სიკეთე ჰქარგავსო.

ათიათასჯერ არაფერი მაინც არაფერიაო.
აგიხდება ყველაფერი, რაც შუბლზე გაწერიაო.

აკიდებულ აქლემს საცერი დაადგეს და ჩაიზნიქაო.
მისი ზურგი და ხერხემალი მთლად დაიბრიცაო.

აკიდებულსა ვირსაო ყველანი წაკვრენ წიხლსაო.
მისი ტვირთის გაყოფაში ყველა ჩაიდებს წილსაო.

ალალი მეწველი ძროხა არ გასუქდებაო.
ასეთ ძროხას სიმსუქნე არც უხდებაო.

ალვის ხე, ცამდე ასული, ჭინჭველას წაუქცევიაო.
მაჭანკლის ნაქებ ასულსა ოჯახი დაუქცევიაო.

ალილო და ხვალეო.
დღეს ნაშოვნი ფულები დღესვე დაითვალეო.

ალხანას თავისი ჩალხანა უნდაო.
ჩალხანას კიდევ — თავისი ალხანაო.

ალხანას ჩალხანა არ დაელევაო.
ზოგს რქაწითელი კი არა, წყალიც არ დაელევაო.

ალიას დარდი ფლავიაო.
მეთევზისა კი — ნავიაო.

ამაყმა კაცმა ბოროტმა გული ხანჯალზე ააგო.
ზოგმა უღირსმა ცოლ-შვილი კარტში, ყომარში წააგო.

ამვლელსაც აჭამე, ჩამვლელსაც აჭამე და შინაც მოიტანეო.
ასეთი გაყოფა თანამედროვე კომპიუტერსაც გაუჭირდებაო.

ამირანი გულში მღეროდა, ყმებო, ბანი მითხარითო.
იღუღუნეთ მტრედებივით, კატასავით ნუ ჩხავითო.

ამისთანა სადილსაო მალე უნდა ვახშამიო.
თუ ვახშამიც არ გაჭამეს, მოიხურე თავშალიო.

ამდენ სიცილს ტირილის სუნი უდისო.
გულიანი გაცინება ერთი დღის სიცოცხლეს უდრისო.

ამქარი ამქარს იცნობსო.
ქრთამი კი — ყველაფერს იპყრობსო.

ამწევმა დაწევაც უნდა იცოდესო.
შემოქმედი შრომაში სანთელივით უნდა იწვოდესო.

ანის მთქმელმა ბანიც უნდა თქვასო.
ანუ უნდა დაეუფლოს ანა-ბანას ხმასო.

აპატიეს მელასაო, მოუმატა კბენასაო.
მოდგმიდანვე რაც კი აქვსო, ვერ ივიწყებს ჩვევასაო.

არა გიშავს რა, თუ არა გიჩანს რა.
თუ შარვალი შემოგაცვდა, მაშინ სხეულს გიცავს რა?

არა გყავდეს მოახლეო, თავი მოიმოახლეო.
თუ კი გყავდეს მოახლეო, პურის ლუკმაც უახლეო.

არა მწამს რა დიაცისა, არცა მოწმენდილი ცისა.
მწამს ყმანვილის ტირილისა და იმისი სიანცისა.

არა მკითხე მოამბეო, მიტყიპე და მიაგდეო.
თუ ენას არ გააჩერებს, ასე ეგდოს დილამდეო.

არა მწამს ქინძი ქონდრადა და მწვანე კიტრი გოგრადა.
უსწავლელი და ნასწავლი, — ყველა გადიქცა ნოქრადა.

არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი.
სურვილი რომ შეისრულოს, უნდა ჰქონდეს გვარი სხვისი.

არ გინდოდა ქალაქიო, მოდი, ზილე ტალახიო.
ხუთი ლარი გამონახე, თუ დაგჭირდეს დალაქიო.

"არ ვიცის" დედა იცინის, "ვიცის" დედა კი ტირისო.
განა სიცილი არა სჯობს "ვაი-ვიშსა" და ტირილსო!?..

არმად ნაშოვნი არმად წავაო.
ხშირად პატიოსნად ნაშრომიც არმად წავაო..

"არმინდამა" ცხრა ხინკალი შეჭამაო.
ხოლო მეათე ხინკალი ღორის მწვადით შეცვალაო.

"არ მინდასი" გეშინოდესო.
მისი გაძღომა გეძვიროდესო.

არნადი და ფიწალიო, შენ ველარას ისწავლიო.
დაუბრუნდი სოფელს ისევ, სწავლის შემდეგ იქ წადიო.

არცა ვქნა და არცა ვთქვაო.
ჯერ უნდა ქნა, მერე თქვაო.

არც ატკენს და არც არჩენსო.
ასეთ წამალს თუ იშოვი, დაიწყევლი შენ გამჩენსო.

"არ ქონა" ქვაზე მაგარიაო.
ქონება ქვაზეც მაგარიაო.

არ ვიცი ერთია, ვიცი ათასიო.
რატომ უნდა მივაკუთვნო, რაც არ არის დათასიო.

არც შენი შარი მინდა, არცა ხეირიო.
თუ წონაში მოგატყუეს, შენც აჩვენე სეირიო.

არც მწვადი დასწვა და არც შამფურიო.
არაზომიერი არც ზამთარი ვარგა და არც ზაფხულიო.

არცოდნა არცოდვაარ.
აბა, ცოდნა ცოდვაარ?!.

არც უწიგნოდ და არც მარტო წიგნითარ.
წიგნით ჭკუა მოიპოვე შენი მტრების ჯიბრითარ.

არც ღვინო და არც წყალიო.
არის წყლისა და შაქრის შენაჯვარიო.

არც ქარის შემოტანილი მინდა და არც გატანილიო.
ჭამის წინ ხელ-პირი უნდა გქონდეს დაბანილიო.

არწივისა ტოლი ვიყავ, ნახე, რას დავემსგავსეო.
ჭაბუკობას დავშორდი და ნახე, რას დავემსგავსეო.

ასი ერთადა, ერთი ასადარ.
ასი სვამდა და ერთი ასხამდარ.

ასი ურტყი დავითასა, მაინც იტყვის თავისასა.
რასაც ჰპოვებს, დღესვე შეჭამს, არ იფიქრებს ხვალისასა.

ასი წლის დედაბერი ბაღდადურსა სწავლობდარ.
არ გიკვირთ, რომ ტანგოსა და ლამბადას არ სწავლობდარ.

ასი წლის დედაბერმა იანვარში მარწყვი მოინდომარ.
მიუტანეს, მაგრამ გაყინული გამოდგა და დაიწუნარ.

ას კაცს ერთი ცხვარი უხარიარ.
ყველა თავისად თვლიდა და იმიტომარ.

ასკილი ყურძენს ვერ გამოიღებსო.
სამაგიეროდ ის სასარგებლო წვენს გამოსცემსო.

ასმა კაცმა ვერ შეჭამა, ერთი კაცის ლუკმა იყოო.
ახლა კი ასი კაცის ლუკმას ერთი კაცი მიირთმევსო.

ას შემომტანს ერთმა გამტანმა აჯობაო.
იგულისხმება საზღვარგარეთ ლითონების გატანაო.

ას ძმას ასი ცხვარი ბევრი ეგონაო.
რა თქმა უნდა, თუ კი ას ცხვარს ასი ბატკანი ეყოლაო.

ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო.
თორემ მთლიანს-გაუჭრელსა ველარ შესცვლის ნაჭერიო.

ასეა, ჩემო ტასია, მანეთიც კაი ფასია.
შენ საქონელი გაყიდე, თეთრიც კი კაი ფასია.

ასმა მიინია, ასი დაეტიაო.
ზოგჯერ ასი მიიწევს, მაგრამ ერთიც ვერ დაეტევაო.

აქაო და რბილიაო, აბა, ყლაპე, ნინიაო.
ხაშლამას და ჩაქაფულსა დააყოლე ღვინიაო.

აქაც გამაძღე და შინაც გამატანეო.
წესრიგს იცავ, თუ მძარცვავ? მიწამც დაგაყარეო!..

აქ იყავი, არა მნახე, შორით—"შენი ჭირიმეო".
ჩქარა ლამპა მომინათეთ, — სიბნელეში ვყვირი მეო.

აქლემს უთხრეს: კისერი მრუდე გაქვსო და—სხვა რა მაქვს სწორეო.
სამაგიეროდ ხასიათი—უწყინარი, სიარული—მდორეო.

აქლემი ახლო ძოვს და შორს ხედავსო.
წყალში ზოგი ახლოს ცურავს, ღრმად შესვლას ვერ ბედავსო.

აქლემის კუნტრუში აღმართში გამოჩნდებაო.
კაცის ხასიათი კი—როცა გამოთვრებაო.

აღებულმა ჭიქამ ამოღებული ხმალი შეაჩერაო.
ხოლო ალესილმა ხმალმა გაცოფებული დიაცი—ვერაო.

ალმართს დალმართი მოსდევსო.
მოსდევს, მოსდევს და ვერ ეწევაო.

აყვავდა ხილი, დაისხა თხილი, როგორიც დედა, ისეთი შვილი.
მაგრამ დედისგან განსხვავებული ხშირად გამოდის ის ვირიშვილი.

აწყინოს ქერმა ლურჯასაო.
პირს რომ მოკიდებს ბლუჯასაო.

ახალ ყოფას ახალი გზა უნდაო.
უსაქმოდ და უმოქმედოდ ხელ-ფეხი დაგვიდუნდაო.

ახალი ცოცხი კარგად გვის, ძველი მოატანს ქვიშასა.
მოასუფთავებს ეზოს და არ ტოვებს კვალს და ნიშანსა.

ახახულა ცაშიო, ქარი უქრის თავშიო.
ამისთანა ქარაფშუტა არ შეუშვა სახლშიო.

აფთარი ცოლის ნათქვამი—როგორც ნაკბენი გველისო.
თუ დროზე ხელს არ გავანძრევთ, გადაშენება გველისო.

ბ

ბადრიჯანს რომ ფრთები ესხას, მერცხალი იქნებაო.
მაგრამ მერცხალს რომ ფრთები არ ჰქონდეს, ბადრიჯანი გახდებაო?!.

ბავშვი დარდს შუაზე სჭრისო.
უბავშვობა კი—დარდს ორჯერ ზრდისო.

ბავშვი დაასაქმე და უკან დაედევნეო.
კარგად დაარიგე, ასწავლე და გახედნეო.

ბავშვი და ბებერი ერთნაირიაო.
ვერაფერი გამიგია, ყველაფერი ისე აირიაო.

ბავშვი მკათათვეში დამზრალაო.
მკათათვეში უსაქმოდ რომელი გლეხი დამჯდარაო.

ბავშვი სახლის ანგელოზიაო.
რომელი შვილი იტყვის დედაჩემი ბოზიაო?..

ბავშვის ენა დედამ იცისო.
ცხენმა კი — თავისი კვიცისო.

ბავშვი ტირილით, გოჭი ჭყივილითაო.
ბავშვს გააჩუმებ ჩურჩხელით, გოჭს კი რა ეშველებაო?

ბავშვსა ჰკითხეს, რათა ტირიო,—გამიდის და ვტირიო.
რომ გავჩუმდე, რას მომცემენ, გავიკერო პირიო?!.

ბავშვს რასაც დაპირდები, შეუსრულე კიდეცაო.
ამიტომ შეუძლებელს ნუ დაპირდებიო.

ბავშვს სამართებელი არ უნდა მისცე ხელშიო.
თორემ ხელსაც გაიჭრის და სხვასაც ატაკებს ყელშიო.

ბალი წვერში გამწარდებაო.
კაცს თავისი ბოროტება ბოლოში წამწარდებაო.

ბარი ბარსა, თოხი ტარსა.
ბევრსა ვწვალობთ, ვიძრობთ ტყავსა.

ბარში დაწყობილი საქმე მთაში არ გამოდგებაო.
ხელის შემშლელი რაიმე უეცრად გამოხტებაო.

ბარში რომ ჭკუა დაიკარგება, მთაში მოძებნიანო.
ჭკუა თუ დაიკარგა, ადვილად ვეღარ იპოვნიანო.

ბატკანი ერთი ბღაოდა, ძუძუ ყველასა სწყუროდა.
ორმოცდახუთი წლის ქალი საქმროდ ყველასა სწუნობდა.

ბატმა მწყერს მიჰბაძა და თავისიც დაავიწყდაო.
უცხო ენების სწავლითა ქართული დაგვავიწყდაო.

ბატონი ყმასა სწუნობდა, ყმა კიდევ მასთან ყმობასა.
უმიზნოდ ნუ გაატარებთ სიჭაბუკეს და ყრმობასა.

ბატონმა ყმას უბრძანა, ყმამ—მოსამსახურესაო.
მოსამსახურემ იფიქრა: ვუბრძანო, ნეტავ ვისაო?..

ბაღი—მებაღესაო, ჩექმა მენაღესაო.
პური—მეპურესაო, ფული—მეწარმესაო.

ბედი თუ გაბრუნდა, უკან აღარ დაბრუნდებაო.
მოსწრებულ სიტყვას და საქმეს გამოყენება უნდაო.

ბაყაყი ხალიჩაზე დააბრძანეს, ისკუპა და გუბეში ჩახტაო.
მენანება ხალიჩა, რომ საბაყაყედ გახდაო.

ბაწრით ხარიც დაებმის და თავიც ჩამოიხრჩობისო.
ახლადგაცნობილი კაცი ძნელად გამოიცნობისო.

ბებერი მოგონებით და ჯეელი მოლოდინითო.
სადილი შუადღისას და ხაში კი-მხოლოდ დილითო.

ბებერი ხარის გახედნას—დაკვლა სჯობიაო.
ასე ფიქრობდა გამხედნი, მეურმე ბიჭი გოგიაო.

ბებერმა კვერცხი თავქვეშ დაიდო, ეგებ აღდგომა მალე
გამითენდესო.
იქნებ თმები გამიშავდეს, გავლამაზდე და ტანიც
დამიმშვენდესო.

ბებიას გამომცხვარი პური ტკბილიაო.
მისი სიტყვა და გულიც თბილიაო.

ბედაურები დაიხოცნენ, ვირებს დარჩაო ქვეყანაო.
განგებამ ყველა არსება იმ ქვეყნად ერთად შეყარაო.

ბედაურებსა ჭედდნენ და ბაყაყმაც ფეხი აიშვირაო.
ბაყაყი ყალყზე დადგა და დირიჟორივით გაიჭიმაო.

ბედი მომეც და სანეხვეზე დამაგდეო.
ბედი რასაც გიკარნახებს, მასვე უნდა დანებდეო.

ბედის მორჩილი მონობაში მოკვდებაო.
ტანჯული მონად დარჩება და სულიც ამოხდებაო.

ბედი უნამუსო ქალია: ღარიბს ჩაგრავს, მდიდრის ეშხით მთვრალია.
მოკლედ რომ ვთქვათ, ყველაფერი ფულისადმი სიყვარულის ბრალია.

ბედი ხნავს და ბედი სთესავს, ბედი მოიყვანს ყანასა.
ჭამა-სმაც ბედზე ჰკიდია და ყოფნაც ამ ქვეყანასა.

ბედმა თქვა—წელიწადში ერთხელ ყველას კარზე შემოვჯდებიო.
ამიტომ კარებს უყურე, როცა ოთახში ჯდებიო.

ბედნიერს თმა ეზრდება და უბედურს—ფრჩხილიო.
ძვირია სამშობიარო—ვეღარ გამოჰყავთ ჩვილიო.

ბედნიერს ცოლი მოუკვდება, უბედურს—ცხენიო.
დღეს ცოლისაც და ცხენისაც დამარხვაა ძნელიო.

ბევრი ვეცადე შენთვისა, ძლივს მოვახერხე ჩემთვისა.
ვფიცავ, მართალს გეუბნები, გჯეროდეს მაღლით ღმერთისა!..

ბევრი "ხიმა" ხარს უკულმა წაიყვანსო.
ზომიერი დარიგება ყმას ჭკუაზე მოიყვანსო.

ბევრის მდომი ცოტასაც დაკარგავსო.
რაც კი მოუგროვებია, ერთ საათში დაფანტავსო.

ბევრის მცოდნე ბევრჯერ შეცდებაო.
კარგი საქმე ნელა კეთდებაო.

ბევრის მჭამელმა ცოტაც ვეღარ შეჭამაო.
სამარცხვინო პენსიით ლობიოც ვეღარ შეკაზმაო.

ბევრი უნახავს ნაბადსა წვიმა და ავი დარია.
მთლად გავიყინეთ ზამთარში, სიცივემ ხელი დაგვრია.

ბევრი შეშისა დამწველი მალ-მალე ტყეში გარბოდაო.
ტყის მცველსაც არ მოერიდა ნედლი ხეები დახოტრაო.

ბევრმა ბედვამ გაუბედაობა იცისო.
გაუბედაობა კი დაჩლუნგებაა ნიჭისო.

ბერდებოდეო—ბედს ელეოდეო.
კმაყოფილებით სულ მღეროდეო.

ბევრი ცემითა რკინაც მოტყდებაო.
წისქვილის ქვის ბრუნვით კი — სარეკელა მოცვდებაო.

ბერიკაცი ბერდებოდა, ცხენს უკულმა შეჯდებოდა.
ცხენი პატრონს ნებდებოდა და მაშინვე ჩერდებოდა.

ბებერი ხარისა რქანიც ენევიანო.
თუთუნს ახლა მოსწავლე გოგონებიც კი ეწევიანო.

ბერმა და მონაზონმა ჯოჯოხეთი აავსესო.
ჰოდა, ურწმუნო კაცი რომ მოხვდეს იქ, რაღა გასაკვირიაო?..

ბზე თუ სხვისია, საბძელი ხომ შენიაო.
რასაც ნახავ, სულ იპარავ, ნუთუ არა გრცხვენიაო?!.

ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო.
რატომ დაუშვეს სიმუხთლე, არ სწამდათ წმინდა იესო?!.

ბოძი რომ წაიქცევაო, სახლ-კარიც დაიქცევაო.
ქართველი მკვიდრი დევნილი ლტოლვილად გადიქცევაო.

ბრალი ქოთნის მუცლისა, თორემ ძირს, აბა, რა უჭირსო.
გირჩევთ მუცელს მოაკლოთ და მოძმეს ძირს ნუ უთხრითო.

ბრიყვი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა.
ჯერ თვითონ ივნებს, მერე კი — სხვასაც მოუტანს ვნებასა.

ბრიყვი ნათხოვარსაც კი გაათხოვებსო.
ამასობაში მოსამკელ ყანას დაათოვებსო.

ბრიყვმა სიძემ რაც ცოლეურისას ნახა, ყველაფერი თავისი ეგონაო.
ასეთი სიძე ბრიყვი კი არა სულმთლად უტვინო ყოფილაო.

ბრიყვს ასმენდნენ, გონიერი სწავლობდაო.
გონიერი ხარობდა და ბრიყვი კიდევ წვალობდაო.

ბრიყვს მასწავლებელი სძულდაო.
მასწავლებელს კი — ბრიყვი მოსწავლეო.

ბრმა საქონელს ბრმა მუშტარი არ დაელევაო.
მოჩხუბარსა და მოდავეს წყალიც არ დაელევაო.

ბრმა ვერა ხედავსო, მაგრამ საზრავსო.
გაისარჯე, კეთილი ქმენ, ნუ იქმ საძრახსო.

ბრმა თვალხილულს ატყუებდაო.
დღეს თვალსილულები გვატყუებენ ზომა-წონაშიო.

ბრმა კაჭკაჭის ბუდეს ღმერთი ააშენებსო.
ღმერთი ბუდესაც ააშენებს და ბარტყებსაც მოაშენებსო.

ბრმავ რასა ნატრობ და —ორსავ თვალსაო.
შემდეგ სავსე ჯიბეს და ფულის თვლასაო.

ბრმა ქათამს ასე ჰგონია, ყველგან ხორბალი ყრიაო.
მისთვის ხომ სულ ერთი არის ქერი, სიმინდი შვრიაო.

ბრმა ქორწილში გაუშვეს, კოჭლი—სანადიროდაო.
შებრუნებით რომ გაეშვათ, არც ის გამოვიდოდაო.

ბრმა ღობეს მიადგა: შენს იქით გზა არა მაქვსო.
მადლობას გეტყვი, როცა უფალი მთლად ამიხილებს თვალსო.

ბრმა ღორი რკოს მიადგაო.
და ღორულად მიაძღაო.

ბრმა ხარს სხვისი მოხნული თავისი ჰგონიაო.
მისი წელია ამჟამად, რწმენაც იმიტომ ჰქონიაო.

ბუზი ბევრი ბზუისო და ფუტკართან ყველა ტყუისო.
ფუტკარმა თქვა: ბევრს ვჯობივარ, ვინც ყეფს, ანდა ვინც ზმუისო.

ბუტიას კერძი გემრიელიაო.
შიგ ცხიმი ბლომად ერიაო.

ბნკენა-ბნკენითაო პატარძალი დაორსულდაო.
თუ ასეა, ჟორდანიას კლინიკა სულ არ დასჭირდებაო.

გ

გაგონილს ნანახი სჯობიაო.
ცუდსა დასთმობ, მაგრამ კარგი აბა, რა დასათმობიაო?!.

გადაბრუნდა დროებაო: ჩიტი ჭამდა მიმინოსა.
ისეთ მიმინოს რა ვუთხრა, რომ ჩიტის მსხვერპლი გახდესა.

გადადებული საქმე გადაგდებულიაო.
ადიდებული მდინარე გადარეულიაო.

გადავაბრუნე, გადმოვაბრუნე, ისევ იგივე დარჩა.
ახალი ფეხსაცმლისგან მხოლოდ ლანჩაღა დარჩა.

გადარეულისათვის ნიადაგ ლხინიაო.
მუდმივი "ვარხალალოც" კი მოსაწყენიაო.

გავბრიყვდი და შევჯექ ვირსა, იტლინკა და დამცა ძირსა.
სხვის საქმეში ნუ ჩაძვრები და ნუ ჩაყოფ შიგნით ცხვირსა.

გათხოვილი ქალი დედ-მამისას რომ მოვა, ფილთაქვაც კი იმალებაო.
გათხოვილი ქალი კარგი ქმრით ამაყობს და იბადრებაო.

გაიყარნენ ნაცარნი: რა გაიყონ, რაც არ არი.
როცა ზიხარ მაგიდასთან, იფიქრე, რომ სხვაც არი.

გალესილ ხმალს, შუბს და ხანჯალს სხჯობს თვალისა სიმახვილე.
გაგონილს და ამბად ნათქვამს სჯობს ნანახი-სინამდვილე.

გალია ყველა ერთია, ოქროსი იყოს, გინდ ხისა.
ყველი კი გუდის სჯობია—გინდ ძროხის და გინდა ცხვრისა.

გამარჯვების მსურველს მართებს საომარი სამზადისი.
პურმარილი ადვილია, ძნელი არის სამზადისი.

გამგები გაიგებსო.
მომგები მოიგებსო.

გამოსაშვები სისხლი უნდა გამოიშვასო.
მოღალატე ცოლი სახლში არ უნდა შეიშვასო.

გამოუდექ სიმართლესა, გამოგილევს სინათლესა.
მწვადები და ხაჭაპური მოგცემს მუხლის სიმაგრესა.

გამოუშვეს კამეჩები და შეაბეს ხარებიო.
ბევრი შრომით, ბევრი ჯაფით დაუცვითეს ნალებიო.

გამიშვი და გაგიშვებო.
თუ არა და "ჩაგიშვებო".

გამოცდილება საუკეთესო მასწავლებელიაო.
უხეირო შვილი მშობლის მაწვალებელიაო.

გამშველებელს ყველაზე მეტი მოხვდაო.
ყველაზე მეტად გალანძღეს, მართალი სიტყვა რომ თქვაო.

გამწყრალსა ლომსა აღარ ეამხანაგებისო.
ასევე გამწყრალი კაცი უფულოდ ვერ შეირიგებისო.

განა ბებერი ცხენი ქერს არა სჭამსო?!.
სჭამს, თუ კი არ აჭმევენ სხვასო.

განა ვერ იცან მამალი, თავს ხერხი, ბოლოს ნამგალი?
დეზებიანი, მაღალი, დედლების ეშხით დამთვრალი.

განა კაცი ეჩო არის, სულ თავისკენ მიითლიდეს?
მეგობრები დაივიწყოს, ფულებს მხოლოდ თვისად თვლიდეს?!.

განა ყველა კაციაო, ვისაც ფრაკი აცვიაო.
ახლა ქალებს კაცის მსგავსად ჯინს-შარვლები აცვიათო.

გაჟეჟილს გატეხილი სჯობიაო.
გატეხილს—გაბზარული, გაბზარულს—გაკაწრულიო.

გარეთ გასული კაცი გაქვავდებაო.
სხვის პურმარილზე გაშმაგდებაო.

გარეთ მხდალი, შინ-გულადი.
იყავ თბილი და პურადი.

გარეულმა შინაური გააგდოო.
უადგილო ნათქვამმა უხერხულობაში ჩააგდოო.

გარეულმა ქათამმა შინაური გააგდოო.
უსამართლო განაჩენმა ცხრაკლიტულში ჩააგდოო.

გასათხოვარი ქალებით სავსე ოჯახს მგლების ხროვა სჯობიაო.
ასეთ ოჯახს ბევრი კაცი შიშით ვერა ნდობიაო.

გატეხილი პური არ გამთელდებაო.
როგორც ყორანი არ გათეთრდებაო.

გაქცევა გამარჯვების ერთი ხერხიაო.
ბავშვის ცოდნის მიმცემი სკოლა და მერხიაო.

გაღმით გაედავე, გამოღმა შენ დაგრჩებაო.
და ჩონგურზე დაამღერე "გამოღმით მე ვარ, გაღმით შენო"

გაყიდა მამულიო, იყიდა ხრამულიო.
აი, ასეთ ვაიქართველს უყვარს განა მამულიო?!.

გაცემულ სიკეთეს ხალხი არ ივიწყებსო.
არც ბოროტებას და ცუდკაცობას ივიწყებსო.

გაძღომას ძროხაც მიხვდებაო.
ზოგმა გაძღომა არ იცის, რაც ქელეხებში ხდებაო.

გაწყდეს სადაც წვრილიაო.
ყველაფერი ძვირიაო, ხელფასი კი მცირეაო.

გაჭირვება აღმართში აგახტუნებსო.
სიცივე და შიმშილი გაჩენის დღეს დაგამდურებსო.

გაჭირვებამ დედოფალთან დამანვინაო.
ამისთანა,გაჭირვებაზე კაცი უარს არ იტყვისო.

გაჭირვება მიჩვენეო, გაქცევას გიჩვენებო.
ფინიშთან ჯერ არ მისულხარ, პირველობას იჩემებო?!.

გდიე და ვერ დაგეწიე, დავჯექი და დაგიცადეო.
უქმად ჯდომა და ლოდინით ბევრი რამ განვიცადეო.

გესმოდეს კარო-კედელო, ბანიდან მაყურებელო.
ველარ ესწრები სპექტაკლებს, თეატრის მაყურებელო.

გეშინოდეს იმისი, ვისაც შენი ეშინიაო.
ამიტომ ეცადე, რომ არავინ შეაშინოო.

გვარი გვარია., განა ჩვარია?..
მომადლებული ლუკმა შხამია.

გველის ნინილა გველად გაიზრდებაო.
გულის ფიცარზე დაწერილი ძნელად წაიშლებაო.

გველს რომ შვიდი ტყავი გააძრო, მაინც გველიაო.
შინ მოუსვლელო, სადა ხარ, ოჯახში ისევ გელიანო.

გველი გარედან არის ჭრელი, კაცი—შიგნიდანაო.
ამისთანა კაცი ცემით გარედან უნდა ააჭრელოო.

გველმა კანი გაიძრო, მაგრამ გული გველისა შერჩაო.
ყველაფერს დავემშვიდობეთ, თუ კი ღა რამე შეგვრჩაო.

გველმა კბენა არ იცოდა და კაცმა ასწავლაო.
კაცს კბენა გველზე ადრე უსწავლიაო.

გველსა ფეხი დააჭირე და გასრისე ფეხთა მტვერად.
არ გასრეს და უმალ გიკბენს და დაგგესლავს უეჭველად.

გვერდგამოხლართული ქმარი სჯობია ბედაურ ძმასაო.
მაგალითები უხვია, ამიტომ ვბედავ თქმასაო.

გზა კეთილისა კაცისა ნიადაგ გვქონდეს სავალად.
თორემ სამშობლო გაგვკიცხავს, არ გვეღირსება ხსნა მარად.

გზა რამ მოღალა და ბერიკაცმაო.
პირიქით უფრო სწორია, მართალი რომ თქვას კაცმაო.

გზა სიარულნა დალია, სიპი ქვა—წყალთა დენამა.
იხვი, ბატი და ქათამი,—ყველა შეჭამა მელამა.

გიჟს რაღა გაგიჟება უნდაო.
დავარდნილს რაღა დაბიჯება უნდაო.

გინდ აქ იყოს ტეტია, გინდ ნადირი ტყეშია.
უტვინო და უქნარა—მთლად ცოცხალი ლეშია.

გინდა მგელს შეუჭამია, გინდა მგლისფერ ძაღლსაო.
არცერთს არ უნდა დაზოგვა, ორივე სჩადის ავსაო.

გინდ გახიე, გინდ გაფხრინე,— ორივე ერთიაო.
ჩვენი მშველელი და გადამრჩენი მხოლოდ ღმერთიაო.

გინდა ზღვას დავუხრჩვივარ, გინდა ცვარსაო.
გინდა შინაურსა და გინდა სხვასაო.

გინდა მკვდარი და გინდა შინმოუსვლელიო.
გინდა ლოთი და გინდა ტალახში ამოსვრილიო.

გინდ რეგვენისთვის გისწავლებია, გინდ მკვდრისთვის
გინამლებიაო.
ორივეჯერ თავი უშედეგოდ გიწვალებიაო.

გინდა ქვა ქოთანს და გინდა ქოთანი ქვასაო.
ერთჯერ თქმა სჯობია ბევრჯერ თქმასაო.

გინდ შეწვი და გინდა მოხრაკეო.
უკეთესი იქნება: ერთი შეწვა, ერთი მოხრაკოო.

გიჟთან ნურც კარგად დაიჭერ საქმეს და ნურც ავადაო.
თორემ მასთან ერთობა ბოლოვდება შავადაო.

გიჟს ყოველი ჭკვაინი გიჟი ეჩვენებაო.
ამიტომ გიჟს თავის ენაზე უნდა ელაპარაკოო.

გიჟი ბამბაზედაც ფეხს მოიტეხსო.
ნაბორძიკდება და კისერს მოიგრეხსო.

გიჟი ზოგჯერ მართალსაც იტყვისო.
კარებს თუ გაუხსნი, შიგნით ილტვისო.

გიჟი ნურც მტრად გინდა, ნურც მეგობრადაო.
ნურც მოსამსახურედ, ნურც მეზობლადაო.

გიჟის მამული გიჟურად იხვნებაო.
გიჟის ამხანაგი ორჯერ გიჟი იქნებაო.

გიჟის სარჩოს ჭკვიანი ხმარობდაო.
არცა შრომობდა, არცა წვალობდაო.

გიჟი ქოორწილში წავიდა, ჩვენ სახლს აქა სჯობიაო.
სუფრა იყო უმაღლესი, აკლდა მხოლოდ მდოგვიაო.

გლახა თავმა ფეხები შეაწუხაო.
უხეშმა მძღოლმა მოსიარულეს ტალახი შეაწუწაო.

გლახა კაცის ნაფეხურში ფეხი არ ჩადგაო.
თორემ ძვირად დაგიჯდება მაგ ნაბიჯის დადგმაო.

გლახა მოყვარეს კაი მტერი სჯობიაო.
მოყვარე თუ მტრად გაგიხდა, შენი ბრალი, გოგიაო!..

გლახას თავისი სიგლახე ეყოფაო.
შეუმჩნევლად დაელევა დრო და ეპოქაო.

გლეხის გაჩენაში ღმერთი არა რეულაო.
მისებრ შრომით და წვალებით ბევრი დაბერებულაო.

გლეხკაცის ღმერთი გუთანიაო.
შრომა და დაღლა უხარიაო.

გლეხმა რა გაყიდა და პურიო, რა იყიდა და პურიო.
ახლა რა გაყიდა და —ხილიო, რა იყიდა და პურიო.

გლეხს მჭადის სახელი დაავიწყდაო.
მჭადისა კი არა, მალე თავისი სახელიც დაავიწყდებაო.

გლეხს ფული ჰქონდა და გასახვევი არაო.
ეს იმასა ჰგავს, რომ "მერსედესი" გყავდეს და სიგარეტს სხვასა სთხოვდეო.

გონიერი კაცი ქვეყანას ამშვენებს, უგუნური ქვეყანას ამძიმებსო.
ქვეყნის დამამშვენებელს აფასებენ და დამაქცევარს აგინებენო,

გონიერი მეტს მოითმენსო.
მოითმენს და ბევრს მოიგებსო.

გონიერსა ერთი უთხარ, უგუნურსა ათასიო.
ყველას თავის ადგილი აქვს, ყველას თავის სათავსიო.

გოშპარა წკავწკავებს, ახმაურებს ეზოსაო.
შიშისაგან გული უწუხთ ნოდარსა და რეზოსაო.

გრძელ გზას ბოლო აქვსო.
სადაც ბოლოა, იქვე დასაწყისიც აქვსო.

გული გაიჭრის სიტყვითა, ვითა ალმასის დანითა.
ვეღარ გამთელდის ვერაფრით, ვერც დროითა და ჟამითა.

გული გულს იცნობს და სული სულსაო.
ეს ნაცნობობა მოგიტანს სიამეს სრულსაო.

გული ყოველთვის იმღერებს, მაგრამ ჟამი არ უჯერისო.
მომღერალ გულს ჟამი მრავალჟამიერს უმღერისო.

გულკეთილობა კაცს ააშენებს, ბოროტება კი დააქცევსო.
პირველი ფეხზე აყენებს, მეორე კი — წააქცევსო.

გულმა გულს სიტყვა უთხრაო, ენამ ორივე გასცაო.
ენამ გამცემმა გულკეთილს გულში მახვილი ჩასცაო.

გულს დარდი და ყანას ღორღი არ გამოელევაო.
გულმხიარულს და უდარდელს ქვეყნად რა მოერევაო.

გულს მქონდა ხმალი გაჩრილი, ან შუბიც დამაძგერეო.
და მშობლიური კერიდან შორს სადღაც გამაძევეო.

გურულსა ჰკითხეს—საიქიო შორს არისო? —რა ვიცი მამაჩემი
ორმოცდაათი წელიწადია წასულია და ჯერაც არ
დაბრუნებულაო.
ორმოცდაათ წელს კიდევ დავუცდი და მერე გეტყვი პასუხსაო.

გცემ და არ გატირებო, არც გაჭმევ და ყბასაც მოგტეხავო.
დასჯის ასეთი ბარბაროსული მეთოდი ჯალათსაც არ ჰქონიაო.

დ

დაბალი ვერ შესწვდა, მაღალი არ მოდრკა, კოცნა დაიკარგაო.
დაბალმა ცოტა აიწია, მაღალმაც ცოტა ჩამოიწია და საქმეც
მოგვარდაო.

დაბმული ძაღლი უფრო ავიაო.
დაუბმელი რძალი კი უფრო შხამიაო.

დაბალ ღობეს ყველა გადათელავსო.
რითი გავცეთ პასუხი "ატსს" და "თელასსო".

დაბნეულ ფეტვის მარცვალს წიწილის მეტი ვერავინ აკრეფსო.
საჭმელებიდან წიწილა ფეტვს პირველობას აძლევსო.

დაგეშილი ჩიტი ბადეში არ მოხვდებაო.
მაგრამ დადგება დრო და ისიც მოკვდებაო.

დაგვიანებულმა უნდა იჩქაროსო.
წინწასულმა კი უნდა დაუცადოსო.

დაე, დამძრახონ და ნუ შემიბრალებენო.
შემბრალებელი არასოდეს დაგძრახავსო.

დავას ფულითა ყიდულობენო.
ახლა რაღას არ კისრულობენო!..

დავაყარე წისქვილსაო, გამოვედი სირცხვილსაო.
ფქვილიც სხვისი, მინდიც სხვისი, ჩამოვჯექი გზის პირსაო.

დავრდომილს წიხლი კი არა და— შველა უნდაო.
მერე რა, რომ სწორე გზაზე ფეხი გადაუბრუნდაო.

დავწვრილშვილდი—დავიწიე, მომეზარდნენ—ავიწიე.
ყველა თავის გზას დაადგა, — ნაყოფად ეს მოვიწიე.

დათვი ათასნაირად ხტუნავს, მაგრამ სულ პანტის ხეზეაო.
ქალის ყველა საქციელი მის ჯიშსა და ზნეზეაო.

დათვი დათვსა პატიჟებდა, სხვის ვენახში მიჰყავდაო.
პეტრეს პავლე თავის ნებით სხვის ქორწილში მიჰყავდაო.

დათვი რომ საძაღლე გახდა, იმისი საქმე წახდაო.
სადაც კი მივიდ-მოვიდა, ძაღლის სახელი დახვდაო.

დათვის ტყავი ბანჯგვლით ფასობსო.
კაცის თავი — ტვინითაო.

დათვმა საჭმელი იშოვნა, ტურებმა სიშღერა მორთესო.
წავიდეთ, დათთვთან მივიდეთ, იქნება რამე მორჩესო.

დათვმა მეტი სიყვარულით თავისი ბელი მოკლაო.
ზომაზე მეტად არც კოცნა, არც სიყვარული ვარგაო.

დათვს თავისივე ქონი აწუხებსო.
ხალხის უმრავლესობას კი—უქონლობაო.

დათვს თავისი მახრჩობელა პანტა უყვარდაო.
უფალმა ყველას თავის ჰობი უფარდაო.

დაი მოკვდა ძმისთვისაო და არა ძმა დისთვისაო.
ცხოვრებაში ასე ხდება, შეგახსენებთ მისთვისაო.

დაიჭირე ქარი მინდორშიო.
ქარს მინდორში კი არა, ცხრაკლიტულშიც ვერ დაიჭერო.

დაკარგული ძროხა ბევრ რძეს იწველიდაო.
წელიწადში მხოლოდ ერთჯერ იდევნიდაო.

დალხინებულს ჭირში მყოფი არ ებრალებაო.
გაჭირვებულს დალხინებული ხშირად ეჯავრებაო.

დამალული ეშმაკისაააო.
ისე უნდა დამალო, რომ ეშმაკმაც ვერ მიაგნოსო.

დამალულმა ჭირმა კაცი მოკლაო.
ჯერ გადახტი და მერე თქვი "ჰოპლაო".

დამჭკნარი ვარდი ჭინჭარს მაინც სჯობიაო.
ზამთრის სუსხი, ვარდის, ჭინჭრის, ერთნაირად მზრობიაო.

დანაშაულის სხვაზე დაბრალება ადამ და ევადან დაიწყოო.
სამოთხის ვაშლის სიტკბოთი პირველად ევა დაითროო.

დაპატიჟებულ სტუმარს დიდი გული აქვსო.
მითუმეტეს, თუ ჯიბეში ბევრი ფული აქვსო.

დარდს მოგცემ, დარდს დაგავიწყებო.
ასე იცის ცუდმა და კარგმა ცხოვრებამაო.

დავინახე ქადაო, ყელში გადაქანდაო.
თავის სამყოფი პენსია ერთ დღეს გამეფანტაო.

დაკარგულ ნუთებს წლებიც ვერ აანაზღაურებსო.
თუ თვითონ არ ვარგიხარ, გვარი ვერ გაგააზნაურებსო.

დაპირებაზე ნუ აჩქარდები, იფიქრე შესრულებაზეო.
ჯიუტ ცოლს ვერ გაატარებ შენს სრულ ნებაზეო.

დამწვარზე მდულარე გადაასხესო.
ღვინის მაგივრად ჩაი ასვესო.

დარნი დარობენ, ყმანიც მღერიანო.
კარგი მომღერალისაგან კარგ სიმღერას ელიანო.

დარუებული წყალი დენას არ დაიშლისო.
მაბეზღარაც ენის ტარტარს არ მოიშლისო.

დასაკლავ ხარს რაღა ლოდინი უნდაო.
არც ორმოცი წლის გასათხოვარ ქალსაო.

დაუპატიჟებელ სტუმარს ჰქვია აბუჩიო.
სუფრას თავში რომ ექცევი, შერცხვეს შენი ნამუსიო.

დაუდევარი მწყემსი მგელს ასუქებსო.
კვირაში ერთ ცხვარს მუქთად აჩუქებსო.

დაუჩვეველს ნუ დააჩვევ, დაჩვეულს ნუ მოაკლებო.
სმის დროს ჭიქას დააკელი, პირამდე ნუ გაავსებო.

დაღვრილ ერბოს ისე ვერ აკრეფ, რომ ცოტაც არ დარჩესო.
მისი ცხიმიანი კვალი იატაკს რომ არ აჩნდესო.

დაღერებულს დაკვრაც უნდაო.
მშვიდობიან კაცს მოჩხუბარი სძულდაო.

დაყვედრებული ვარდის ყნოსვას, ეკალს ვყნოსო—სჯობიაო.
ქვრივის დაყვედრებული მადლი გულის გასათბობიაო.

დახლიდან რომ ნემსი ამოიღო, მახათი უნდა ჩადოო.
ხოლო ფულის მოსაგებად ორმაგი უნდა დადოო.

დაჰკარ, შინაურსაო, გარეული სად წაგივაო.
მოღალატე შინაურის ბოღმა ყელში არ ჩაგივაო.

დედა რომ სწყევლის, ძუძუ ჯვარსა სწერსო.
ცოლ-ქმარი შესაფერისი, ფერი-ფერსა, მადლი ღმერთსო.

დედაბერმა იანვარში მარწყვი მოიკითხაო.
რომ დამპირდით, რად არ მოგაქვთ? დასვა ასე კითხვაო;

დედაკაცი ოჯახში შვილების დაზრდით ფასდებაო.
მის კისრეზე გადადის, ოჯახში თუ რამ ხდებაო.

დეიდას დედის სუნი უდისო.
ჩიტის ბარტყებს კი — მათივე ბუდისო.

დედაბერს უთქვამს: სასახლეში მომეწყინაო.
თუ ასეა, მაშინ გომში გადადი საცხოვრებლადო.

დილით ხაში, ზედ ლავაშიო.
ნიორი და მარილი დაავიწყდათ თავლაშიო.

დიდი მცირედიდან იწყებაო.
 სავსე მცირე ნახვრეტიდან იცლებაო.

დედაბერმა თქვა: იმდენი ვერ მოვიცალე, მოვკვდეო.
 რძალმა უპასუხა: ყველა საქმიდან განთავისუფლებ, ოღონდ ოცნება აისრულეო.

დედაბერს ყველა უყვარდა, ხოლო ის ყველას სძულდაო.
მოძულეს წყევლა და კრულვა უკანვე დაუბრუნდაო.

დედაკაცი და ეშმაკი—ორივე ერთიაო.
დედაკაცის დამბადებელს გაუწყრეს ღმერთიაო.

დედაკაცის შარი მოვარდნილი ღვარიაო.
მისი გატლეკილი ენა ნაღველივით მწარეაო.

დედაკაცი რომ კარგი იყოს, ღმერთსაც ცოლი ეყოლებოდაო.
ღმერთი სწორედ ამითი სჯის მამაკაცებსო.

დედაკაცს ქმარი სიკვდილის მერე მოენონებაო.
 როგორც ქმრის დროს, მზა პროდუქტები აღარ მიეწოდებაო.

დედა მოკვდა შვილისთვისა, შვილი—თავისთავისთვისა.
შვილმა დედის სიყვარული ძნელად გაითავისთვისა.

დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო.
შვილი "ჩაჯდა" ქურდობაზე, თუ არ გჯერა, წამო ნახეო.

დედინაცვალი, გერიო—ერთმანეთისა მტერიო.
ამ სამარცხვინო პენსიით ველარც ვჭამ, ველარც ვმღერიო.

დედინაცვალი—თვალში ნაცარი.
 ბევრი ვთქვი, მაგრამ ბევრი სხვაც არი.

დედის წინ მორბენალ კვიცს მგელი შეჭამსო.
 შვილსაც ეს ბედი ეწევა, თუ კი რამ ცუდსა ბედავსო.

დიაცი მიმავალი იკვეხის, მამაცი — მომავალიო.
დიაცს პატივი უნდა ვცეთ, — ესაა ჩვენი ვალიო.

დიდი აქლემის შესაყვანად დიდი ჭიშკარი უნდა გქონდესო.
კაცი საზოგადოებაში ქცევის წესებს უნდა ფლობდესო.

დიდ აღმართს დიდი დაღმართი მოსდევსო.
არ უღალატო საქმესა, გინდ წვიმდეს,გინდა თოვდესო.

დიდი და ახმახიო, პატარა და ჩახმახიო.
მეჯავრება უპირობა, ტყუილების რახრახიო.

დიდ გვალვას დიდი ავდარი მოსდევსო.
იმაზე მეტს ვერ მიიღებ, ბუნება რასაც მოგცემსო.

დიდი იალქნის დაბერვას დიდი ქარი უნდაო.
დიდი პურის გამოცხობას—დიდი ცომის გუნდაო.

დიდი ქვეყანა მოუწვავს ენასა მაბეზღარასა.
ასეთი ენის მოჭრისთვის არ დავიშურებ დანასა.

დიდი ჭირისა ნამალი ცოტა რამ არისო.
არა მწამს ქიცინა ძაღლის, არცა მჩხავანა კატისო.

დიდ კაცთან პატარა კაცსა როდის გასვლია მართალი.
ქართულ ანდაზას უსმინეთ, არ არის ჩემი ნათქვამი.

დიდ კაცსა დიდი სულგრძელობაც მართებსო.
ეს თვისება მას სახელს მატებსო.

დიდმა ჭამამ კაცი მოკლა, პატარამ—მოარჩინაო.
გრძელმა კაბამ პატივი სცა, მოკლემ კი—შეარცხვინაო.

დიდ ნადირს დიდი ნაგაზები ჰყეფენო.
ბინის და სინათლის ფულსა ვერა და ვერა ჰკრეფენო.

დიდ საყდარში ცოტა ხალხიც შედისო.
ავადმყოფ კაცს ტკბილი ენაც შველისო.

დიდ სახლში დიდი ქარი ქრისო.
ავი ცოლისა შიშითა ტყეში ნადირი ფრთხისო.

დიდ სიყვარულს დიდი სიძულვილი მოსდევსო.
სიყვარულს განშორებული მუდმივად ტირს და გოდებსო.

დილას შედგმული ბალბაო, სადილად გამოგვადგაო.
დილით მაცივარს შედგმული, საღამოს აღარ ვარგაო.

დილით ოქრო ხარ სტუმარო, საღამოს ვერხცლად იქცევი, თუ ხანი დაგაგვიანდა, სპილენძად გადაიქცევი.
სანთელს დაგინთებ, ვილოცებ, აქედან თუ გაიქცევი.

დილის ლუკმა ცოლის მზითევსა სჯობიაო.
არ დაილევა ძლიერი და მჯობზე უფრო მჯობიაო.

დიღმის მინდორი დიდია, გაქცევა შენზე ჰკიდია.
ღმერთმა დასაჯოს ჩვენ ორში, ვინც მოღალატე, ფლიდია!..

დოლა (ურქო) თხამ წყალში ჩაიხედა, რქები არა მაქვს, პატარა ვარო.
ასე ფიქრობდა ორმოცდა ხუთი წლის "პატარა" მარო.

დრო არის ჩაქცევა სჯობია, დრო არის გაქცევაო.
რომელიც რა დროს სჯობია, შენ აირჩიე, გოგიაო.

დროზე მთესველი დროზე მოიმკისო.
გვიან მთესველი კი თესლის გაღვივებას უცდისო.

დრონი მეფობენ და არა მეფენიო.
უკეთეს ცხოვრებას, ვზივარ და, მეც ველიო.

დროულ კაცს სიზმარიც დაეჯერებაო.
კარგი და ცუდი ახალი წლის დღეს დაებედებაო.

დღევანდელი კვერცხი მირჩევნია ხვალინდელ ქათამსაო.
ნუ დავკარგავთ მამა-პაპის წესებსა და ადათსაო.

დღევანდელი სიტყვა ხვალის ხიდიაო.
უხეირო კაცს სიტყვა ფეხებზე ჰკიდიაო.

ე

ეგრე არ არის თაყაო, შენ რომ მამული გაყავო.
მეზობლის კუთვნილ ტუფლებში ფეხები რატომ ჩაყავო?!.

ეგრე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო.
ხან მშიერი დავწანწალებ, ხან მაძღარი, კუჭსავსეო.

ეკალში ტურა არ გაიხლართებაო.
ეკალში ვარდი შევნიშნე,—"სულიკო" გამახსენდაო.

ეკლის წვერი ლოდზე არ დაირჭობაო.
ძნელად მიღწეულიც ადვილად არ დაითმობაო.

ენაგრძელი--სულმოკლეო.
ყველაზე უარესი არის ჭკუის სიმოკლეო.

ენა გულის მოციქულიაო.
როცა ქალ-ვაჟი მოწიფულიაო.

ენა ვისაც აქვს, ყოფაც იმას აქვსო.
ცოლს თუ ენა გრძელი აქვს, ვაი შენს ყოფასო.

ენა კაცს ატყუებს, მარილი—თხასო.
უენოდ და უმარილოდ ცხოვრებას გემო არა აქვსო.

ენამ რა მიყო და—თავში რაკუნიო.
შემოვლამდე საჭიროა კარის კაკუნიო.

ენა მრავალა—საქმე პატარა,—
ასეთი ნუ ხარ ჩვენო ლატავრა.

ენამუნჯი სჯობია ავმეტყველ მოსაუბრესა.
ენამეტყველი სჯობია ზოგიერთ მობლაყუნესა.

ენას კლიტე არ დაედებაო.
კლიტე არა, მაგრამ წუნი კი დაედებაო.

ენას ძვალი არა აქვს და სიტყვას—ბაჟიო.
ენა და სიტყვა მკვრივი აქვს, როგორც სტამბოლის კაჟიო.

ერბოკვერცხის სიყვარულით ტაფას კოცნიდნენო.
ბალ-ბოსტანის სიყვარულით მიწას ფხოჭნიდნენო.

ერბო რომ გადმოვა, ციცხვსა და ჩამჩას ფასი დაეკარგებაო.
ჩამჩამ ფასი დაკარგა, ხოლო ერბოს ფასმა აიწიაო.

ერდოს მამალი არ დაამძიმებს, დედამიწას გასათხოვარი ქალიო.
მამალს დაკლავ და მოხარშავ, ვაი გასათხოვრის ბრალიო.

ერევანს კურდღელი იყო, ახალციხეს-მწევარიო.
კურდღლის ხორცი აღარ არის, რაღად მინდა ტყემალიო.

ერთ ადგილს ვირი თუ ტალახში ჩაეფლო, მეორედ იქ აღარ გაივლისო.
კაციც თუ დაიმახსოვრებს "ბერმუდის სამკუთხედს" ფეხებს აღარ დაისვრისო.

ერთაი ჭამაშიც შესაბრალისიო.
შაირთოს ქალაი და ორაი გახდებისო.

ერთგული გული არ გაორგულებულა და ორგული გული არ გაერთგულებულაო.
დიდგულობა ომში გმართებს, სახლში ნუ ხარ შენ დიდგულაო.

ერთ დღეს მიტოვებული საქმე ორმოც დღეზე გადავიდაო.
ორმოცს რა უჭირს და წლისთავზე რომ გადავა, ძნელადღა გამოსწორდებაო.

ერთ დღეს ქვეყანა არ აშენებულაო.
დანგრევით კი— ერთ დღეს დანგრეულაო.

ერთი ალილუია მღვდელსაც შეცდებაო.
ჩვენ რომ შეგვცდეს რამე, რა გასაკვირიაო?!.

ერთი არის მთოხნელიო, ოცდახუთი—მცოხნელიო.
ქალაქში თავს ვერ დაირჩენ, თუ არ გახდი სოფლელიო.

ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო.
გაზაფხულს კი მერცხალიც მოჰყავს და თბილ დღეებსაც მოიტანსო.

ერთი გადახტომით მწყერი არავის დაუჭერიაო.
მაგრად კი დაცემულა და ცხვირ-პირი ჩაუმტვრევიაო.

ერთი გაძღომა მგელსაც არას არგებსო.
და ადამიანს როგორ ეყოფა 365-დღეო.

ერთი დამპალი ვაშლი ცხრა ვაშლს დაალპობსო.
უვარგისი კაცი შინაურს ცხრა პირ ტყავს გააძრობსო.

ერთი დრო არავის შერჩენიაო.
ადამიანს გველიც კი შეჩვევიაო.

ერთი დღით რომ სადმე წახვიდე, სამი დღის საგზალი უნდა წაიღოო.
ხოლო სამი დღით რომ წახვიდე— ცხრა დღისაო.

ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო.
ალბათ ცხრანივე მათემატიკოსები იყვნენ, რომ ასეთი
სიზუსტით გაყვესო.

ერთი კაი კაცის სახელი დარჩება ქვეყანაზე და მეორეც—ავისაო.
კარგობისთვის შეგაქებენ, ცუდობისთვის
გაგინებენ,—გჯეროდეს ამისაო.

ერთი კაცი გორში გალახეს და გული ონში მოუვიდაო.
ალბათ ის კაცი რაჭველი იქნებოდაო.

ერთი კაცი ეკლესიას აშენებდა, მეორე ანგრევდაო.
პირველი საქართველოს ამშვენებდა, მეორე-არბევდაო.

ერთი კაცი ქვეყნის დარდმა გადაიტანაო.
მოზღვავებულმა დარდმა თან ჩაიტანაო.

ერთი კოჭობი კუპრი ყოველ ოჯახში დულსო.
ასე რომ, ყველა ოჯახი მოკუპრული ყოფილაო.

ერთი მგელი კვდება, მაგრამ სხვა ათასი ლეკვი რჩებაო.
კიდევაც დაიზრდებიან ტყეში ლეკვები მგლისანი.

ერთი მგლისკენ, მეორე თხისკენო.
მესამე ფულის თვლისკენო.

ერთი ნახვა ცნობაა, ორი ნახვა ძმობააო.
ერთი ჭიქა გრძნობაა, ათი ჭიქა თრობააო.

ერთი პირიდან თბილიც ამოვა და ცივიცაო.
თბილსა და ცივს ადვილად გრძნობს პირიცა და ცხვირიცაო.

ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვაო.
შეცდომები მეც მომსვლია და სხვასაც მოუვაო.

ელაპარაკე რეგვენსაო, ურახუნე კედელსაო.
პურის ჭამა ყველას უნდა— პატარას და ბებერსაო.

ენა არც გატყდება, არც გაცვდებაო.
მისგან დაკოდილი დათვის გულიც ჩაკვდებაო.

ენა გულის მოციქულიაო.
მიაქციე ყურადღება, როცა შვილი მოწიფულიაო.

ერთ ქარქაშში ორი ხმალი არ ჩაეგებაო.
მკვეხარას ამ საქმისა არარა გაეგებაო.

ერთი დრო არავის შერჩებაო.
მოვა დრო და ნათქვამისა შერცხვებაო.

ერთი ისეთი ვთქვათ, ორსა სჯობდესო.
ერთი ისეთი ვქნათ, მტერსა სპობდესო.

ერთი ხარ და ქვეყნის თვალიო.
დედისერთავ, ნუ ხარ მთვრალიო!..

ერთხელ შევჯექ ვირსაო, ჩამომაგდო ძირსაო.
კარგად თუ არ დაუკვირდი, ნურას იტყვი ძვირსაო.

ერთი რომ თქვა, მეორეც უნდა თქვაო.
ერთი რომ ქნა, მეორეც უნდა ქნაო.

ერთი ტიკისათვის არ იყო, ორში ასხამდნენო.
ერთი ჯაჭვით ორ ძაღლს აბამდნენო.

ერთი ტოროლა ცხრა ქათამს აენონება.
ქათამს ხორცი აქვს უბადლო, ტოროლას რა ეშოვნება.

ერთი შეგირდს მისცხე და ხუთი გამზრდელსაო.
საწყალს სული ამოუვა, ვერ აიტანს ამდენსაო.

ერთი შერჩა მელასაო, სხვას დაუწყებს დევნასაო.
ჯერ დაიწყებს ღრენასაო, მერე კიდევ-კბენასაო.

ერთი შვილი-ღობეს ჩხირი, ორი შვილი-ვითომ შვილი, სამი შვილი მართლა შვილიო.
რად გინდა შვილი, მთლად უვარგისი, თუ არ გექნება ცხოვრება მშვიდიო.

ერთი ცეცხლიო, მეორე ნავთიო.
სულ არა ვნანობ, თუ კი რამ ვთქვიო.

ერთი ცხვრისკენა, მეორე მგლისკენა.
მესამე დაზარალებულ მეცხვარისკენა.

ერთი წელიწადი მინაში ნიორიც თავს შეინახავსო.
წესიერი კაციც წინდაუხედავი საქციელით თავს შეილახავსო.

ერთი წიხლის კვრით ციხე არ დაინგრევაო.
მითუმეტეს, თუ ძველად აშენებულაო.

ერთი ჭკუა რეგვენსაც დაეჯერებაო.
უზომო სმით და ჭამითა მუცელი გაებერებაო.

ერთი ხელი ჩუმად არის, ორი გაიღებს ტყლაშანსა.
წავიდა ის დრო, რომ ვჭამდით ორაგულსა და ქაშაყსა.

ერთმანეთისა ბაძვითა სახლი აივსო ნაგვითა.
უდიერ სიტვას, სალანძღავს,—ნულარ წარმოთქვამ ბაგითა.

ერთ მეზობელს მუცელი სტკიოდა, მეორე-ხელს ისვამდაო.
ერთს ხანძარი გასჩენოდა და მეორე—წყალს ისხამდაო.

ერთ სოფელში ხალხი არ იყო და ვირი აირჩიეს მამასახლისადაო.
ასეთი მამასახლისის შვილს რა ერქმებოდაო?..

ერთ უხეირო ბატონსა სამი კომლი გლეხი ჰყავდა, ოცდაათი მოურავიო.
ამოცანა გვეკითხება: რამდენი მოურავი მოდის თითო კომლზეო?..

ერთხელაც იქ-ეება, მელას საქათმეში დააოენდებაო.
სიცოცხლე რომ ტკბილი არის, მაშინ გააზსნედებაო.

ერთხელაც კოჭლი ცხვარი წინაო.
კოჭლია, მაგრამ მაინც ბეწვი დაიბწკვინაო.

ერთხელ გატეხილ დაკოდილ გულს, ველარაფრით გაამთელებო.
თუნდაც კარგმა დასტაქარმა გაკეროსო.

ერთხელ გატეხილი კვერცხი აღარ გამთელდებაო.
სამაგიეროდ კარგი ერბოკვერცხი გაკეთდებაო.

ერთხელ თუ ახალმა გამახარა: ცხრაჯერ—ძველმაო.
ორ წელიწადში სამი დიპლომი ჩაიგდო ერთმა შტერმაო.

ერთხელ წაველ წირვაზეო, ფეხი მომტყდა ყინვაზეო.
არა სჯობდა წყნარად მევლო,— ფიგურისტებს მივბაძეო.

ერთხელ ჯოჯოხეთსაც მოადგა მზეო.
ღმერთო, ხშირად გაგვითენე ეს ნათელი დღეო.

ეს სოფელი ასეთია, მიეთი და მოეთია.
ისე დათვრა, ისე გატყვრა, მთლად ტალახში მოეთრია.

ეს ამისა, ის იმისა,— გამომეფხიკა ქისაო.
ველარ ვწვდები გადასახადს, ვალებსა და პირსაო.

ეს ქათამი ჩვენსა კაკანებს, სხვაგან კი კვერცხსა დებსო.
ამდენი კვერცხის დებითა, ნეტავი როგორა სძლებსო?!.

ეძიებდე და ჰპოვებდეო.
ცოლებს ირთავდე და სტოვებდეო?!.

ეშმაკის შენახულით ანგელოზმა გაიხაროსო.
უფალმა ფრთები შეგასხას, სამოთხეს წაგიყვანოსო.

3

ვაზს გვერდით აუარეს და კრიკინას მისცეს სალამიო.
მცოდნე კაცს წიხლი ჩასცეს და დამთხვეულს მისცეს ალამიო.

ვაი ვისაო და—ერთის პატრონსაო.
წვალებით, შრომით ძნელად ნაპოვნსაო.

ვაი,—თხოვნააო და უი,—კარზე დგომააო.
ორივე ერთად კაცის კვდომააო.

ვაი გამშველებელსაო.
უი,—გიჟის მშობელსაო.

ვაიმე და სხვაიმეო.
არ მეღირსა ხსნაი მეო.

ვაიმე, ძმაო თარხანო, შენ რა ჭკუაზე თხლად ხარო.
შენი სმითა და ლოთობით მტერი რად გინდა ახარო?!.

ვაის გავეყარე, უის შევეყარეო.
ვერცერთი მაინც ვერ შევიყვარეო.

ვაი—სიკეთის მქნელსაო.
უი,—სიმართლის მთქმელსაო.

ვაი— უსახლობა და ვაგლახი— სახლობაო.
უწყლოდ გინახავთ ხანძრის ჩაქრობაო?

ვაუკაცობა კარგია, მაგრამ შარვალივით გაცვდებაო.
ვაუკაცობითა შენითა მრავალი ჭირი აგცდებაო.

ვაჟი მყავდეს ქოჩრიანი, ქალს მოვიყვან მზითვიანსა.
არ ივარგებს... გავისტუმრებ გინდ ორსულს და ღიპიანსა.

ვაუკაცის საყელოცა სჭამსო.
თუ ჯიბის ბარაქა სძრავსო.

ვაუკაცი ქუდს სიცივისთვის კი არ ატარებს, არამედ სირცხვილისთვისაო.
სირცხვილი მარტო ქუდით როდი იფარებაო.

ვაუკაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდაც ხისაო.
ასაკს ნუ ეძებ, გინდ იყოს ადამის დროის ხნისაო.

ვაუკაცი სადაც შერცხვების, იმის სამარე იქ არის.
ოდესღაც მაინც შეგრცხვება არაკაცური მიქარვის.

ვაუმა ცოლი შეირთო და ღმერთსა სთხოვა,—მალე დააღამეო.
დაავიწყდა იმის თხოვნაც, რომ გვიან გაათენეო.

ვარდი უეკლოდ არავის მოუწყვეტიაო.
სინათლის ფული კი მოუკრებიათო.

ვარდი სანაგვეზედაც ამოვაო.
ნაგვის ბუნკერში თვეობით ყრია ნაგავი და ვარდი მაინც არ ამოდისო.

ვაქირმა გაქირი იცისო.
ზოგმა კი-გატეხა ფიცისო.

ვაშლი-უბეში, ბაყაყი გუბეში.
ნუ ჩავარდები მასავით წუმპეში.

ვაჭარი ას ტყუილს იტყვის, ერთს მართალსო.
ზოგი უტვინო მძღოლი საჭეს ნასვამი მართავსო.

ვაი-ვიშით ქვეყანა ვის აუშენებიაო.
ან ქვეყანა ხოტბის შესხმით ვის დაუმშვენებიაო.

ვენაცვალე ქარსაო, მოიტანა კარსაო.
ვენაცვალე ქალსაო, თავს რომ აკლავს ქმარსაო.

ვერიდებოდი ღოლოსა, დამხვდა სოფლის ბოლოსა.
კატა მაინც კატა არის, მითხარ, რატომღა ლომობსა.

ვერც აქ მოწვდი, მანდაც მოცდიო.
უსაქმურო, ბარემ მოკვდიო.

ვიდრე ჭკავიანი დაფიქრდება, გიჟი ხიდს გადაირბენსო.
გიჟი, აბა, რის გიჟია, იაზრებს განა იმდენსო?..

ვინა გკოცნის, რომ ლოყას იშვერო.
ძალადმაცხონევ, რითი გიშველო?!.

ვინ ბედითა და ვინ უბედობითაო.
ბედიანს და იღბლიანს გაშლილი აქვს იღლია.
უიღბლო და უბედური— ენატრება ლუკმა პური.

ვინ გაისარჯა და ვინ ჭამსო.
ვინ დაწურა და ვინ სვამსო.

ვინ იტყვის ჩემი დო მჟავეაო.
ვინ გაამხელს—ჩემი და ავიაო.

ვინ იცის ეშმაკი რამდენი წლისააო.
ადამიანი რამდენისაც არის, ეშმაკიც იმ ხნისააო.

ვინცა ენაჭარტალიო, მისი სიტყვა მართალიო.
ვინცა ენა მოჭრილიო, მას ედება ბორკილიო.

ვინც აკაკუნებს, კარს იმას უღებენო.
კეთილმოსურნეს ფიანდაზებს უგებენო.

ვინც არ გაირჯებაო, პურსაც ვერ მისწვდებაო.
პურის მცხობელს, თუ მადა აქვს, გაძღება და მიწვებაო.

ვინცა სხვას ორმოს უთხრიდეს, მან თავისი ზომა მოთხაროსო.
გირჩევ, ნუ უთხრი სხვასა ძირს, დაენარცხები პირქვე ძირს.

ვინცა ჭამა ქათმის გული, ვერ მოიგო კაცის გულიო.
ვისაც ჰქონდა დოლარები, მან მოიგო ბეერი ფულიო.

ვინცა ჭამსო,—ისვე ზღავსო.
ლოთი დალევს ღვინის ზღვასო

ვინც გააჩინა თხაო, მან მოუგრიხა რქაო.
ღმერთია ყოვლის გამჩენი,—როგორ არ უნდა ვთქვაო.

ვინც დაიზარაო, არც გაიხარაო.
ვინც დაიხვავაო, მან გაიხარაო.

ვინც ერდო მოხნაო,ისიც მოკვდაო.
ზომაზე მეტი ჯაფითა ცოლ-შვილს დატოვებ გლოვითა.

ვინც თავი დაიმდაბლა, იგი ამაღლდაო.
გაიზარდა, გაიფურჩქნა და გალაღდაო.

ვინც თავი ვერ გაიგო, ბოლოს ვერ მიხვდაო.
ვინც ხის ძირსა ვერ შეეხო, ის კენწეროს ვერ მისწვდაო.

ვინც თავისთვის ავიაო, იმის სული შავიაო.
ვინც სიკეთის ნამიაო, ის იაზმის წყალიაო.

ვინც თაფლში თითს ჩაყოფს, თითსაც ის გაილოკავსო.
სულ ერთბაშად არ გალოკავს, ხვალისთვის დაიზოგავსო.

ვინც იცის ცეცხლიაო, ვინც არა-ცერცვიაო.
ვისთვის ცოდნა არადა ღირს, ვისთვის ოქრო-ვერცხლიაო.

ვინც კატას არ გაიჩენს, ის თაგვებს გაიჩენსო.
დაელევა წლის სარჩო და თავს რიღათი დაირჩენსო.

ვინც მდიდარია ფულითა, ის ღარიბია გულითა.
ხოლო ვინც გულით გულუხვობს, ის მდიდარია სულითა.

ვინც მზეს ტალახს ესვრის, თვითონვე თავზე დაეცემაო.
ვინც ტალახში ხელს ჩაყოფს, პირველი თვითონ დაისვრებაო.

ვინც მიდიოდა ფქვავდაო, ვინც არა-ჯერს კითხულობდაო.
ზოგი ურიგოდ, უსირცხვოდ დაფქვასაც კისრულობდაო.

ვინც მოითმენს, ის მოიგებსო.
გაჭერილ თოკს ის მოიშვებსო.

ვინც მოითმინაო, მან მოილხინაო.
ამდენ თმენა-თმენაში ამოუშვა ხვრინვაო.

ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო.
უნარი და ნიჭი უნდა კარგი სიტყვის თქმასო.

ვინც მოხადა ქვევრიო, იმას მისცეს ბევრიო.
კმაყოფილი დატოვა ოჯახი და მრევლიო.

ვინც მოხუცებულს დასცინის, ის თავის თავს დასცინისო.
უძლურება და სიბერე ყველას თავზე დაჰკივისო.

ვინც პატარა რამეს ვერ დააფასებს, ის ვერც დიდის ფასს მიხვდებაო.
კარგიცა და ცუდიც, იცოდე, წინ დაგხვდებაო.

ვინც სასირცხვილო საქმე ქნა, ისვე წყრებაო.
თუ შესთავაზე დაჯდომა, იგი მაშინვე წვებაო.

ვინც სახლი აშენებული ნახა, ბოძი თავისით ამოსული ეგონაო.
და სახურავი—ციდან ჩამოფრენილი ქოლგაო.

ვინც ქარს დათესავს, ქარიშხალს მოიმკისო.
მომაკვდავს თუ არ მიხედავ, როდემდეღა მოგიცდისო.

ვინც ღამეც ხნა, ისიც მოკვდაო.
ზომაზე მეტად არ ვარგა არც თესვა, არცა მოხვნაო.

ვინც მე სურვილს მისრულებს, ჩემი დედაც ის არისო.
არა მჯერა არავისი: არც მისნის, არც მკითხავისო.

ვინც ცუდად დაიწყო, ის ცუდად დაამთავრებსო.
სიცოცხლის კიბის საფეხურს ბოლოს ვერ ჩაათავებსო.

ვისი გარბოდა ცხენთანაო,—მეც ბედაური—შენთანაო.
ცხენს გაეცინა, შესძახა: შენ როგორ მოხვდი ჩემთანაო?!.

ვინც მოითმინა, იმან გაიცინაო.
ვინც მ̆ოითმინა, იმან ლანძღვა—გინება აიცდინაო.

ვინც ცოლს გვიან შეირთავს, შვილებს ადრე დააობლებსო.
ვინც შვილებს ადრე დააობლებს, გადმოყრის სიმწრით
დორბლებსო.

ვირმა თუ იმუშავა, აჭმევენო.
ბავშვს ჭამის წესებს აკვნიდანვე აჩვევენო.

ვირიდან ჩამოვარდნილი ცხენზე არ შეჯდებაო.
ბავშვი შრომის ფერხულში ადრიდანვე ებმებაო.

ვირი იმდენს არ ეწეოდა, რამდენსაც იმის პატრონიო.
"როდის მივიტან სახლამდე",—ყოველთვის ამას ვნატრობდიო.

ვირი მოგებაზე წავიდა, ნალებიც იქ დარჩაო.
ვერ გაავსო სიმდიდრით კარადა და თახჩაო.

ვირი რომ ბატონად გყავდეს, "აჩის" ნუ აკადრებო.
თუ წიხლი მოგცხო, გატკინა, მაგასაც ნუ ადარდებო.

ვირის ზურგს ვირის კურტანი მოუხდებაო.
ცხენს კბილები ქერის ღეჭვაში მოუცვდებაო.

ვირის მდევარი მის ტლიკინსაც უნდა უძლებდესო.
ურემში შებმულს ზომაზე მეტ ტვირთს არ უნდა უდებდესო.

ვირის წიხლი კი არ მეწყინება, მეტკინებაო.
შვილი თუ თვითონ არ ვარგა, არ არგებს ცემა-გინებაო.

ვირი ტახტზე დასვეს, თავისი თავი ხელმწიფე ეგონაო.
თუ გინახავთ ქვეყნის რბევით კაცს სიკეთე ეპოვნაო.

ვირი სტამბოლში შაური ღირს, ჩამოყვანა მანეთიო.
დაგვავიწყდა ბაიათი, დუდუკი და კლარნეტიო.

ვირმა ზურგის ფხანაში კოჭლი ფეხი გაისწორაო.
ხმამაღლა დაიყროყინა, გასწორდა, გაიფხორაო.

ვირმა იჩივლა: თხუთმეტი მუტრუკი გავზარდე, მაგრამ
ზურგიდან კურტანი მაინც ვერ მოვიცილეო.
რაც ბედმა წილად მარგუნა, ვერა, ვერ ავიცდინეო.

ვირმა კუდი აიბზიკა,—ნახირში გამრიეთო.
მაღალ სკამზე დამსვით და პოლიტიკაში გამრიეთო.

ვიროსანი ცხენოსანს დასცინოდაო.
მის ვირს ზედმეტი ჭენებით ნალები დასცვივნოდაო.

ვირს ჭედნენ და წიხლს ისროდაო.
ტვირთს მაზიდვინებენ—იმას შიშობდაო.

ვირს პიტნა სძულდა და ცხვირწინ უდებდნენო.
პიტნა უნდა შეეზილათ ნადულში და ისე მიერთმიათო.

ვირს რქა არ ამოუვიდა და თავი პატარა ეგონაო.
ცდილობდა, თავის ტოლი, თავის ფანდი ეპოვნაო.

ვირს უთხრეს: შენი ზრდილობა გვიჩვენეო.
ის ნაცარში გაგორდა და შეაჩერა კუნტრუშიო.
—ჩემი ზრდილობაც ასეთიაო—და უკანიდან გაუშვა ტყუპ-ტყუპიო.

ვის არ უნდა თავი მეფედ და ცოლი დედოფლადო.
არ დაასახლო და-ძმა და შვილები მეზობლადო.

ვისაც აზრი მოკლე აქვს, მას ყურები ეშორებაო.
ვისაც ჭკუა და გონება აქვს, მას აზრიც ეშოვნებაო.

ვისაც არ ენვის, მას არ სტკივაო.
ვისაც სტკივა—ცრემლები სცვივაო.

ვისაც არ უნდა რიყეზე ქვას ვერ ნახავს და ცაზე ვარსკვლავსაო.
სამაგიეროდ კარგად ხედავს შემწვარი ქათმის ბარკალსაო.

ვისაც გული არა სტკივა, იმას ცრემლიც არა სცვივაო.
ვისაც ცხელი აქვს ღუმელი, ზამთარში არა სცივაო.

ვისაც დედას მივცემ, მამაც ის იქნებაო.
ასეთი შვილი კი მამამრავალი იქნებაო.

ვისაც ვინ უყვარს, იმის ლამაზი ის არისო.
მოწონებაა სათავე სიტკბო და სიყვარულისო.

ვისაც შენ არ უნდიხარ, ნურც შენ გინდოდესო.
მისთვის ღამე კი არა, ნათელიც კი ბინდობდესო.

ვისაც ესმის, ერთიც კმარა, ვისაც არა—არც ათასიო.
არ მოგაქცევს ყურადღებას, გინდა უთხრა ათასიო.

ვისაც რა არ ეხერხება, მისთვის ყველა ცუდიაო.
თუ არ უნდა სიარული, სწორი გზაც კი მრუდიაო.

ვისაც უფროსის სიტყვა არ ესმის, იმის ვენახს არ ესხმისო.
საქმე უკუღმა წაუვა, თუ მშობლის სიტყვა არ ესმისო.

ვისაც ქუდი ახურია, განა ყველა კაციაო?
ან ფუტურო კაცია, ანდა "პროვოკაცია".

ვისაც შვილი არ მოჰკვდომია, იმას სამძიმარს ნუ ეტყვიო.
სამარცხვინოს და შეუფერებელს, ნამუსგარეცხილს ნუ ეტრფიო.

ვისაც ჭირი უნახია, წამალიც იმას ჰკითხეო.
რა წამალი დაგჭირდება: აბები თუ სითხეო?..

ვის გაუგონია ლხინი უცინარი და ჭირი უტირალიო.
ან კაცი უჩინარი და ყოვლად უწყინარიო?!.

ვისთვისაც ხმალი ვიქნიე, ის უფრო ჩემი მტერია.
შვილი შვილია ორივე: შენია ის, თუ გერია.

ვისკენაც გული მწევს, თვალიც იქით იხედებაო.
თვალი კი იხედება, მაგრამ შეიძლება ვერ დაინახოო.

ვის უნახავს ცხვრისა ლეკვი და ძაღლისა—ბატკანიო.
ლეკვი მხოლოდ დედასა ჰგავს-ძაღლისა აქვს თავ-ტანიო.

ვის უნდა ორთავ თვალით ბრმა იყოსო.
ან თუნდაც ერთი თვალი გაიპოსო.

ვირი ბოსტანში, მგელი ფარეხში.
მგელს მოენატრა ცხვრებში თარეში.

ვის უჩივი და ბატონსაო, ვისთან ჩივი და—ბატონთანაო.
ორივე შემთხვევაში განაჩენი უშედეგო იქნებაო.

ვიყავ შენ დროსო, მოხვალ ჩემ დროსო.
ვაი ჩვენს ყოფნას და ვაი ჩვენს დროსო.

ვჭამე—ყლაპიას მეძახდნენ, არ ვჭამე—წუნიასაო.
სჭამ და კუჭს გაუხარდება, არა სჭამ—მურიასაო.

ზ

ზამთრის მზე ყვავილს ვერ მოიყვანსო.
ყვავილს ვერ მოიყვანს, მაგრამ სითბოს კი მოიტანსო.

ზარმაცი ადგა და აღარ დადგაო.
იმდენი იშრომა—სახლი ჩადგაო.

ზარმაცისათვის ნიადაგ უქმეაო.
ვერ გამონახა ვერაფრით საქმეო.

ზარმაცი ჭამის დროს კარგადაა, მუშაობის დროს—ავადაო.
ამიტომ მისი საქმენი უკუღმა წავა, შავადაო.

ზარმაც კაცს თავისი ხელ-ფეხი ნათხოვარი ჰგონიაო.
თავიც ალბათ ნათხოვნი ჰქონიაო.

ზარმაც მჭედელს კვირას მოუნდა მჭედლობაო.
შინაურ და გარეულ მკვდარს, — ყველას უნდა შენდობაო.

ზარმაც ცხენს დეზის შემოკვრა სჭირდებაო.
ზარმაც კაცს კი — თავში ჩათაქუნებაო.

ზაფხული ზამთრის მუშაა.
შემოდგომა კი ორივეს მასპინძელიო.

ზაფხულში დათესილი ღომი თოხის პირს ამოჰყვებაო.
მოხარშული კი ქვაბიდან კოვზის პირს ამოჰყვებაო.

ზაფხულში დაფხვნილი ზამთარში გამოდგებაო.
ბეჯითი ზაფხულში შრომობს, ზამთარში წამოწვებაო.

ზაფხულში შენახული ზამთარში ცივი ქვაც თბილიაო.
ბაზრის ხორციდან ნახევარი ძვლებია და ნახევარი რბილიაო.

ზევით დობილ-ძმობილოო, ქვევით-გამონყობილოო.
ზევით ჭკუით დებილოო, ქვევით დედისშობილოო.

ზევით ზიზილ-პიპილო, ქვევით ტანო შიშველოო.
ტიტლიკანა გოგონებო, რაღა უნდა გიშველოო?!.

ზევით ნერო მიფრინავდა, ძირს შამფურსა თლიდნენო.
ცაში ვარსკვლავს, როგორც ვაშლებს, სათითაოდ თვლიდნენო.

ზიარს სეტყვა არ ასცდებაო.
ჭკუით ზიარს კი - ლანძღვა-გინებაო.

ზოგან მუშტით, ზოგან კრივით საქმე მიდის თოხარიკით.
პატიოსნად იცხოვრე და არ იხმარო რამე ხრიკი.

ზოგი კაცისას ძაღლიც კი არ შეჭამსო.
დამშეული კაცი კი ძაღლის ხორცსაც შეხრავსო.

ზოგი მთაკაცის გონება მსუბუქი ჩიტის ღინღლია.
ისე შორსა დგას ნორმიდან: სად კუდი, საით იღლია.

ზოგი რჩებოდა ბედითა და ზოგიც უბედობითა.
ზოგი ცხოვრობდა დედითა და ზოგი უდედობითა.

ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს მღვდლის ცოლიო.
საკითხავია, ვინ მოსწონს მღვდლის ცოლსო?..

ზოგისა ბამბა ჩხრიალებს, ზოგის კაკალიც არაო.
წამოწექ ჩრდილში სიცხეში და ინიავე მარაო.

ზოგი სახლი რომ სახლია, ზოგი სახლიც სასახლეო.
შეაჩერეს მშენებლობა, აღარც შენ და აღარც მეო.

ზოგი ჭირი მარგებელიაო.
ჭორაობაში თუ ნახე რამე სარგებელიაო.

ზოგ კაცს ანგარიშისა სცხვენია და ჩხუბისა—არაო.
ასეთ კაცს საბოლოო ანგარიში უნდა გაუსწორო ჩქარაო.

ზოგ კაცს კვირაში შვიდი პარასკევი აქვსო.
ზოგ კაცს გამუდმებით პირში საღეჭი აქვსო.

ზოგსა კაცსა კაცი ჰქვია, ზოგსა კაცსა კაცუნაო.
ზოგი მდედრის მუსუსია—ათი ქალი აცდუნაო.

ზოგსა დიაცს—დედაკაცი, ზოგსა დედაკაცუნაო.
ზოგსა ქალსა—ხუთი ქმარი, ზოგს არც ერთი ერგუნაო.

ზოგსა ქუდბედი დაჰყვება, ზოგსაცა წყევლა—კრულვაო.
ზოგს უზრუნველი ცხოვრება, ზოგსაც ნაღველი ჭმუნვაო.

ზღვა ისე არ დაშრება, გუბის ოდენა დარჩესო.
მამა ისე არ წახდება, შვილის სარჩენი ვახდესო.

ზღვა ლოცვით ბრუნავსო.
ბიზმესმენი დოლარებს ჯიბეში ღუნავსო.

ზღვას ერთი კენჭი აკლიაო.
თუ არ გჯერათ, გადათვალეთ, ყველა კენჭი ნაღდიაო.

ზღვა კოვზით დაილევაო.
ბევრი რეცხვით და დაბანვით საპონი გაილევაო.

ზღვას ძირი არ უჩანდა და ამბობდნენ: უძიროაო.
ლოთი ძლივს მიბარბაცებდა და ამბობდნენ: უძილოაო.

ზარმაცი კაცი ცხოველია, დრო და ჟამის მჭამელიო.
კაცმა, ვინც კი მშრომელია, გადაბარა მთა-ველიო.

ზვავს ჰკითხეს ძალა რამ მოგცაო და,—ფიფქმაო.
კაცს ჰკითხეს რამ დაგაბერა და,—ცოლ-შვილზე ფიქრმაო.

ზოგს თვითონ არა აქვს ჭკუა და სხვებს ასწავლისო.
რაც არა აქვს სათავისო, სხვას რას მისცემს საკმარისსო.

ზღვაც კი დაილეოდა, წვიმის წყალი რომ არ ემატებოდესო.
ღვინოც მთლად დაილეოდა, შაქარ-წყალი რომ არ ემატებოდესო.

თ

თაგვის სოროში ლომს ქორწილში პატიჟებდნენო.
თავიანთი თაგვური საქციელით ლომს ლამის აგიჟებდნენო.

თაგვის შვილი ტომრის მჭრელი გამოვაო.
ტომრიდან კი გაფქვილული ამოვაო.

თაგვი ბეღელში შიმშილით არ მოკვდებაო.
თუ რამე სასმუსნავია, ყველაფერს მოხვდებაო.

თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო.
დადო წერაქვი, დაისვენა და დიდად გაიხარაო.

თაგვს ბუმბულში აწვენდნენ და სოროში მიძვრებოდაო.
ის ურჩევნია თაგუნას, რაც რომ ბუნებამ არგუნაო.

თაგვმა მუხა მოგლიჯაო.
ფესვებიც კი მოხლიჩაო.

თავაწეული თავს მალე გაიტეხავსო.
თავაწეული შორს კარგად ხედავსო.

თავი თუ გტკივა, ფეხთან რა გინდაო.
იქნებ წამოიცვა თავზე წინდაო.

თავის საჯდომ ქანდარაზე მამალიც დიდგულაა.
მამალიც თავის დედლებთან დაკვლამდე მიბმულიაო.

თავისი ბინა ჩიტმაც იცისო.
შენ კი აშენებ ბინას სხვისთვისო.

თავისუფლება სამოთხეაო.
 მაგრამ მონობა ჯაჭვის წრეაო.

თავად არ იყო ძმარიო, შიგ გაურიეს წყალიო.
ორმოცდაათის რომ გახდა, ძლივს დაიწერა ჯვარიო.

თავგასულ ქალს ბალახმორეული ყანა სჯობიაო.
 ყანას გამარგლი, მაგრამ ქალს, რას მოუხერხებ, გოგიაო?!.

თავის გატეხა სჯობია სახელის გატეხასაო.
 ღატაკი ცხოვრების გამო გახდა ფულების ხასაო.

თავის დროზე დალეული შხამიც კი ტკბილი არისო.
 ამიტომ ცოლის თხოვნასა ნულარ გადასდებ, არისტო!..

თავის თვალში დირეს ვერ ამჩნევს, სხვისაში ბენვსა ხედავსო.
დოლარების საშოვნელად უკადრის საქმეს ბედავსო.

თავის სიმსუქნე ფეხების სიმძიმეაო.
ველარაფერსა ვყიდულობთ, ისეთი სიძვირეაო.

თავის ქება თავის ტეხააო.
 და უმიზნოდ თოკის გრეხაო.

თავის ქება კიტრად ღირსო.
ვერას ვიტყვი სიტყვას ძვირსო.

თავს მოგჭრიო—განა ხმლითა...ენითაო.
გაგაოცებ-განა ხმითა...მღერითაო.

თათარი ღორის ქურდობაში დაიჭირესო.
რადგან ღორის ხორცს არა ჭამს, ამიტომ გაიკვირვესო.

თათარმა დაფქვას მოუცადა, ქართველმა გამოცხობას ვერაო.
გულფიცხი ნუ ხარ ქართველო, თორემ დაგცინებს ყველაო.

თათრის ქალი ორჯერაც რომ მონათლო, მაინც თათარი დარჩებაო.
მონათლო კი არა, ინტიმური კავშირის შემდეგაც ქრისტიანი ვერ გახდებაო.

თამარ დედოფალი ვიყავ, თავი მაღლა ვერ ავწიეო.
ისეთ სიმძიმეს ნუ შეეჭიდები, რასაც ვერ ასწევო.

თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდან მოვაო.
პურმარილი ყველას უყვარს, მთავარია შოვნაო.

თაფლის მჭამელსა დათვსაო ბუზი დაბზუის თავსაო.
ბუზმა იბზუოს, თუ უნდა, ვერას დააკლებს დათვსაო.

თამადა რომ ლაპარაკობს, წყალიც ჩერდებაო.
თამადა როცა ბევრს ლაპარაკობს, ღვინო ჭიქაში დედდებაო.

თბილი პური თვალის წყალიო.
პირის გემო და სუფრის თვალიაო.

თევზი დასაჯეს და წყალში ჩააგდესო.
ამოიყვანეს და ფასი დაადესო.

თევზი თავიდან აყროლდებაო.
ამიტომ, თუ დროზე არ გაყიდე, გაფუჭდებაო.

თევზი—მარხვაში, ცხენი—აღმართში.
ორივე ნახეთ, რა ღირს ბაზარში.

თევზი წყალში არ დაფასდებაო.
სამაგიეროდ ბაზარში კარგად ფასდებაო.

თევზმა თქვა: სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლით მაქვს სავსეო.
მოიქეცი ასეო—საიდუმლო სათქმელი გულში მოათავსეო.

თეთრისა თხისა ციკანსა შორს შეეტყობა ვაცობა.
ბავშვობიდანვე ეტყობა ბიჭს მომავალი კაცობა.

თეთრი ცხვარი პატრონს მსუქანი ეგონაო.
მისთანა თეთრი ფარაში ის ერთადერთი ეგონაო.

თვალებშუა ცხვირი რომ არ იყოს, ისინიც კი ვერ მორიგდებიანო.
ცხვირი რაც უფრო დიდია, თვალები უფრო ნაკლებად ხედავენ ერთმანეთსო.

თვალი გულის სარკეაო.
სარკეში ჩანს ყველაფერი ცუდია, თუ კარგიაო.

თვალით ბრმა სჯობია გონებით ბრმასაო.
გონება როცა გლალატობს, გადიჩეხები ხრამსაო.

თვალი თვალის მტერიაო.
შენ რომ მირტყი უამრავი, ახლა ჩემი ჯერიაო.

თვალი თვალსა მოშორდების, გულიც გადასხვაფერდების.
ჩვენ ვბერდებით, მაგრამ გული არასოდეს არ ბერდების.

თვალი სჭამს საქონელსაო.
კაცი კი —საქონლის ხორცსაო.

თვალმა რაც უნდა ქნას, წარბს ზევით ვერ წავაო.
მიყვარს ქალი, შავთვალება, ტანმაღალი ლერწამაო.

თივა და ცეცხლი ერთად არ დაიდებაო.
გაორგულებულ ცოლ-ქმარში ხიდი არ გაიდებაო.

თოვლი თეთრია, მაგრამ ქვეყანა ზედ დადისო.
ქვეყანა დიდია და ვერ გაიგებ— ვინ რას სჩადისო.

თოფი—მეთოფეს. მეთოფე—სოფელსაო.
ხარები—მეურმეს და მანქანა—შოფერსაო.

თუ არ გყავდეს მოახლეო, თავი მოიმოახლეო.
თუ არა გყავს თებრო, ლეო, ვაი შენი სიცოცხლეო.

თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იჭმებაო.
ოღონდ ქადა იყოს, თორემ ერთი ხელითაც შეიჭმებაო.

თუ დამაცლი, მახარა ვარ, თუ არა და მასხარაო.
სუფრის თავში წამოსკუპდი, სტუმრები არ დამსხდარანო.

თუ იყოს-იყოს, არა და წყალმა რიყოს.
ცოლმა სხვა კაცი იშოვა, თვალი დაუდგეს ნიკოს...

თუ კაი სიძე შეგხვდა—პოულობ, თუ არა და ქალსა კარგავო.
კარგი სიძითა და ქალით საქართველოს მომავალსა ქარგავო.

თუ კაცსა კაცი არ უნდა, მიზეზი არ დაელევაო.
ზოგ კაცსა ღვინო კი არა, წყალიც არ დაელევაო.

თუ კაცს ცეკვა უნდა, კამეჩის ცოხნაზედაც იცეკვებსო.
თუ არა და დოლ-გარმონზეც თავს არ შეიცელქებსო.

თუ ლაშქრის შეკრება გინდა, ბუკი უნდა დაუკრაო.
თუ ქალის გამოჭერა გინდა, თვალი უნდა ჩაუკრაო.

თუ მე აღარ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო.
და თუ ვიქნები, ქვა ქვაზედაც იქნება და სართული სართულზედაცაო.

თუ მტერი არა გყავს, ძმას გაეყარე—მტერი გაგიჩნდებაო.
თუ შვილი არა გყავს სხვისი გაზარდე, ხალისი გაგიჩნდებაო.

თუ მწარე არა ჭამე, ისე ტკბილის გემოს ვერ გაიგებო.
მწარეს კი ბევრსა ვჭამთ, მაგრამ დღემდე ტკბილის გემო ვერ გავიგეთო.

თუ რამე ნახდა, სოფელს გადახდა.
თუ რამე გაკეთდა, ისიც სოფელს გადახდა.

თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასა.
სალაროს წიგნაკის მქონე ეშმაკის სულმა დათარსა.

თუ სარკე არა გაქვს, რომ ჩაიხედო, ქვეყანა ხომ სარკეა.
ჩაიხედე, დაინახე ქვეყანა მათხოვრებით სავსეა.

თუ სიკვდილმა არ მომისწრო, სიბერე შორს არისო.
და თუ სიბერემ მისწრო, სიხალისე შორს არისო.

თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია.
თუ პურის ფული იშოვა, თავი ხელმწიფე ჰგონია.

თუ შენს მეგობარს არა, ცხენი არავის შეაკაზმინოო.
ზაფხულში ზამთრის მარაგი, ეცადე ბლომად დაზვინოო.

თუ ცურვასა არ ისწავლით, ვერ გაუხვალთ წყალთა ღრმათა.
თუ სკოლაში არ ისწავლით, სიცოცხლეში ივლით ბრმადა.

თუ ცხვარს მეტს მოსწველი—ყველს ემატება, თუ არა და ბატკანსაო.
ყველს და ბატკანს ნულარ შეჭამ, თუ ინახავ მარხვასაო.

თქვიან და არა ჰქმნიანო.
კაბინეტში უსაქმოდ ყრიანო.

თხა ვიყიდე, თხა გავყიდე, სარგებელი ვერა ვნახეო.
თუ სარგებელი ვერ ნახე, ბაზარი რისთვის ლახეო.

თხა კიკინით გამოვიდა, ცხვარმა ფეხები ფშიკაო.
"ჩაწყობით" საქმე კეთდება,—შეუშვი ყურში, ნიკაო!..

თხამ მღვდლობა მოინდომა, აქაო და გრძელი წვერი მაქვსო.
გრძელი წვერი, მახსოვს, ჰქონდათ ენგელსსა და მარქსსო.

თხას თხა უნდა, ცხვარს—ცხვარიო.
ქალს—კაცი და კაცს—ქალიო.

თხას თხა ურჩევნია ათას სულ ცხვარსაო.
მე ბატკანი მირჩევნია,—ვანაცვალებ თავსაო.

თხას მატყლი არა ჰქონდა და ცხვარს აძლევდაო.
სიკეთის ეს მაგალითი დღემდე არ დაძველდაო.

თივაში ცეცხლს ვერ დამალავ და ტომარაში მახათსაო.
ქალო, ქმარი მიგიხვდება, თუ გაიჩენ სხვა კაცსაო.

თხის პატრონს აღარც თხის კუდიო?
აღარც ღვინო და აღარც ლუდიო?

თხის ჭირი ცხვარსაო.
ჩემი ჭირი სხვასაო.

ი

იარე მოგეწევიან, თავი ნუ გემარტოვება.
გაგისწრებენ და რას იზამ, მუდმივად გემახსოვრება.

იერუსალიმშიც ყეფს ძაღლიო.
ძაღლი ყველგან ყეფს, მაგრამ მის ყეფას ყველგან ერთნაირი ფასი არა აქვსო.

იესო ქრისტე ცოფიან ძაღლს არ დაემალა და მთვრალ კაცს დაემალაო.
კაცი ისე დათვრა და გადაირია, რომ ცოფიან ძაღლს დაედარაო.

ითხოვე—ათხოვე, სული აცხონე.
ნათხოვი დაუბრუნე და პატრონი მშვიდად აცხოვრე.

იმას დასჯერდი ლონდაო, რაც მამაშენსა ჰქონდაო.
იღვაწა, შექმნა, დატოვა, იმ ქვეყანაში ცხონდაო.

იმედიც კარგი საქონელიაო.
დღეს უბრალო სამუშაოც ძნელი საშოვნელიაო.

იმ ქვას ფეხი უნდა აარიდო, რომელმაც სხვას ფეხი მოსტეხაო.
დაკვირვებულად იარე, თორემ აღარ იქნები ორფეხაო.

იმედიანი შიმშილიც კარგიაო.
უზომოდ გაძღომა მუცლისთვის ზედმეტი ბარგიაო.

იმერელმა ნეძსი აიფარა—ქარს შუაზე გამიყოფსო.
ქურდი ყველგან ქურდი არის, ფარულად ხელს ჩაგიყოფსო.

იმერელმა ცხვარი იყიდა და მალ-მალ დუმას უსინჯავდა, თხა არ იყოსო.
ცხვარი თხად ვერ გადიქცევა, სასწაულიც რომ იყოსო.

იმერელმა ნალდი გადააგდო და ტარიც თან მიაყოლაო.
კარგია, რომ თვითონაც თან არ გადაჰყვაო.

იმერელს სახლში ნუ შეუშვებ,—სიძეობას მოგინდომებსო.
და ქონებასა და სიმდიდრეს თავისთვის მოიგროვებსო.

იმერლისა ცხონებაც არ ვარგაო.
მისი დროსტარებაც წარსულს ჩაბარდაო.

იმიტომ არის ვეშაპი ზღვაში, რომ თევზი ფხიზლობდესო.
იმიტომ ვიჭერთ თევზს წყალში, რომ ასე ძვირობდესო?!.

იმ მეზობლის ჭირიმეო, ვინც კვერცხზე მარილს მოგიყრისო.
ამ სიკეთეს მეზობელი სიკეთითვე მოიმკისო.

ირემმა ირემს ბალახი გაუნოდა,—არც შენ გაკლია და არც მეო.
ნამდვილი გულკეთილობა იქნებოდა, თუ ზამთარში თივას გაუწვდიდა და ეტყოდა: შენც გაკლია და მეცაო.

ისარს ისვრის და მშვილდსა მალავსო.
თეთრებს გვაჩვენებს, ლარებს მალავსო.

ისევ ის თომაა, ისევ ის ტყავი აცვიაო.
ამას ჰქვია მოდების "სტაბილიზაციაო".

ისევ ჩემმა ნახულმა მგელმა შემჭამოსო.
და ნაცნობმა მონადირემ გამატყაოსო.

ისევ წახვალ გუდამაყარს, მამა-პაპის ალაგსაო.
ისევ ასწევ წინაპრების გამარჯვების ალამსაო.

ისეთ სკამზე ნუ დაჯდები, რომ მალე აგაყენონო.
ბრილიანტებს ნუ შეიძენ, კედელთან არ მიგაყენონო.

ისეთი თავი რად გინდა, ქვეყანა დაგცინოდესო.
ისეთი კაცისა რა ვთქვა, რომ წინსვლას არ ცდილობდესო.

ისეთ ხუმრობას რა ვუთხრა, ნახევრად ტყუილი არ იყოსო.
ხუმარაცა და მსმენელიც,—ყველა სიმართლეს ითხოვსო.

ისე გაიქეცი, არ წაიქცეო.
თუ წაიქეცი, რბილად მაინც დაეციო.

ისეთი გოდორი დაწანი, შენ შვილსაც გამოადგესო.
არ დაიშუროს წკნელები, გინდ კლდიდან ჩამოვარდესო.

ისეთი ტყუილი უნდა თქვა, რომ ფეხები ჰქონდესო.
ჩვენი ქალი საშუალოდ სამ შვილს მაინც შობდესო.

ისეთი ლუკმა ჩაყლაპე, ყელზე არ დაგადგესო.
ისეთ საქმეს შეეჭიდე, რომ იოლად მოგვარდესო.

ისეთი ხიდი გადე, შენმა შვილიშვილმაც ზედ გაიაროსო.
ვერ ჰპოვოს მსგავსი ნაშენი, ქვეყანა დაიაროსო.

ის რკინა სჯობს იმ რკინასა, რა რკინაც გაჭრის რკინასა.
ის ბინა სჯობს ამ ბინასა, ადრე რომ ჰქონდა მდივანსა.

ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა.
ის ურჩევნია შვილსაო, მამა აძლევდეს ფულსაო.

ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს ინველიდესო.
რათა რძის ფხვნილით მოვაჭრე თავ-პირში იცემიდესო.

იცის მშოვნელმა და არა მჭამელმაო.
გაიგოს ყველამ—ამვლელ-ჩამვლელმაო.

კ

კაბდომ იცის სამართალი, მაღალ-დაბალს გაასწორებსო.
სიკვდილიც ხომ ასეთია—მდიდარს, ღარიბს გაასწორებსო.

კაი ბატონის ხელშიო სწორად ვიდექით ნელშიო.
სილატაკე და შიმშილი ოთხმოცდათვრამეტ წელშიო?!.

კაი კაცი სხვას სიცუდეს არ მოუწონებსო.
კაი კაცი ცუდის მქნელს კარგისკენ მოუწოდებსო.

კაიკაცობა კაცს არ აწყენსო.
არც ავნებს რამეს, არც გულს ატკენსო.

კაი გული და კაი პურიო.
სად ველური და სად კეთილი გულიო.

კაი კაცი ხის ნვეროზე დაარჩენს ქალსაო.
კაი კაცი მტერს და დუშმანს დაუბრმავებს თვალსაო.

კაი მაშოვარს კაი შემნახავი სჯობია.
თუ არაფერი იშოვე, რას შეინახავ, გოგია.

კაი მთქმელს კაი გამგონი უნდაო.
ენამწარეს კარგის მთქმელი სძულდაო.

კაი სიტყვა, კაი მთქმელი, კაი ღვინო, კაი მსმელი.
კაი თავი, კაი ტვინი, დალუპვიდან გამომხსნელი.

კაი ქალსა თავი სთხოვე: თუ არ მოგცემს, ხომ არ გაგცემს.
ქალებს თავს ნუ შეახოცებ, თორემ გიკურთხებენ ლოცვებს.

კაი ქალს კაი ცხენი სჯობია, კაი ცხენს კაი თოფიო.
რომელს ირჩევდი? არ დაილევა უკეთესი და მჯობიო.

კაი შვილი დედის გულის ვარდიაო.
ცუდი შვილი დედ-მამის ბარგიაო.

კალმის წვერს ხანჯლის წვერზე მეტი ძალა აქვსო.
ულვაშის ღერს ახლა ფასი აღარ აქვსო.

კანონს მოსამართლეებიც არღვევენო.
დალაგებულ სარჩიელს დომხალივით არევენო.

კარგ მიწაზე კარგი ყანა მოდისო.
კარგ საქონელს კარგი მყიდველი მოსდისო.

კარგ მონადირეს თოფი არ დაუჟანგდებაო.
უმიზნოდ არცერთი ტყვია არ გაუვარდებაო.

კარგი მოცეკვავე ძროხის ცოხნას აჰყვებაო.
კარგი მოსაუბრე რჩევა-დარიგებას დაჰყვებაო.

კარგის მთქმელს კარგი გამგონე უნდაო.
კარგს ვიტყვი, თუნდაც დამარტყათ უეცრად თავში გუნდაო.

კარგმა ოჯახმა კარგი მომიყვანა, ავმა-ავიო.
ავმა ოჯახმა ავად გამზარდა მომაკვლევინა თავიო.

კარგმა ხემ კარგი ნაფოტი იცისო.
კარგმა კაცმა—სიმტკიცე ფიცისო.

კარგ საპირეს კარგი სარჩული უნდაო.
საქონელს როცა იყიდი, გადაამონწმე ხურდაო.

კარგ საძირკველზე კარგი კედელი ამოვაო.
მკვიდრ ბალავარზე შენობაც მკვიდრი გამოვაო.

კაცი თუ გონიერია, სოფელი ღონიერია.
კაცი თუ ქონიერია, ცხოვრება ზომიერია.

კატა ვერ შესნვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო.
კაცი ვერ შესსვდა ძეხვსაო, ძვირი ფასები დევსაო.

კატა თაგვებში მამაციაო.
ზოგჯერ დაჭერაში ზარმაციაო.

კატა ისე უნდა დაიჭირო, ბრჭყალი არ გაგკრასო.
რა დიდი სიხარულია, როცა ისრულებ ნატვრასო.

კატამ შეჭამა ძეხვიო, ამოიკვეთა ფეხიო.
თავისი საქმე აკეთოს—მუშა არის, თუ გლეხიო.

კატას ფილტვი მიაგდეს, იმასაც ეს უნდოდაო.
კატამა თქვა ჩვენი ჯიში ადრიდანვე ქურდობდაო.

კატაც შეხედავს მეფესაო.
იქნებ მოელის "ჩეპე"-საო.

კატის მანძილი საბძლის ბოლოაო.
ვირს ეჯავრება პიტნა და ღოლოაო.

კაცი რასაც აკეთებს, შთამომავლობას რჩებაო.
ამაზე კარგს და სასურველს, არაფერს არა შვრებაო.

კაცია და გუნებაო, თავში ჩაბრაგუნებაო.
ადვილია თვრამეტ წლამდე გოგონების ცდუნებაო.

კაცი არ ვარგა უმტერო, არც მეტად მტერმორეული.
არც მამაკაცი უწვერო, ქოსა და დღედალეული.

კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო.
იღბალი გინდა, ძმაო, უცილოდაო.

კაცი გაზომე გაჭირვებაშიო.
მომღერალი კი—დალხინებაშიო.

კაცი გულითაო, ხე ძირითაო.
კაცი პირითაო—უტეხელითაო.

კაცი გულითა ხარობს, ცეცხლი კი—უგულოთაო.
ფეხს ვერ გაადგამ ქალაქში უფასოდ, უფულოდაო.

კაცი ზღვას გადაურჩა და ცვარმა დაახრჩოო.
უგუნურმა მასპინძელმა სტუმარი ღვინოში ჩაახრჩოო.

კაცი იმ ტოტსა სჭრიდა, რომელზედაც ფეხი ედგაო.
უმეგობროდ და უკაცოდ ვერავინ ფეხზე ვერ დგაო.

კაცი ისე არსად იცნობა, როგორც მგზავრობაშიო.
მითუმეტეს მაშინ, როცა ზის მთავრობაშიო.

კაცი კაცითაო, ღობე ქაცვითაო.
ახლადნაყიდი ტუფლები ერთ თვეს გაცვითაო.

კაცი კაცის წამალია, დაიჯერე, ამალია.
ინგრევა და იჭყლიტება ღობე, სადაც დაბალია.

კაცი კაცს მიატანს, ნადირი—ტყესაო.
ღარიბი—მდიდარს, მრევლი კი—მღვდელსაო.

კაცი მოკვდება და სიტყვა კი—არაო.
სიცოცხლე სწრაფია, შენც მიჰყე ჩქარაო.

კაცი რასაც თავის თავს უზამს, იმდენს მტერი ვერ უზამსო.
კაცი თავისი სირეგვნით სხვასაც მოუტანს ზიანსო.

კაცი რომ გამდიდრდება, სახლის კედლები მრუდედ ეჩვენებაო.
კაცს, როცა ჯიბე სქელი აქვს, გული და საქმე ეჯერებაო.

კაცი რომ დაითვრება, ორი კაცის ტოლი გახდებაო.
ლაპარაკში რომ ჩაირთვება, გალავანზე ახტებაო.

კაცის აშენებული ოჯახი ღმერთმა ვერ დააქცია, ღმერთის
აშენებული ოჯახი კი—ქალმა დააქციაო.
ქალის მაგიურ ძალას ღმერთიც ვერ უმკლავდებაო.

კაცის თვალი ხარბიაო.
რაც ცუდია, ცუდია და რაც კარგია კარგიაო.

კაცი შიგნით არის ჭრელი და გველი გარედანო.
ასეთი კაცი ცემით უნდა დააჭრელო გარედანო.

კაცი ძირს ვერ დადიოდა, ალვის ხეზე ადიოდაო.
კაცი ძლივ-ძლივს დადიოდა, ათ კილომეტრს გადიოდაო.

კაცი წყალში იხრჩობოდა და ხავსს ეჭიდებოდაო.
წყალში ჩასვლამდე მყვინთავებს ცურვაში ეჯიბრებოდაო.

კაცმა ისეთი ლუკმა არ უნდა გადაყლაპოს, რომ ვერ მოინელოსო.
ზოგის აზრს ვერ გაიგებ, ზოგი სწორად მსჯელობსო.

კაცმა კაცთან გაიარე და ფასი დაგედებაო.
უსინდისოსთან გავლით კი სახელი წაგიხდებაო.

კაცმა კაცისა თქვა, საქმემ კი—ორივესიო.
წისქვილმა ხორბალი ფქვა, საფქვავი ონოფრესიო.

კაცმა კაცს ვენახი აჩუქა და იმან ყურძენიც აღარ აჭამაო.
აი, გაუმაძღრობისა და სიძუნწის გამოვლენაო.

კაცმა რომ კაცი გაიცნოს, ცხრა ფუთი მარილი უნდა შეჭამონ ერთადო.
ქვა მარილიც და დაფქულიც,—ორივე ანათებს თეთრადო.

კაცმა საყდარში ხატი დაკარგაო.
უაზრო გულუხვობით რესტორანში ფულები დაფანტაო.

კაცმა ფეხი ისე უნდა გაჭიმოს, საბანს გარეთ არ დარჩესო.
როცა წყალი არ მოდის, ონკანს ნუ გააღებ, ღია არ დაგრჩესო.

კაცმა ჭირი მალა, მალა, ჭირმა თავი არ დამალა.
დღეს თუ არა... დაუკვირდი, გამოჩნდება იგი ხვალა.

კაცო ნუ გიკვირს სიმდიდრე, სიმდიდრე სიზმარიაო.
ასეთი სასიამოვნო სიზმრით, ზოგჯერ მეც მიძინიაო.

კაცს ენა მოატყუებს და ძროხას—მარილიო.
ისეთ მახეს დაგიგებენ, რასაც არ ელიო.

კაცს თავსა სჭრიდნენ და ის კი მუწუკს ჩიოდაო.
უსინდისოდ ტიროდა და ნიანგის ცრემლები სცვიოდაო.

კაცს თუ ახლო არ იცნობ, ნურც აქებ და ნურც აძაგებო.
კაცთან სიახლოვე გამოცანაა, ან გამოიცნობა, ან არაო.

კაცს მჭადის სახელი დაავიწყდაო.
ხაჭაპურის სახელი კი სულაც აღარ ეხსომებაო.

კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს: ერთი აქ დასატოვარი, მეორე—იქ წასაღებიო.
მთავარი აქ დასატოვარია, თორემ იქ ოთხი ფიცრის მეტს ვერაფერს წაიღებსო.

კაცს რომ პირველი ცოლი მოუკვდება, მეორე გაუტკბებაო.
გაციებული სიყვარული უმალვე გაუთბებაო.

კაცს სადაც მტერი ჰყავს, იქ მოკეთეცა ჰყავსო.
მოკეთეების სიმრავლე დააგუბებს ზღვასო.

კაცს სულში ვერ ჩაუძვრებიო.
უფულოდ ოჯახს ვერ გაუძღვებიო.

კაცს ცოლი სხვისა ურჩევნია, შვილი კი თავისიო.
როცა მოგწონს, ნუ აყოვნებ, ქალი ცოლად დაისვიო.

კაცს ცხენი არა ჰყავდა და უნაგირს ნატრობდაო.
უნაგირი იშოვა და ახლა ცხენით ვაჭრობდაო.

კბილის ჩიჩქნითა მუცელი არ გაძღებაო.
კბილის ტკივილს უნდა კარგი გაძლებაო.

კბილი ტკბილია, მაგრამ, როცა ადამიანს გაამწარებს, მოიგლეჯს
და გადააგდებსო.
**ყველაზე ახლობელსაც კი, როცა ის სიცოცხლეს გაგიმწარებს,
ადვილად გადაგდებო.**

კედელ-კედელ იარეო, ოღონდ კი გაიარეო.
შენი კუთვნილი სიცოცხლის წლები სიმღერით ჩაიარეო.

კედელს ცერცვი შეაყარეო.
კრავს მგელი შეაყვარეო.

კევის მღეჭავი თავის კუჭს ატყუებსო.
ლამაზმანი თავის სხეულს სუნამოებს აპკურებსო.

კეთილი გულიო. ხახვი და პურიო.
კაცს ბოლოს მოგიღებს მტრობა და შურიო.

კვერნასაც თავისი ტყავი სჯისო.
ყველა ყველაფერს თავისთვის ქმნისო.

კვერცხის გემო თავის ნონა მარილი არისო.
იმედი გვაცოცხლებს, იმედი ხვალისო.

კვირაძალის სიზმარი ან წუთი, ან ცრუიო.
ნუ იმართლებ თავს, როცა გრძნობ რომ სტყუიო.

კვიცი გვარზე ხტისო.
მგლის დანახვაზე მთელი სხეულით თრთისო.

კვიცი იყიდე და დედა უკითხეო.
ბრიყვსა და სულელს ქცევის წესები უკითხეო.

კვიცსაც გავხედნი და სიდედრსაც ვნახავო.
შემწვარიც და მოხარშულიც არ იქნება გლახაო.

კითხვა-კითხვით კაცი ისპაჰანს მივაო.
თაღლითობითა და ქურდობით წავიდა წინაო.

კიტრის ქურდი იანვარში იკვეხნისო.
როცა აღარ არსებობს სიმწვანე ხისო.

კოვზის პირით საფქვავი დაყარე და ტარით მიდი აიღეო.
ამ ყაიდით იმუშავე, თანაც სახლში წაიღეო.

კოკა მუდამ წყალს ვერ ზიდავსო.
არ ერგება და—ლარებსა ჯიბავსო.

კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდება.
კაცს ხასიათში რაცა აქვს, უთუოდ გამოვლინდება.

კოკა წყალზე გატყდებაო.
ენა ლაპარაკით გაცვდებაო.

კომბლე ცემით მოკლეს, რატომ ძმები არა გყავსო.
ეგ ჩემს დედ-მამას ჰკითხეთ, მე რა შუაში ვარო.

კოღოსაც თავისი მუცელი აბზუებსო.
ყველა წონაში და ფასებში გვატყუებსო.

კოღო ლომსაც მოერევა ხერხითა და ფანდითაო.
უსახლო და უბინაო დაწანწალებს ბარგითაო.

კრავის თავს მოველოდი და ძაღლის თავი გამიგორდაო.
სიყვარულს მოველოდი და შხამ-გესლი დამიგროვდაო.

კრუსუნა დედაბერმა ქვეყანა ამოჭამაო.
საქელეხე ხაშლამა ქვაბიდან ამოჭამაო.

კუდა ხარი თავისთვის არ იყო, სხვას ბუზებს უგერიებდაო.
კუდა ხარმა გაიწია, ქვეყანა ვერ დაეწიაო.

კუზიანს სამარე გაასწორებსო.
მოჩხუბარ რძალ-დედამთილს ქმარიც ვერ გააშველებსო.

კუმ ფეხი გამოყო—მეც-ნახირ-ნახირო.
არ გამოგრჩეს შეჭამანდში ჭარხალი და სტაფილო.

კუპრი რაც უნდა ადუღო, თაფლად არ გადიქცევაო.
ნასვამ-ნაჭამი კაცი ადვილად არ წაიქცევაო.

კურდღელი დაამწყვდიეს და ურმის თვალი მიაფარესო.
ზოგიერთ არამზადას ამწყვდევენ, მაგრამ მეორე დღესვე
გარეთ არისო.

კურდღელი რომ გამოვარდა ჩემს მწევარს მაშინ მოუნდა
საქნელიო.
დრო და ჟამი შეარჩიე, მაშინა თქვი სათქმელიო.

კუს ბაკანი გაუტყდა,—ჭირადაც ეყო და ლხინადაცაო.
იყავ თამამი და გაბედული, რად გინდა შინა დაცვაო.

კუდა ხარი თავისთვის არ იყო და სხვებს ბუზებს უგერიებდაო.
ზარმაცი მეგუთნე თავისას არ ხნავდა და სხვებს მიწას უკვალავდაო.

კაცი ცხენზე იჯდა და ცხენსა კითხულობდაო.
კაცი ვირზე იჯდა და მანქანაზე ფიქრობდაო.

ლ

ლამაზი—ნამძინარევი, მახინჯი—ნაბანავები.
მოგვენატრა გრძელი კაბა და გრძელი ნაწნავები.

ლამაზი ქალი დღეს შენია, ხვალე-სხვისააო
მოსამართლის კანონები ხშირად სავსე ქისააო.

ლამაზი ქალის ცოლად შერთვა წყალში ჩავარდნააო.
წყალში რომ არ დაიხრჩო, შეიძინე სკაფანდრაო.

ლაპარაკ-ლაპარაკით ცხენი გაჰყვა ამხანაგსაო.
ნუ დასცინებ და ნუ შეურაცხყოფ "დაბალ" ხალხსაო.

ლაპარაკ-ლაპარაკშიო ღორი შევიდა ყანაშიო.
გამოძღა სიმინდის ჭამით, მერე ჩაწვა ჩალაშიო.

ლარი გაიტანს კედელსაო.
ლარი კედელს კი არა, მთელ საქართველოს გაიტანსო.

ლარი რამდენი ძლიერად გაიჭიმება, იმდენად მალე გაწყდებაო.
ლარი იმდენი მაინც გეძლეოდეს, რამდენიც გაგწვდებაო.

ლაფი აიღე—ტალახს წაუსვიო.
მოღალატეს შეურცხვეს სინდის-ნამუსიო.

ლეჩაქის მქსოველს გოდრის დანვნა უჭირდაო.
ცოლის მთხოვნელს მისი რჩენა უმძიმდაო.

ლიტრას ეუბნებოდნენ და კოკავ შენ გესმოდესო.
დაიმსახურე, რომ ღვინო კოკითაც შეგესმოდესო.

ლოკვით მუცელი არ გაძღებაო.
ღმერთო, მოგვეცი ძალა და გაძლებაო.

ლომს ხერხით კოღო მოერიაო.
კბენით და ბზუილით ტვინი აურიაო.

ლოქო დასაჯეს და მორეეში გადააგდესო.
ქეიფი და ლხინი სამ დღეს გადააბესო.

ლუკმა გავარდეს—ჯამში ჩავარდესო.
შიმშილსა და სიღატაკეს ჯანიმც გავარდესო.

ლუკმას დილისას წყალში ჩაჰყეო, საღამოს ნიხლი ჰკარიო.
დაიმახსოვრე ეს რჩევა და ყურიც მომაპყარიო.

ლხინი გაუჭირვებლად არ ინახვებაო.
ახლა ლხინი და ჭირი ერთად ინათლებაო.

ლხინი მიყვარს ნებისაო,—განა ცემა-ტყეპისაო.
ბევრს არა გთხოვთ, ლარი გვინდა ჩვენი გადარჩენისაო.

ლხინში მეც შენთანაო, ჭირში კი შენ-შენთვის, მე-ჩემთვისაო.
ლხინი არ ღირს ბევრთანაო, ქუდის სროდა ჭერზედაო.

ლხინში ნაბიჯით წადი, ჭირში—სირბილითო.
ჩატროყებულს არ გაწყენდა ვარჯიშები დილ-დილითო.

ლოდინი გულსა ჰკლავსო.
წუთებს საათებად ჰკრავსო.

მ

მადა ვისა აქვს და ფლავი ვის უდგასო.
ზოგიერთ გაუმაძღარსა ოთხი მანქანა უდგასო.

მადლი მატლად იქცაო.
ქვეყანა მთლად დაიქცაო.

მადლს მარილიც მოაყარეო.
მთლად ნუ გაშიშვლდი გოგონავ, რამე მოიფარეო.

მაინცა ვკვდები და შენი ჭირიც მეო.
ვინც წაიღო ქვეყნის ჭირი, ამოივსო ლაფით პირიო.

მალვით მოღალატეს მალვითა სცემენო.
ახლა ქურდსა და ავაზაკს უფრო მეტ პატივს სცემენო.

მამა დაივიწყა და მამინაცვალს ფიცულობსო.
ყველა ობოლი დედ-მამას კითხულობსო.

მამა ერთია და დედა-ორი.
სიკვდილის შემდეგ დარჩება ნოლი.

მკვეხარა ბენვად არა ღირს, მამაკაცს თავმდაბლობა ამშვენებსო.
მკვეხარა მამლის არ იყოს, ყივილით სახლს რომ აშენებსო.

მამალი რომ ფრთას შემოკრავს, იცოდე რომ გათენდება.
გაათენებს ყივილით და დაქანცული გაჩერდება.

მამალს მელიას მეგობრობა არ გამოადგებაო.
ვადაგასული საჭმელი უღმერთოდ იყიდებაო.

მამას გაუარა, მამობილს მიეფარაო.
შორიდან მიეფარა და ახლოს ვერ მიეკარაო.

მამაჩემი ხარაზი იყო, მე ნალბანდობას რა მრჯიდაო.
მშობლების შრომით ნაშოვნი შვილს სიამაყეს ჰგვრიდაო.

მამის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოსჭრა კბილიო.
ცოლ-ქმრის მუდმივმა დავამა დაასახიჩრა შვილიო.

მამლის ყივილს სახედარი ბანს აძლევსო.
მამის აშენებულს რეგვენი შვილი ანგრევსო.

მამულმორეულს მტერმორეული სჯობიაო.
წყალმორეული ღვინო, აბა, რა დასათრობიაო.

მანამ ხმალი მოვიდა, ენამ თავი მოსჭრაო.
მანამ ექიმი მოვიდა, ავადმყოფი მოკვდაო.

მართალი გულით ტიროდა, მტყუანი—თვალებითაო.
ზოგი იოლად ცხოვრობს და ზოგი კი—წვალებითაო.

მართალი კაცი ქვაზე მაგარიაო.
ძნელად გაიგებ კაცი რა გვარიაო.

მართას კოცნა დაუპირეს, თეკლემ ტაში დაჰკრაო.
მართამ თავი მოუხარა, თეკლემ თავში ჩაჰკრაო.

მარილის მთხოვნელს თუ მარილს არ მისცემ, მარილიანი სიტყვა მაინც უთხარიო.
ახალ ბინებს ძველებური აუშენეს ბუხარიო.

მარტი პატარძალია, დღეში სამჯერ მოირთვება და სამჯერ მოიღუშებაო.
ენით მიყენებული ჭრილობა ძნელად მოიშუშებაო.

მარტი რომ წინ გედოს, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებო.
რძალს თაფლობისთვის ბოლომდე ნურც აქებ და ნურც აძაგებო.

მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო.
ბაზარში ხორცი ვიყიდე, ნახევარი ძვალიაო.

მარტო ცხენი ძლიერ გაჭენდებაო.
გაჭენებული ცხენი ძნელად გაჩერდებაო.

მარხვის მჭამელს ხსნილშიაც არა ჰქონდა რაო.
მარხვაა თუ ხსნილია, ცხიმი მთლად მოხსნილია.

მარჯვე კურდღელი თავისთვისაც იშოვის და სხვისთვისაცო.
დაგვეკარგა კურორტები: გაგრაცა და ბიჭვინთაცო.

მასპინძელი სტუმრის ვირიაო.
ახლა მასპინძლობა ძალიან ძვირიაო.

მასპინძლისა მარილიც მეტი ნავაო.
რასაც შეჭამ, ყველაფერი, ბოლოს მტკვარში გავაო.

მაღალს ვერ შესწვდნენ და დაბალს ვერ დასწვდნენო.
ფულიანს ვერ შებედეს და უფულოს წასწვდნენო.

მაღლა ბავშვი ავწიე და თავში ჩამკრაო.
დაბლა ჩამოვსვი, გავუწყერ, ასე არ უნდა ჩარტყმაო!..

მაშვალის ცალი ფეხი ეშმაკისააო.
მეორე ფეხი კი—დედა ღვთისააო.

მაშინ დამძახე გუგულო, ყანა რომ დავაგუგუნო.
არა მწამს კაცი ზარმაცი, უყაირათო, უგულო.

მაშინ ვაქებ ალოსაო, როცა გავლეწ კალოსაო.
ნალიას და სასიმინდეს,—როცა მოვტეხ ტაროსაო.

მაძღარს მშიერი მაძღარი ეგონაო.
მაძღარს სხვისი მუცელი რაში ენაღლებოდაო.

მანანწალა მელამ აჯობა მწოლიარე მგელსაო.
მელა მაინც მელა არის—მატყუარა, ქლესაო.

მანანწალა ძაღლი ახში რასმე ნაანყდებაო.
მანანწალა ძაღლი ნაგავში ქექვისას სამუცლაოს წასწვდებაო.

მახლობელი კარგი მეზობელი სჯობია შორეულ ძმასაო. .
მეზობელი მოგისმენს და ძმა კი არ გაცდის თქმასაო.

მახე მაშინ გასხლტებაო, კუდი რომ ყალყზე დადგებაო.
მუქთა—მუქთა პურმარილი ყელზე რად არ გადგებაო.

მბრძანებელი—ღმერთია და დიამბეგიაო.
შენისთანა უგუნური ბევრჯერ დამიბეგვიაო.

მგელი თხას ისე არ დაიჭერს, თუ კბილები არ დააკანკაწაო.
მგელი თხას არ დაიწუნებს, გინდ დიდი იყოს, გინდ პაწაწაო.

მგელი ისე არ მოკვდება, თხის დასამარხი გახდესო.
კაცისგან ცუდს მოელოდე, როცა სინდისი წახდესო.

მგელი მწყემსად—სად არის წესად?!.
ცხვრის ფარას აუტეხს ბღავილს და კვნესას.

მგელიც ღმერთსა სთხოვს საზრდოსაო.
რომ თავისი ლეკვები ზარდოსაო.

მგელმა უთხრა მეცხვარეს: ეგ ძაღლები დახოცე და შენს ფარას ხელს არ ვახლებო.
ეგ პირობა ნოტარიუსით რომ დამიმტკიცო, მაინც არ დაგიჯერებო.

მგელმა ციკანი იშოვნა და—ბალნიანიაო.
ფერითაც არ მომწონს—შავგვრემანიაო.

მგელს მგლობა ერქვა, ტურამ ქვეყანა ამოაგდოო.
მგელსა და ტურას შორის ძმობა ვინ ჩამოაგდოო.

მგზავრი კაცი ნაშუადღევს ბინას უნდა ეძებდესო.
მგზავრს თუ გზაში დაუღამდა, ბინას ვეღარ იშოვნისო.

მგელს ტკბილი სიტყვით ვერ მოიშინაურებო.
მგელს წვრთნითაც ვერ მოათვინიერებო.

მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ და—გამიშვი, მთაში ცხვრები მიდიანო.
ბაზრის გადამყიდველები მამასისხლად ჰყიდიანო.

მგლის ქორწილი, თხის სიკვდილიო.
მგლის სიკვდილი, თხის სიცილიო.

მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო.
ტკივილის გამო კბილები მთლად ვის დაუგლეჯიაო.

მდიდარი კაცის მამალიც კი კვერცხს დადებსო.
თანაც თითო კვერცხიდან ორ წიწილას ბადებსო.

მდიდარი მკვდარსა სტიროდა, ღარიბი ხარჯსა ჩიოდა.
მდიდარს არ ჰქონდა საფიქრი, ღარიბს კი ცრემლი სდიოდა.

მდიდარს უთხრეს: "მშვიდობაშიო". ღარიბს უთხრეს: "ვინ მოგცაო"?
ვინ მომცა და მდიდრის გადაყრილი მე მომცესო.

მდიდრის კატას სტიროდნენ და ღარიბისას კაცსაც არაო.
მდიდრისას შოთებს აცხობდნენ, ღარიბთან მჭადსაც არაო.

მეგრელს ფაცხა ეწვებოდეს,—ხელი მოითბეო.
აფხაზეთი ჩვენ დაგვრჩება, ჩვენი იყო ოდითვეო.

მე და ბატონი დავრჩით მარტონი.
ამ ქვეყანაზე არ გვყავს პატრონი.

მე და ჩემმა ქმარმა ვიანგარიშეთ და ჩემს მაზლს არა ერგო რაო.
ნეტავ რაზე იანგარიშეს—საანგარიშეზე თუ კომპიუტერზეო?

მედღეხვალიე კაცსაო, თოვლი მიადგა კარსაო.
ოჯახი გაუკოტრდება, დაემსგავსება მკვდარსაო.

მეზობელი მეზობლის სარკეაო.
და-ძმისაგან, ძმა-ძმისაგან, მშობლებისგან ცალკეაო.

მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო.
იმედი ხარ დღევანდელი, დღეს თუ არა, ხვალისაო.

მეზობელს თუ რამე აქვს შენცა გაქვსო.
ზოგჯერ, რაც შენა გაქვს, მეზობელს არა აქვსო.

მეზობელს მეზობლის მკვდარი მძინარე ეგონაო.
ჭირისუფალი იმაზე ფიქრობდა დასამარხი სად ეშოვნაო.

მელამ თავისი კუდი მოწმედ მოიყვანაო.
მოსამართლემ განაჩენი სისრულეში მოიყვანაო.

მელა საქათმის კარზე მოკვდებაო.
ქათმებისაგან გამძლარი ჯოჯოხეთში მოხვდებაო.

მელას თავისი მახრჩობელა უყვარდაო.
საქათმეში შეპარვას დრო და ჟამი უფარდაო.

მელა სოროში ვერ ეტეოდა, კუდზე ეკალს იბამდაო.
საქათმეში რომ ვერ შეძვრა, მხოლოდ მასზე იდარდაო.

მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო.
მამლაყინწა და პუტკუნა ვარიკა ეზმანებოდაო.

მელას ჰკითხეს: თავი საით გიყოთ და—საქათმისკენო.
თუ მახეში გავები, მაშინ კი—საიქიოსკენო.

მელია ცოცხალ ქათმებს ჭამდა და - მე რა ვქნაო?..
შენ გაყინული ბულგარული ქათმებიც გეყოფაო.

მელიის კუდის მოქნევამ ქათამს თვალი გამოსთხარაო.
წყვიტა და წყვიტა ქათმები, ველარც კი დაითვალაო.

მელიის მფარველობასა, ლომმა შემჭამოს—სჯობიაო.
თუ მაგარი მფარველი გყავს, ვერავინ შეგჭამს, გოგიაო.

მელოტი თმასა ნატრულობს, მშიერი—მჭადის ჭამასო.
მთელ ღდე და ღამეს უნდება კარტის, დომინოს თამაშსო.

მერიქიფეს თავი თამადა ეგონაო.
გრძელ სადღეგრძელოს აბობდა, რომ თამადისთვის ეჯობნაო.

მესხი მოვიდა, მკვიდრი აჰყარაო.
აღარ გვეცხოვრება აქ, აღარაო.

მეტი სიტყვა თავსა გვატკენს, მეტი ჭამა მუცელსაო.
საახალწლოდ მეკვლე მოგვცემს კაკლებსა და ჩურჩხელებსაო.

მეტისმეტი—თავში რეტიო.
თუ არ დადგები—თავში კეტიო.

მეტისმეტმა სიწმინდემ საბერძნეთი დააქციაო.
გაჭირვებამ ქართველები საბერძნეთში გააქციაო.

მეტიჩარა მაყარი ნეფე-დედოფალს წინ უსწრებდაო.
მეტიჩარას ყოველთვის ენა წინ უსწრებდაო.

მეფე გულში მღეროდა, ყმანო ბანი მითხარითო.
რას გაუგებ ამ ცხოვრებას მისნითა და მკითხავითო.

მეფის საყვარლობას მჭედლის ცოლობა სჯობიაო.
მეფე და კაი ცხოვრება,—ეგ რა დასათმობიაო?..

მეღორის ცოლი საღამოს დაიწყებს პირის ბანასო.
მეღორის ცოლი ახლა მიირთმევს ფორთოხალსა და ბანანსო.

მე შენკენაო, შენ ეშმაკებისკენაო.
დაიცავი სიმშვიდე, მოიშალე კბენაო.

მეც გავძეხი და ჩემი სტუმრებიცაო.
სტუმრის გაძღომას უნდა მიხვდე გუმანითაო.

მეც ვიცი, რომ კარგიაო, მაგრამ მე რას მარგიაო.
რასაც კარგად ვერ იხმარებ, სულ ზედმეტი ბარგიაო.

მზაზე— მზარეულობაო.
სახლში არეულობაო.

მთა და ბარი ვის გაუსწორებიაო.
მსუქნისთვის გამხდარი ვის გაუყოლებიაო.

მთა მთას ვერ მოხვდება, კაცი კაცს კი მოხვდებაო.
ხდება ასეც: სანამ მოხვდება, მანამდე მოკვდებაო.

მთელ დღესა მოქეიფესა არა დარჩა რა ეახშმადა.
რაც ხალხი მაგრად ატყავა, ერთ დღეში უცბად ჩაშხამდა.

მთელი ეს ქვეყანა სესხი და ვალიაო.
მითუმეტეს, თუ გაიცან კატია და ვალიაო.

მთვარე პატარაა, მაგრამ ქვეყანას კი ანათებსო.
პატივი ვცეთ წინაპრების წესებსა და ადათებსო.

•მთვრალ კაცს ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა—ქალამნადაო.
ქვეყანაზე ძლიერ მომრავლდა ლოთი, ზარმაცი, არამზადაო.

მთვრალს ხელის წაკვრა არ უნდაო.
მთვრალს ლოგინის მეტი რა უნდაო.

მთხოვნელი და მწუნებელი ღმერთსაცა სძულს კაცსაცაო.
პარლამენტარ იპოლიტეს სახლიც აქვს, დაჩაცაო.

მიდი და მოდიო, განა მიდი და მოკვდიო.
ფხიზელი ხომ წახვედი, რესტორანში მოხვდიო?!.

მიდის, მოდის გაბრიელი, არავინ ჰყავს მადლიერი.
ოჯახით და ნათესავით მშიერია გაბრიელი.

მისვლა-მოსვლას ვყვებოდიო, ოჯახობას ეცდებოდიო.
დღე და ღამე ვქეიფობდი, ო, რამხელას ვცდებოდიო.

მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო.
თვალთმაქცურად გიწონიან, იყიდი და აკლიაო.

მიმინო რომ გაძღებაო, ხელზე აღარ დაჯდებაო.
ბულასავით სქელკისერა მეძავებთან დაძვრებაო.

მინდორს თვალი აქვს და კედელს-ყურიო.
ხმამაღალი როხროხით შეგვიჭამა გულიო.

მიციას მოცია უნდა, ბიძიას—ბიცოლაო.
შრომას დაფასება უნდა და საქმეს—მიწოლაო.

მიძალებული პური ძაღლმაც არა ჭამაო.
ტალონების ნორმა კი—ბავშვმაც ვერ იკმარაო.

მიწას მიწა დააყარე—პატივად დაედებაო.
მშვიდად და წყნარად იარე— პატივი დაგედებაო.

მიხვდა მშოვნელი და მჭამელი—ვერაო.
ენა ნუ გისწრებს, მათქმევინე ჯერაო.

მიჰყევ, მიჰყევ სიმართლესა, გამოგილევს სინათლესა.
პენსიონერს ვინ აღირსებს კომერციულ სინათლესა.

მკვდარი ადგა, აღარ დადგაო.
კომერციულ ვაჭრობისთვის ჯიხურები ჩადგაო.

მკვდარი ვინ გააცოცხლა ტირილითა და ვიშითაო.
სახლი ვის უშენებია ტალახითა და ქვიშითაო?!.

მკვდარი მკვდარს აეკიდა სამარემდე მიმიტანეო.
პატრონი მკვდარს გაეტირა, ბარემ თან წამიყვანეო.

მკვდარსაც აკლია და ცოცხალსაცაო.
ჩვენ ოჯახებსაც და მთელ ხალხსაცაო.

მკურნალო, განიკურნე თავი შენიო.
ღმერთმა გიშველოს, თუ სხვას შველიო.

მოგება და ზარალი—ორივე ძმები არიანო.
შენი არ ვიცი და მე კი პირველი ძმა მომწონსო.

მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო.
დასეტყვილ ბაღ-ვენახებს, რით ვუშველო, რაღა ვქნაო!?.

მოვიდა შიმშილი, წავიდა სირცხვილიო.
ვინც არაფერს გეკითხება, ნუ ჩაყავი შიგ ცხვირიო.

მოკვდა მღვდელი უზიარებელიო.
აღარც ცოლი იტირებს, აღარც მეზობელიო.

მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო.
მოთმინებითა შენითა ამოგძვრება სული შენიო.

მოკვდა პაპა, დარჩა ჯაყვა.
სამარეში რაღა ჩაჰყვა?

მოკლას ხარი თივამაო.
ველ-მინდვრები—წვიმამაო.

მოკლე მიწა თვალს ახარებს, გრძელი მიწა—ორმოსაო.
ერთი კაცი იმდენსა ჭამს, რომ გასწვდება ორმოცსაო.

მოლა ვირზე იჯდა, ვირს ეძებდაო.
მოლას დაავიწყდა, რომ ზედ იჯდაო.

მოლა ნასრედინი ჯოჯოხეთში არ მიდიოდა, ხელი ჰკრეს და ჩააგდესო.
რომ აღარ ამოსულიყო, ზედ დიდი ქვა დაადესო.

მოლა ხალხს მეჩეთში ეძახდა და თვითონ კი საქურდაოდ მიდიოდაო.
ხარბს არა ჰყლფნის დაჩა მესხეთში, გურიას დიდი ოდაო?!.

მომღერალი თავს არ იცხელებს და მობანეს რა რჯისაო.
მოსამართლე მტყუანს ტყავს აძრობს და მართალს სჯისო.

მომხვდურს დამხვდური უნდაო.
ბავშვებს კი—თოვლის გუნდაო.

მორცხვი ქალი—ერთ ქალად, მორცხვი კაცი ერთ ქალამნადაო.
მოწვი, მოშანთე ერთგვარად ბილწი და არამზადაო.

მოსავალს მოცდა უნდაო.
მერე დაითვალე ლარი და ხურდაო.

მოსამართლე ხელმწიფის ყურიაო.
რადგანაც ერთად ჭამეს პურიაო.

მოქნეული და მოზომილი არ შეიძლებაო.
დაუფიქრებლად მოქნეულს მიზანი შეეშლებაო.

მოყვანილი ქალის ამბავს სამ წელიწადს ნუ იკითხავო.
მეოთხე წელიწადს მის ავ-კარგიანობაზე შეგიძლია იმკითხავო.

მოყვარეთა სიმრავლე ჭირის სიმრავლესა და სიმძიმეს
შეამსუბუქებსო.
გაჭირვება და არქონა ლომგულ ვაჟკაცსაც დააწუწუნებსო.

მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო.
ულირს, ლაქლაქა დეპუტატს კენჭი უყარაო.

მოყვარული ცოლ-ქმარი თოხის ტარზე ეტეოდნენო.
მოყვარული ცოლ-ქმარი ტკბილ ცხოვრებას ეწეოდნენო.

მოჩქარეს დედა ტირისო, მოგვიანესი იცინისო.
ზამთარი როცა დადგება, გეშინოდეს სიცივისო.

მოცლილი კაცი კურდღელს ურმითა სდევდაო.
არც აწუხებდა თავისი, არც მთელი ქვეყნის სევდაო.

მოხვალ კალათიანიო, წახვალ სამართლიანიო.
მოხვალ ლაზათიანიო, წახვალ უკან ფრთიანიო.

მოხუცი იმას მოიმკის, რაც სიყრმით დაუთესია.
იმღერებს—თუ კი მღეროდა, იკვნესებს, თუ უკვნესია.

მსგავსი მსგავსსა შობსო.
ცუდი შვილი მშობლებს სპობსო.

მსუქანი კაცის ცხენი და ძაღლი მსუქანიაო.
ლოთის ბოლო სადგური ღვინის დუქანიაო.

მსუქანს ყელი იცნობს და მძიმეს—ხელიო.
ღვინის სარდაფს ლოთი იცნობს, მინდორს—მხვნელიო.

მტერი მოყვრულად მოსული მტერზე უარესიაო.
მშობლების ურჩი ასული—მინახავს თავლაფდასხმულიო.

მტერსა გობითა, მოყვარეს კოვზითაო.
მტერსა გმობითა. მოყვარეს თმობითაო.

მტერს ესროდნენ და მოყვარეს მოხვდაო.
რაც არ უნდოდათ, ის მოხდაო.

მტერს იმით დახვდებიან, რაც ხელში მოხვდებაო.
იმდენს სცემენ და ურტყამენ, სანამ არ მოკვდებაო.

მუნჯის ენა დედამ იცისო.
ცხენმა—თავისი კვიცისო.

მუქთი პილპილი შაქარზე უტკბილესიაო.
ზოგჯერ სიცილი ცრემლზე უმწარესიაო.

მუქთი სვი და მუქთი ჭამე, შეხტი, ბიჭო, ითამაშე.
ბევრი სვი და ბევრი ჭამე, რესტორანში იპარპაშე!..

მუცელს აქორებ—ქორია, აღორებ—ღორიაო.
აღარც მწვადი ცვრიანი და არც რაჭული ლორიაო.

მუცელს თუ აჰყე, ხეზე გაგიყვანსო.
თუ უღალატე—ქვესკნელს ჩაგიყვანსო.

მქნელმა ერთი ცოდვა ქნა და დამბრალებელმა—ასიო.
უნდა იცოდე—სად რა თქვა და მერე მისი ფასიო.

მღვდელო, ვინა გყავს მოწმე და—ჩემი დიაკვანიო.
მღვდელსა უმრავლოს მრევლი და ჩვილთა აკვანიო.

მღვდელს ჭილობშიაც იცნობენო.
მის ლოცვებს ღრუბელივით იწოვენო..

მშიერს მაშინ გააჩუმებ, როცა მაძღრისად მისცემ საჭმელსა.
მშიერს აჭამე მაძღრისად, მაძღარს საშენო რა სჭირსა?

მშიერსა ჰკითხეს: ყველაზე მძიმე რა არის და ცარიელი მუცელიო.
ყველაზე მსუბუქი—წიგნის ფურცელიო.

მშიერი პურსა აქებდა, უმსა და უმარილოსა.
არ გაჭირდება ძნის შეკვრა, თუ კი სხვა გიგრეხს ულოსა.

მშიერ ქათამს სიზმარში სულ ფეტვი ელანდებოდაო.
მშიერ მელას კი სიზმარში ქათამი ეზმანებოდაო.

მშიშარა კაცი დღეში სამჯერა კვდებოდაო.
ლოთი კი დღეში სამჯერა თვრებოდაო.

მცონარა ადგა და აღარ დადგაო.
გამდიდრდა, აშენდა, ფეხი წინ წადგაო.

მცონარა ადგა და სახლი დაწვაო.
მიიხედ-მოიხედა და ისევ დაწვაო.

მცონარა კაცი უქმე დღეს გახელდებაო.
თოვლში და წვიმაში უაზროდ დასველდებაო.

მცხეთას ქორწილია, ავჭალას მაყრები გარბიანო.
კომპასი არა აქვთ და უგზო-უკვლოდ დადიანო.

მძიმედ მოიქეცი—წონაში მეტი მოხვალო.
ჭირში თუ არ მოხვალ, ლხინში ნულარ მოხვალო.

მძიმე ქალი—ოქროს ფასი, მსუბუქი ქალი—ფოთლის ფასიო.
ერთ ქალს კარგად მოუარე, ნულარ გინდა ასიო...

მნარე თუ არა ჭამე, ტკბილის გემოს ვერ გაიგებო.
იცოდე, რომ უშრომველად სახლში ვერას წაიღებო.

მწევარი კურდღელს მისდევს, მაგრამ კურდღელი რაღას მისდევსო.
მაშინ გაიგებ რას მისდევს, როცა შენ ვეფხვი მოგდევსო.

მწვადი ისე შენვი, არც მწვადი დაწვა, არც შამფურიო.
სამწვადეში როგორ შევალ, როცა არა მაქვს ფულიო.

მნიფე მსხალი ღორისააო.
ილოცე და შეგეწევა ლომისაო.

მნიფეს ესროდნენ, მკვახე ცვიოდაო.
კაცი უფულობას და გასაჭირს ჩიოდაო.

მწყერს ერთი დღე ხვდა, ისიც ქარიანიო.
ცხოვრებას რომ გაუძღვე, უნდა იყო თავიანიო.

მწყერს ერთხელ ეღირსა ხეზე შეჯდომა და მაშინაც ტოტი ჩამოუტყდაო.
მოულოდნელად ბუჩქიდან სიკვდილი გამოუხტაო.

მჭედელს დანა ენატრებოდაო.
საბავშვო ბაღის ბავშვს დედისა ენაღვლებოდაო.

მჭლე ჭაკი ლამაზ კვიცს იგებსო.
კაცს, როცა არ უნდა. ვერაფერს იგებსო.

მჯობთა მჯობი არ დაილევაო.
წუნკალი დიასახლისისა წყალიც არ დაილევაო.

ნ

ნაადრევი შვილი პატრონსა, ნაგვიანევი ბატონსა.
ზოგი ცვრიან მწვადს მიირთმევს, ზოგიც კოპტონს და ქატოსა.

ნაბიჭვარსაც მონათვლა უნდაო.
მონათვლასაც ლარები და ხურდაო.

ნაბოზარ დედამთილს რძალი არ გაუბოზდებაო.
ბოზ რძალს ბოზი დედამთილი ვერ გაუბრაზდებაო.

ნაბოძვარი ნუ გძულსო ნათხოვარი ნუ გშურსო.
ნაბუშარი ნუ გძულსო, მასშიც კაცის სისხლი დუღსო.

ნაგუბარში წყალი კიდევ ჩადგებაო.
ავადმყოფს დიდი მოვლა უნდა, სანამ ფეხზე დადგებაო.

ნავში მჯდომი მენავეს ეჩხუბებოდაო.
მისი გადარჩენის საქმე მენავის ნებით წყდებოდაო.

ნათესავის ვალის გადახდას ნუ ჩქარობ-იქნებ გაპატიოსო.
პროცენტიანმა ვალმა კაცი ლამის გადარიოსო.

ნათქვამია: ცუდი სიტყვა ვერ გაივლის გზასა გრძელსა.
ცუდი სიტყვა, ცუდი საქმე აუხდება თვითონ მთქმელსა.

ნათხოვარი მოგიხდება, ისევ მალე გაგეხდება.
დატკბი ახალგაზრდობაში, სანამ ნირი წაგიხდება.

ნამუსიანს ერთი უთხარ, უნამუსოს—ათასიო.
კიდევ თუ არ გაიგონა, დაჰკა მაგრად მათრახიო.

ნამუსისათვის გამოვა ულვაში, თმა და წვერია.
საქართველოში ნამუსზე ძალიან ბევრს უმღერია.

ნამუსიც კარგი საქონელიაო.
ნამუსს ნუ დაკარგავ, ძნელი საპოვნელიაო.
შენ ნამუსი თუ არა გაქვს, რას დაკარგავ მელიაო.

ნაქებარმა კატამ თავგი ვერ დაიჭირაო.
მოსუნსულე კაცი სხვის სუფრაზე გაიჭიმაო.

ნაქები თავი დამპალ კიტრად არა ღირსო.
გაცვეთილი ცოცხი ეზოს კარგად აღარ გვისო.

ნაღვარევსა ჩასტიროდე, ნაკვალევსა ჩასცინოდე.
ფიზიკურ ნაკლს, სიმახინჯეს არასოდეს დასცინოდე.

ნაჩუქარ ცხენს კბილები არ გაესინჯებაო.
ძაღლს ფეხზე არ დაებიჯებაო.

ნაცარქექია კერიის პირას გახელდაო.
ცხრათავიანის ხილვაზე გაშეშდა და გახევდაო.

ნაცარში რომ ფეხი ჩაჰკრა, მტვერი მოგედინებაო.
ხახვის ფცქვნასა და დაჭრაში ცრემლი მოგედინებაო.

ნახევარი მელასაო, ნახევარი-ყველასაო.
ცუდი კრუხის წიწილები—ნახევარი ძერასაო.

ნემსი პატარაა, მაგრამ მეომრის ისარზე მეტს აკეთებსო.
ზოგი ბავშვი პატარაა, მაგრამ უფროსზე მეტს აკვესებსო.

ნემსისა და აქლემის ქურდი-ორივ ერთიაო.
ორივე ქურდის ბოლო—ერთად-ერთიაო.

ნეტავი ასი დამკრან და ერთი მართალი მათქმევინონო.
სამშობლოს მტერი, დუშმანი ფეხებით მათრევინონო.

ნეტავი იმას, ვინც მოითმენს, ვაი იმას, ვინც-ვერაო.
დღეს შავი თმები ამშვენებს, გუშინწინ იყო ქერაო.

ნეტავი ფაფა მაჭამა და ქვაბი არ გამარეცხინაო.
ბევრი ჩამაცვა, დამხურა, ბევრიც გამაცვეთინაო.

ნეტარება კაცს რომ სამუდამოდ შერჩეს, სიკვდილს ვინღა ინაღვლებდაო.
ყველას რომ ყანწი ეჭიროს, მკვდარს ვინღა წაიღებდაო.

ნეხვს რაც უფრო გაქექავ, უარესად აყროლდებაო.
მოჩქარეს მოულოდნელად რაღაცით აყოვნდებაო.

ნიკორა გაატყავეს-რატომ დედა არა გყავსო.
არც ენა აქვს, არც—თვალები, ფული მაინც რად არ აქვსო?!.

ნიორმაც კი შეინახა თავი ერთ წელიწადსო.
სხეულით მოვაჭრე დიაცმა ვერც ერთ კვირასო.

ნისია—სხვისიაო.
ზოგჯერ ჩემი ძმისიაო.

ნუ აფურთხებ წყაროში, თორემ კიდევ მოგწყურდებაო.
მიხვალ დასალევად და წყალი შეგძულდებაო.

ნუ გეშინია სიკვდილისა, გეშინოდეს სირცხვილისა.
ამაყობდე სიმრავლითა და გრცხვენოდეს სიმცირისა.

ნუ გინდა შარი, ჩააგე ხმალი.
თუ გინდა, დაგიჭირო მხარი.

ნუ დააგდებ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა.
მამა-პაპის ხსოვნა გქონდეს და ეტყოდე შენდობასა.

ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო.
შუა ბანაობაში შეგიწყვეტენ წყალსაო.

ნუ იქ ავსა, ავისაც ნუ გეშინია.
ახალგაზრდა გოგო— ბიჭი ცეცხლი და ბენზინია.

ნუ მპირდები ცაში წეროს, ხელში მომე ბელურაო.
ქართველ ვაჟკაცს წვერ-ულვაში, თავზე ქუდი ეხურაო.

ნუ ჰკრავ სხვის სახლსა წიხლსაო.
სხვისი სახლიდან ნუ ითხოვ წილსაო.

ნუ უმზადებ სხვასა ავსა, გადაგხდება თვითონ თავსა.
ნუ ადარებ თავსა კრავსა, ცნობილი ხარ, რაც გაქვს თავსა.

ო

ობლის თვალი ვერ გაძღებაო.
ღმერთმა მისცეს მოთმინება და გაძლებაო.

ობლის კვერი ცხვა, ცხვა, გვიან გამოცხვა, მაგრამ კარგად გამოცხვაო.
გაზის ქურა რომ არ ჰქონდათ, გვიან მიტომ გამოცხვაო.

ობლის მამა ღმერთიაო.
შვილისთვის მამა ერთიაო.

ობოლი კვერს დასტიროდა, შუაზე გაუტეხესო.
ხიდი ჰქონდა გასავლელი, ისიც ჩაუტეხესო.

ობოლო, ვისა სცემ და —ვინც გამზარდაო.
ვინც ღამეების ტეხვაში არ დამზარდაო.

ობოლს ძლივს ერთი კვერი ხვდა და ისიც დამწვარიო.
ერთი შარვალი აჩუქეს—ისიც ნაცვამიო.

ოდეს მაშვრალს მოსწყურდების, მაშინ წყალი ღვინოდ ღირსა.
გაკეთებულ წყლიან ღვინოს ნუ გაუხსნი, გირჩევ, პირსა.

ოდეს ტურფა გაიაფდეს, არღარა ღირს არცა ჩირად.
სურვილიც რომ დიდი გქონდეს, ვერ იყიდი, რაც არს ძვირად.

ომი სჯობს შეგნებულთანა, შეუგნებელთან ნადიმსო.
ბუნების ძალა გიკრძალავს—ნუ ანადგურებ ნადირსო.

ომში ნაცადი ხმალისა იმედი გქონდეს სახლშიცო.
მომგებიანი ვაჭრობით ჯიბეშიც გქონდეს, სახლშიცო.

ომში რა სჯობიაო და—რაც ხელში მოგხვდებაო.
კარგად დაუმიზნე და მტერს თავში მოხვდებაო.

ორი ერთზე ლაშქარიაო.
ერთი-ორთან წამხდარიაო.

ორი კურდღლის მადევარი, ერთსაც ვერ დაიჭერსო.
ზოგიერთი კაცი დღეს ერთდროულად ორ კუდრღელს იჭერსო.
ერთი ქართული აკვანი ორ პირმშოს ვერ ჩაიწვენსო.

ორი საზამთრო ცალ ხელში არ დაიჭირებაო.
ორი საზამთრო ერთი ხელით თავისუფლად გაიჭრებაო.

ორი ქაჩალი ერთ სავარცხელზე ჩხუბობდაო.
ერთი ქაჩალი მეორის სიქაჩლეს სწუნობდაო.

ორი ყოჩის თავი ერთ ქვაბში არ ეტეოდაო.
ორი რძალიც ერთ სახლში ერთმანეთს ვერ ეჩვეოდაო.

ორი ძიძის ხელში ბავშვი დაიხრჩოო.
ერთი ძიძის ხელში კი—ტანად შეივსოო.

ორი ჯამბაზი ერთ თოკზე ვერ ითამაშებსო.
გაგებული და გაუგებარი ერთად ვერ იკამათებსო.

ორმა თუ იცის, ღორმაც იცისო.
ქამელეონივით ფერებს იცვლისო.

ორღობეში სანიფხვე საკაბედ გავიდაო.
მარტოხელა უპატრონოდ სამარეში ჩავიდაო.

ორშაბათმა გაიარა, გულზე დარდმა გადიარა.
თუ რამ მწუხარება მქონდა, ყველაფერმა გაიარა.

ორშაურიან მუშასა მის დღეში არა უშავს რა.
რას ერჩი მუქთა მუშასა, ხელი ბარ-ნიჩაბს უშვასა.

ოქროს ქალამანი რომ გეცვას, მაინც ქალამანიაო.
ყველა ჩვენი ჯიშის კაცი კარგი ფალავანიაო.

ოხრად ნაშოვნი ქონება ხმარდება სატიალოსა.
ვერა, ვერ გაყოფთ თანაბრად სადავოს, საზიაროსა.

ოჯახი გაქებს, ოჯახი გაგინებსო.
სიკვდილის შემდეგ ოჯახი გიგონებსო.

ოჯახი ვისიაო და, ვინც მოიხმარს, მისიაო.
ასეთია ძველთაგანვე ოჯახური "მისიაო".

ოჯახში ერთი მახინჯიც გამოერევაო.
ავადმყოფის მოსარჩენად ოჯახს ბარაქა გამოელევაო.

პ

პანღური კი არ მეტკინება, მეწყინებაო.
შენს მიუხვედრელობაზე და მიამიტობაზე მეცინებაო.

პარკით პურს ნუ მოიპარავ და გოგრით ღვინოსაო.
თორემ მაგის მხილველი უარესსა ცდილობსაო.

პატარა თითის ტკივილმა მოკლა კაციო.
თივის უქონლობამ გაწყვიტა ცხვარი და ვაციო.

პატარა კაცისგანაა ქვეყანა ამოგდებული.
დიდ კაცსა პატარა კაცი მკლავქვეშ ჰყავს ამოდებული.

პატარა კაცს გული ყელში სჩრიაო.
ქუჩებში ნაგავი ყოველ ნაბიჯზე ყრიაო.

პატარა ტოროლა დიდ ტოროლას ატყუებდაო.
ღამე ჩართული მუსიკა მეზობლებს აყრუებდაო.

პატარა ღრუბელს ხშირად დიდი სეტყვა მოჰყავსო.
სეტყვა ერთნაირად ანადგურებს მტერსა და მოყვასსო.

პატარა ძღვენი და დიდი სირცხვილიო.
უზრდელობაა ხმამაღლა ხორხოცი და სიცილიო.

პატარძალი ტყუოდაო, ისევ თვითონ ბუოდაო.
დედამთილთან ნაჩხუბარი ტიროდა და ბზუოდაო.

პატარძალმა დაფქვას მოუცადა და გამოცხობას— არაო.
ეს ხომ სულწასულობაა, აბა, სხვა რაო.

პატივისცემა კარგი კაცისთვის პატივია და ავი
კაცისთვის—პატიჟიო.
ქელეხში და პურმარილში ახლა კაცს არ უნდა ბევრი პატიჟიო.

პატივს ნურც გაექცევი და ნურც გამოეკიდებიო.
ბიჭო, გოგონას რომ მისდევ, მხრებზე ნუ ეკიდებიო.

პატივს ნურც მოითხოვ და ნურც დაითხოვო.
მათხოვარი თუ მოგადგა, უხეშად ნუ დაითხოვო.

პატიოსან მტერთა შორის მოციქული ნამუსია.
მათი შემარიგებელი—ერთად-ერთი ბახუსია.

პატრონის ორგული ღმერთსაც სძულს და დათვსაცაო.
სჯობს ფულიანი მამიდა, მიმართე ხერხსა ნაცადსაო.

პატრონმა როგორც გითხრას, ვირი ისე დააბიო.
ვირის პატრონთან კი—მეგობრობა გააბიო.

პილპილი თუ არ გიჭამია, პირი რად გეწვისო.
ჯანი აღარ მომყვება, თორემ გული მერჩისო.

პირობა კაცს ცოლს ართმევსო.
წაართმევს და სხვას მოიყვანსო.

პირველი ნახვა ცნობაა, მეორე ნახვა—ძმობაა.
მესამე ნახვა ნდობაა, მეოთხე—გამარჯვებაა.

პირით კოცნას გულით კოცნა მირჩევნიაო.
მისი სიტკბო უამრავჯერ მიგემიაო.

პირს იქით იზამ, საითაც ქარი ქრისო.
გათხოვილ ქალს ნუ აჰყვები, გეშინოდეს მისი ქმრისო.

პირს პირისა სცხვენიაო.
კაცთა მოდგმას ასე სჩვევიაო.

პირში მაქებელი ეშმაკის მოციქულიაო.
მისი ნათქვამიც მიკიბულ-მოკიბულიაო.

პური და ღვინო ძველი სჯობს, ბატონი ახალ-ახალი.
მოკეთეს გული გაუხსენ, მტერსა ჩაეცი ლახვარი.

პური მეპურეს გამოაცხობინე და ერთი პური ზედმეტი მიეციო.
დანაც მლესავს გაალესინე და კუთვნილი პატივი ეციო.

პურისა და ყველის მჭამელმა ღმერთს არ შეხედაო.
რძისგან მაწონს ვერ მიიღებ, თუ კარგად არ შედედდაო.

პურის ჭამაში ძაღლიც გაჩუმდებაო.
პურის ჭამაში ყბედიც დამუნჯდებაო.

პურმარილი ბატონსაც კი ყმად გახდისო.
პურმარილი უცხო ქალსაც ტანთ გახდისო.

პურმარილის დასწავლა ქვამაც იცისო.
არა მწამს, არა, გატეხვა ფიცისო.

პურმარილი ქვაზე დადე, გაიარე წინ დაგხვდებაო.
ახლა მშიერ ქვეყანაში ძვლებიც აღარ დაგხვდებაო.

პურს ბევრნი მპირდებიან, მაგრამ არავინ მაჭმევსო.
ახლა მუქთად და პირობით ქმარიც ცოლს აღარ აჭმევსო.

პურს რომ გთხოვენ, ქვას ნუ მისცემო.
შენს საკუთრებას სხვას ნუ მისცემო.

პირველი ბედი ბედია, მეორე მოგონილია.
მესამე—ძაღლის ღრენაა, მეოთხე—თითზე კბენაა.

ჟ

ჟამი ჟამითა, თორემ წირვა ნიადაგ იწირვისო.
ნავი ზღვის ღელვითა და ზედმეტი ტვირთით იძირვისო.

ჟანგმა თქვა: ვიდრე მე რკინა შევჭამე, დარდმა გული ათასჯერ მოინელაო.
მრავალი დარდი, ნაღველი გულსა ტეხს ნელა-ნელაო.

ჟივჟავის ჟლეტა მოსწყინდება კაცს, არა თუ მარტო მტრისაო.
მშიერი კაცის გეშინოდეს, ვიდრე მშიერი მგლისაო.

ჟანგი რკინასა სჭამს და დარდი გულსაო.
ვერ დაადგენ სიმართლეს—ჭეშმარიტს და სრულსაო.

რ

რა ბაღია, რა ვენახი, თან არ ახლდეს საღობავიო.
რა გოგოა, რა ლამაზი, რომ არ ახლდეს საღებავიო.

რა დღესაც მზე არ ანათებს, ის დღე ღამისა დარია.
მზე არ თმობს თავის მზეობას ავდარია თუ დარია.

რად ვინატრებ სარგებელსა, ხელმრუდსა და უწესურსა.
რა ვუშველო, რით მოვარჩენ ჭკუასუსტს და უბედურსა.

რად მინდა ოქროს ლანგარი, შიგ სისხლი ჩამოდიოდეს.
მე მინდა წმინდა ლამპარი, რომ სიბნელეში ღვიოდეს.

რამაც გაგაჩინა, იმან დაგარჩინოსო.
ავად რამაც გაგხადა, იმან მოგარჩინოსო.

რა რომ ბოძი წაიქცევა, სახლ-კარიცა დაიქცევა.
გადაყრილი ფეხსაცმელი, აი, ახლა ჩაიცმევა.

რასაც ვირი ენეოდა, ორ იმდენს ვირის პატრონიო.
ასეთი ვირი ვინც მომცა, ვუგინე გვერდში დამწოლიო.

რა გაგიჩნდა და ლუკმის პირიდან გამომცლელიო.
სადღაა ქართველი—ყანწების ბოლომდე დამცლელიო.

რამდენი შვილიც გეყოლება, იმდენი გულ'ზე გაბიაო.
მოგვიმრავლდა "კერძო ბაღი", აღმზრდელი და გადიაო.

რამდენი ვირიც ვიშოვე, იმდენი მყვირალა გამოდგაო.
ამიტომ ყველა ყროყინით თავის კუთვნილ გზას გაუდგაო.

რამდენიც თავია, იმდენი ჭკუაა.
ქვეყნად იმდენი ჭკუაა, რამდენიც ცხენის ძუაა.

რამდენსაც იქროლებს, იმდენს არ ითოვლებსო.
დეკემბრის თოვლი მთელ ზამთარს იყოვნებსო.

რა რიგადაც იშრომებ, ისედაც იცხოვრებო.
სიკეთის მქნელი საიქიოს იცხონებო.

რას ლაპარაკობ და ვისთან, უნდა იცოდეო.
მოსაუბრეს და მსმენელს უნდა იცნობდეო.

რას მიზამს ყარაული, თუ ბაღს ახლო არ გავუვლი.
თუ გაუვლი, ბრალი შენი,—ბაღდადურსაც კი დაუვლი.

რასაც ეძიებდე, იმას ჰპოვებდეო.
საიქიოში წასვლამდე სახელს სტოვებდეო.

რასაც ვერ შესნვდები, ნურც შესნვდებიო.
მთვარეს ნუ შეეპოტინები, თორემ შეცდებიო.

რასაც იფიქრებ სხვაზედა, აგიცხადდება თავზედა.
თუ ნავი გაგებზარება, ველარ გაცურავ წყალზედა.

რასაც ჩემი კბილი არ მოხვდა, ჩემს მუცელში არ მოხვდაო.
ცოტას და ბევრის მჭამელი მაინც წავიდა, მოკვდაო.

რასაც წამისვამ ხელზედა, იმას წაგისვამ წვერზედა.
თუ არ ახვედი ხეზედა, ვერ მოექცევი წვერზედა.

რა ქნას კარგმა მონარდემა, დროზე შაში თუ არ მოვა.
რა ქნას კარგმა მონადირემ, დროზე შაშკი თუ არ მოვა.
ცხოვრება თუ არ გიმართლებს, ძნელი არის ფულის შოვნა.

რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია.
ულაროდ ჩვენი სიცოცხლე, ვაჰმე, რა დიდად ძნელია.

რაღას მედებოდი, თუ არ მერგებოდიო.
წავიდა, თბილისო, ის დრო, როცა შენდებოდიო.

რასაც ჯეილობისას დასთეს, იმას მოიმკიო.
სხვასთან თუ კი სამოთხეა, ჩემთან რატომ მოილტვიო?

რატომ ეგრე, თამარაო, ხან თამაშობ, ხან არაო.
იმიტომ, რომ, ჩემო კარგო, დავრჩი ნიფხვის ამარაო.
იმიტომ, რომ მომენატრა ლოქო, ზუთხი, კამბალაო.

რაღა მკვდარი და რაღა შინ მოუსვლელიო.
შინ მოუსვლელთა სახელი დარჩება წაუშლელიო.

რაც გეზარებოდეს, ის გეძალებოდესო.
თუ კი არ მოგწონს, ხორციდან— რბილიც კი გეძვალებოდესო.

რაც გინდა მალო, ჭირი თავს არ დამალავსო.
კარგი ლექსი და სიმღერა გონებას, გრძნობას ნამავსო.

რაც გინდ უთხარ დავითასა, გაიძახის თავისასა.
თუ რამე აქვს, დღესვე შეჭამს, არ იფიქრებს ხვალისასა.

რაც გინდა ბევრი იცოდე, ცოტა თქვიო.
მამა—პაპის ქონებაზე ხელებს ფართოდ ნუ შლიო.

რაც გულზე მაწევს, ის მაჭიჭინებსო.
ავი რძალი ქმარს დედამთილისკენ ასისინებსო.

რაც დედამთილი, ის რძალიო.
მათი გაშველებით დამელია ღონე და ძალიო.

რაც თავია, ისეთი ბოლო ექნებაო.
რაც თავია, ისეთი ტვინი ექნებაო.

რაც კაციო, ის ოჯახიო.
რაც მეტყევე, ის ნაჯახიო.

რაცა ვჭამე, ის შემრჩაო, რაც არა—ოხრად დამრჩაო.
მშობლის რჩევა და ნათქვამი აქამდე გულში ჩამრჩაო.

რაც მამა, ისა შვილიო.
არ უღალატოთ ერთმანეთს, თუ კი შეკარით პირიო.

რაც მქვია, პირსა მცხიაო.
რაცა ვჭამე-პური თუ შვრიაო.

რაც არ გერგება, არ შეგერგება.
გამხმარი ხე არასოდეს ნედლდება.

რაც არ იცოდე, არას იტყოდეო.
თუ რამ იცოდე, არას იტყობდეო.

რაც გინახავს, ველარ ნახავო.
რაც არ გინახავს, იმას ნახავო.

რაც მოგივა ალიაო, ყველა შენი ბრალიაო.
საქმეს როგორ გააკეთებს, დილიდანვე მთვრალიაო.

რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო.
ვერას ფიქრობ, ვერას ზომავ მაგ უტვინო თავითაო.

რეგვენი საქმეს წაახდენს, ფათერაკს დააბრალებსო.
ჯერ სიკეთეს იზამს და მერე ცხვირიდან წამოადენსო.

რაც ცოლს არ უყვარს, იმას ქმარი ვერასოდეს ჭამსო.
რაც ქმარს უყვარს, იმას დღეში სამჯერ სვამსო.

რეგვენმა შვილი მოკლა, იჯდა და ტიროდაო.
როგორც გინდა შეასრულე, თუ მიეცი პირობაო.

რკინა რკინით ილესება, კაცი მეგობრითო.
იცოცხლე და იდღეგრძელე კარგი მეზობლითო.

როგორც გზა და ხიდია, ისეთი სოფელიაო.
როგორიც მანქანა არის, ისეთი შოფერიაო.

როგორიც უფროსი, ისეთი უმცროსიო.
უმცროსმა უნდა სცნოს ოჯახის უფროსიო.

როგორც დაიგებ, ისე მოისვენებო.
როგორც გაიგებ, გულს ისე დააჯერებო.

როგორც დასჩეჩ, ისე დაართავო.
დაწყებული საქმე-ეცადე ჩაათავო.

როგორც ნაცარი არ ფქვილობს, ისე სხვის შვილი არ შვილობს.
გაგითბოს გული და გრძნობა,—იგი სრულიად არ ცდილობს.

რომელი ხარიც ეწევა, ისევ იმას სცემენო.
მშრომელ და პატიოსან კაცს დღეს პატივს აღარ სცემენო.

როცა არ იყო, ცოტა კმარ იყოო.
ყოველთვის დამნაშავე ნუთუ ქმარი იყოო?!

როცა დავკაცდიო, გზას მაშინ გადავცდიო.
რაც შუბლზე მეწერა, მაინც ვერ ავცდიო.

როცა მოგიკვდები, მაშინ მოგიტკბებიო.
მაშინ გაიგებ, როცა აღარ მოგიწვებიო.

როცა სიტყვა ხშირდება, მაშინ საქმე მცირდება.
როცა სეტყვა ხშირდება, მოსავალი მცირდება.

როცა ყველა დამნაშავეა, დამნაშავე აღარავინაარ.
გამოდის რომ ყველა დასასჯელიდან დასასჯელი აღარავინაარ.

რეგვენ კაცს ჭკუა თვალში აქვს და არა თავშიო.
როცა კისერს მოიტეხს, შემოირტყამს თავშიო.

როცა ბუზი თავს დაგბზუის, კოლოც მაშინ გიკბენსო.
ერთდროულად უამრავ ჭირს კაცი როგორ გაუძლებსო.

რეგვენს ნაჩუქარი მუქთი ეგონაო.
არ შეაფასა, თითქოსდა ნაგავზე ეპოვნაო.

როგორიც ერიო, ისეთი მღვდელიო.
მოიხმარე ჭკუა და ნუ იქნები შტერიო.

როგორცა ქუხს, ისე არა წვიმსო.
დღეს ქონება ნამუსზე უფრო მეტი ღირსო.

როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო.
არც შეგეშინდეს და არც გიკვირდესო.

როგორც თვალი შორს, ისე გული შორსო.
დაეკარგა დამსვენებელი უწერას და შოვსო.

როგორც მიყიდნია, მეც ისე გავყიდიო.
შეუსრულე დავალება, თუ კი დაპირდიო.

რომელ თითსაც მოვიჭრი, ყველა მეტკინებაო.
სალანძღავი სიტყვები— ძლიერ მეწყინებაო.

როცა გშია ზაქარია, ცივი მჭადიც შაქარია.
რაც უნდ კარგი ცოლი გყავდეს, მოგინდება სხვა ქალია.

როცა ჩაჰკრა ცულმა ქვასა, მაშინ ჩახვდა გულის ხმასა.
შენი ბრალი, თუ გაბედავ უფროსებთან სიტყვის თქმასა.
კარგია, თუ ქალს შერთვამდე მიუხვდები გულისთქმასა.

რძალიცა ვარ და დედამთილიცო.
ენა მოკლეც და ენა დიდიცო.

რწყილს დააწვენენ და აქლემს აშობინებენო.
ავადმყოფს უფულობის გამო ფეხებს აშოტინებენო.

ს

საბანი როგორც გაგწვდეს, ფეხებიც ისე გაჭიმეო.
როგორც საქმემ გიჩვენოს, ნერვებიც ისე დაჭიმეო.

საბძელი გეწოდეს, ხელი მოითბეო.
დაჯექი ტახტზე და ფეხები მოირთხეო.

სალაპარაკო წლისაო, საკეთებელი დღისაო.
საკიკინებლად თხისაო, ხოლო საქმელად მგლისაო.

სადაური სადა კვდება, სად უთხრიან სამარესა.
კაცი დაუმსახურებლად ზოგჯერ ციხის კედლებს ლესავს.

სადაც არა სჯობს , გაცლა სჯობს, არ დაყოვნება ხანისა.
დღევანდელ დღისა თუ არ გწამს, უნდა იწამო ხვალისა.

სადაც არის ბედი შენიო, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო.
ხშირად გსურს კაცს დაეხმარო, მაგრამ ვერაფრით შველიო.

სადაც გავა, გავა, გვერდიც გავად გავა.
პენსიონერი რვა ლარით საიქიოს წავა.

სადაც მიხვიდე, იქაური ქუდი დაიხურეო.
ოთახში შესვლა-გასვლისას კარები გაიხურეო.

სადაც ძალა შევა, სამართალი ბანიდან ავა.
ავი რძალი თუ შეგხვდა, საქმე შავად წავა.

სად დავკარ და სად გასკდაო.
ველარ გაამთელებ, თუ გატყდაო.

სად ერეკლე, სად თეკლეო.
თან თოვლის პაპა, თანაც მეკვლეო...

საზიარო საზიანოაო.
უსარგებლო და საზრიალოაო.

საავდრო დღეს დილიდანვე დაეტყობაო.
ნასროლი დანა წვერიდან დაერჭობაო.

სააქაო ჩემი იყოს, საიქიო—შენიო.
სამოთხეში მოხვედრას მხოლოდ ქრთამით შველიო.

საბელი გრძელი სჯობია, ხოლო ენა კი—მოკლეო.
უზომოდ გრძელი ნათქვამი ცოტათი შეამოკლეო.

სადაც წვრილია, იქ გაწყდესო.
ოღონდ დამნაშავე განსასჯელის სკამზე დაჯდესო.

სადაც წყალია, იქ სიცოცხლე ჰყვავისო.
გაფურჩქვნილი ვარდებიც წითელ-ყვითლად ჰყვავისო.

საითაც გავიქეცი, იქითაც წავიქეციო.
ცხელი წყლის უქონლობამ გაგვიჩინა ქეციო.

სამშობლოს ერთგული უდიდგვაროდაც დიდიაო.
ზოგს კი ქვეყნის სამსახური ფეხებზეც არ ჰკიდიაო.

სანამ თავი მქონდა, ჭკუა არ იყო, ჭკუაა და თავი—აღარაო.
წლებთან ერთად დავუძლურდი, შემერია ჭაღარაო.

სანამ შეხვალ, გამოსვლაზეც იფიქრეო.
ლარის ხარჯვა როცა გიყვარს, მის შოვნაზეც იფიქრეო.

სასწორის სისწორე ამწონავზე ჰკიდიაო.
მისი სინდისის სასწორიც მატყუარა და ფლიდიაო.

სატკივარს გაძლება უნდაო.
ცხოვრება რთული ყოფილა-ცუდი დრო მოგვიბრუნდაო.

საუბარ-საუბარიო, ეს დღე კი გაიპარაო.
ტკბილი საუბრით საცოლე სახლისკენ წაიყვანაო.

საქმე გადადებული, ბოლმა გადიდებულიო.
ღვინო ჩაცივებული, სიდედრი გაცივებულიო.

საქმე გარჩევით გასინჯე, სიჩქარე გიზამს ზიანსა.
ზომაზე მეტად ნუ დალევ, დაგაწერინებს რვიანსა.

საქმე ის კის არაა, რანი ვართ, საქმე ისაა, რანი ვიქნებითო.
დღევანდელი მეფეები ხვალე ყმანი ვიქნებითო.

საიდან სადაო, წმინდა საბაო.
ვინ მბრძანებლობდა და ვინ გახდა ჯაბაო.

საკოცნელი პირი საფურთხებლად არ უნდა გაიხადო.
საქვეყნოდ და სამარცხვინოდ შარვალი არ ჩაიხადო.

სამართალი ფეხით დადისო.
თეთრონზე მჯდარი ლარივით გადისო.

სამართალს ფული სჭრისო.
ჭამის დროს ნიანგი ცრემლებს ღვრისო.

სამოთხეში არ მიშვებენ, ჯოჯოხეთში ხელს მიქნევენო.
მლიქვნელობენ, მატყუებენ, მაბრმავებენ, თვალს მიხვევენო.

სამწყსოს, უმწყემსოდ მავალსა, შესჭამს ტურა და მელია.
ამ ქვეყნის შველა, გაძღოლა და გადარჩენა ძნელია.

სანამ კეცი ხურს, ცომი დააკარიო.
ცომი მანამდე ცხვება, სანამ სინათლე არიო.

სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძრესო.
რევიზორი პურ-მარილით და ლარებით გააძღესო.

სანამ წნელი ნედლია, მანამ უნდა მოგრიხო.
სანამ რძე არ შეშრობია, მანამ უნდა მოდრიკო.

საქმეს რა გამოლევს სიკვდილამდეო.
უსაქმოდ დარბის სირბილაძეო.

საქმეს უნდა ერეოდე, საქმე არ უნდა გერეოდესო.
ჭამის მადა სულ გექნება, ფული რომ არ გელეოდესო.

საქმეს ჩახვედრა უნდაო.
სწავლასაც წიგნში ჩახედვა უნდაო.

საქონელს თვალი ჭამსო.
ვერ აღუდგები სიკვდილის ჟამსო... და გაუყვები შორეულ გზასო...

საცა თეთრია, იქ შავიც არისო.
საცა ომია, იქ ზავიც არისო.
საცა თეთრია, იქ ლარიც არისო.

საქმე ძაღლია, თვითონ მოგვარდებაო.
თუ არ მოგვარდა, ძაღლი მოგვარდებაო.

საცა სიყვარული არ არის, იქ სიხარულს რა უნდაო.
ხელფასი არა ჰყოფნის და დოლარების ზღვა უნდაო.

სანთელი დილამდე არავის ნთებიაო.
ეს ცხოვრება ზოგისათვის დახლართული გზებიაო.

სანთელ-საკმელი თავის გზას არ დაკარგავსო.
ლარებსა და დოლარებს უმიზნოდ არ დაფანტავსო.

საოხრეში აღებული, სატიალოში მოხმარდებაო
დასალევი—დაილიოს, სანამ დაძმარდებაო.

სარჩული სჯობს საპირესაო.
ჭკვიანურად განსაჯე, არ ჩავარდე საკირესაო.

სასამართლოში ქათამზე რომ ჩიოდე, ინდოური ხელში უნდა
გეჭიროსო.
საქმეს ფრთხილად მოუარე, არაფერი გეტკინოსო.

საძირკველში მრუდი ქვა მთელ კედელს გაამრუდებსო.
ერთი ელექტრონათურა მთელ ოთახს გააშუქებსო.

საწყალი კაცის დღესაო. არ დაელევა კვნესაო.
დაგვიანებით ამოვა, რაც ნაადრევად თესაო.

სახარეს და საფურეს სასკორავში ეტყობაო.
სააქაოს ყოფნა არავის არ ეთმობაო.

სახელი სჯობს სიმდიდრესო.
დღეს სიმდიდრე—სახელსო.

სახეს სახისა სცხვენიაო.
შვილის სირცხვილიც შენიაო.

სახვალიოდ გადადებული საქმე ეშმაკისააო.
საშენოდ შენახული თაფლი ეხლა სხვისააო.

სახლი ავაგე, თავი წავაგეო.
ნახავ თუ არა, მტერი ალაგმეო.

სახლი იყიდე, მეზობელი იკითხეო.
კარგი მცოდნე ვერ იქნები, თუ ბევრი არ იკითხეო.

სახლს საძირკვლიდან იწყებენო.
ინტელიგენტები საკინძეს ბოლომდე იბნევენო.

სახრე ისე მოიქნიე, შენვე არ მოგხვდესო.
ტოტზე ისე ჩამოჯექი, ძირში არ მოტყდესო.

სესხსა და ვალს რა დააძველებსო.
კარგი მასწავლებელი სასწავლს არ გააძნელებსო.

საცა გეცალოს, პური იქა ჭამეო.
მერე დაჯექ და გვიამბე რამეო.

საცა ხმალი შიშველიო, იქ ვეღარას გიშველიო.
ყელზე მძივად გიშერიო, ბარძაყები— შიშველიო.

საწყაო წყავს და ღმერთი ხედავსო.
მაგრამ მოტყუებას მაინც ბედავსო.

საწყლის პური გემრიელიაო.
მისი მეგობარიც ბედნიერიაო.

საჭმელი ერთი დღისაო, სახელი ასი წლისაო.
სახელი ერთი დღისაო, საჭმელი ასი წლისაო.
უმჯობესია მეუღლე შენი მხრისა და ჭკვისაო.

სახელი ჩემი და სახრავი სხვისიო.
სახრავი ჩემი და სახელი სხვისიო.
წისქვილი ჩემი და საფქვავი სხვისიო.

სახით მღვდელია, საქმით კი მგელიო.
ზრდილობიან სიტყვა-პასუხს მისგან ნუ მოელიო.

სახრე ტყისა, ხარი სხვისა, დაჰკა, ნულარ გენაღვლისა.
დღევანდლისა თუ არ გჯერა, დაიჯერე მომავლისა.

სველი ენა ბევრ რამეს იტყვისო.
ხშირად ენა ჭკვიანურ ნაკვესებს ისვრისო.

სიაზიზით გამოზრდილი ხშირად ქოჩორს გაგაგლეჯინებსო.
მოგშხამავს და მოგიძულებს—ხმასაც გაგაწყვეტინებსო.

სიბერემდის სიქაჩლეო.
არ გიხდება სულმდაბლობა, არ გიხდება სილაჩრეო.

სიზმარში ნაცად-ნახული ცხადად რა მოსახმარია.
იჯარით გაცემული მიწები ნახევრად მოსახნავია.

სიკვდილი და სიცოცხლე ამხანაგები არიან.
დღე და ღამე ერთად სხედან—წვიმაა თუ დარია.

სიკვდილსაც კარგი უყვარსო.
ასე სურს ღმერთსა, უფალსო!

სიმართლე შვილიშვილამდე, სიმტყუნე კარებამდეო.
სალაროს გზა დამავიწყდა, ლარი ვერ დაეაბანდეო.

სიმართლით ამოთხრილი თვალი არ მეტკინებაო.
შენ თუ სიმართლეს არ იტყვი, მხოლოდ ის მეწყინებაო.

სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო.
კაცმა უნდა იცოდეს ზომა და იმდენსა სვამდესო.
მეწისქვილემ უნდა იცოდეს დაფქვის წესები და საფქვავს
ზომიერად ფქვავდესო.

სიმართლის ნერგი იხარებს, დარგო თუნდ სიპსა ქვაზედა.
მისი ნაყოფი მოგწვდება, იცხოვრო თუნდაც მთაზედა.

სიმინდმა თქვა: ძირში წყალი მომიგდე და თავზე გინდა ცეცხლი დამინთეო.
მეტს არ ვითხოვ, სიცივეში სახლი გაზით გამითბეო.

სისხლი სისხლით არ მოიბანებაო.
მოხუცის ძარღვში სისხლი მდორედ მიედინებაო.

სიტკბო სიმწარით ნაგემი საიქიომდის გაგყვებაო.
დაბადებიდან წასვლამდე ბედი აჩრდილად დაგყვებაო.

სიბერე იგივე ავადმყოფობა არისო.
სიყვარული ხომ სიჭაბუკისას ჰყვავისო.

სიბერე სიბნელე ყოფილაო.
სიბერე ყველას აჩლუნგებს, ვინც ამ ქვეყნად შობილაო.

სიბერეს კაცი სირეგვნემდე მიჰყავსო.
აგისრულდება, რეგვენო, რაც კი მე შენთვის მითქვამსო.

სიბრიყვეს სიბრძნე ებრძვისო.
ნუ დასცინებ ადამიანს, თუ კი მას ენა ებმისო.

სიბრძნე უძირო ზღვააო.
თუ ვერ გაუგებს შენს გულსა, შინაურიც კი—სხვააო.

სიზარმაცე სიღარიბის გასაღებიაო.
ეს სიბრძნე ყველასთვის გასაგებიაო.

სიკვდილამდე კაცმა თავი არ უნდა მოიკლასო.
რაც ბავშვობაში დათესა, სიბერეში უნდა მოიმკასო.

სიკვდილი და სიცოცხლე ალალი და-ძმანიაო.
თუ სუსტი ხარ და უძლური, ყველანი დაგჯაბნიანო.

სიკვდილი ყურსუკანა ზისო.
ღარიბსა და მდიდარს ერთნაირად სჯისო.

სიმაგრით მაგარი იყავ, ნუ იზამ ჯიუტობასო.
ბუნებით კეთილი იყავ, ნუ იზამ კაცთან მტრობასო.

სიმართლე სინათლეაო.
ცხოვრება სიმარჯვეაო.

სიმართლის მთქთმელო, მიყვარხარ, შენ მირჩევნიხან ყველასო.
ასჯერ გაზომე, მერე თქვი, ადრე ნუ მართავ ენასო.

სიმთვრალეში წარმოთქმული სიფხიზლეში არ გადაითქმისო.
კეთილი გულის პატრონი სიკეთით გადაგიხდისო.

სილიბისტრო და ეფემი—ღმერთმა შეჰყარა ერთფერი.
ხასიათი აქვთ ერთგვარი, უყვართ თუთუნი ერთფერი.

სინდის-ნამუსზე მეტი სიმდიდრე კაცისთვის არა არისო.
სინდის-ნამუსის პატრონი ბაღნარივითა ჰყვავისო.

სინდისის ქენჯნა მათრახზედაც მწარეაო.
სინდისი გზას გაგინათებს, როგორც ღამით მთვარეაო.

სისხლი და ძმობა არ გაიყიდებაო.
პირი და ნამუსი არ წაიბილწებაო.

სიტყვა ბარაქიანიო, საქმე ტალახიანიო.
ვერას გარგებს ბაღ-ვენახი, მოუვლელ-ბალახიანიო.

სიტყვა ვერცხლია, დუმილი-ოქრო.
სულ სხვა ეშხი აქვს ალაზნის ლოქოს.

სიტყვა ქუხილია, საქმე—წვიმაო.
დაგაწვიმს და დაგასველებს, თუ არ მიხველი შინაო.

სიტყვა ჭკვიანი, საქმე ჭიანიო.
ქალი თმიანი, ენაწყლიანიო.

სიტყვით ალალიო, საქმით არამიო.
ყველაფერი გვქონდა, ახლა არ არიო.

სიყვარული ვარდია, ეჭვიანობა—ეკალიო.
თუ ეჭვიანი ცოლი გყავს, ბარგი-ბარხანა შეკარიო.

სიშმაგე მტერია და სიმშვიდე მეგობარიო.
შმაგმა უაზრო სიფიცხით შეყარა ეზო-ბანიო.

სიცრუე საპნის ბუშტივით ცოტა ხნისააო.
რაც შენთან არ არის, ის ყველაფერი სხვისააო.

სიხარბემ რა ქნა და ყველაფერი დაკარგაო.
დანაზოგი მანეთები სალაროში დატოვაო.

სიხარული და მწუხარება ერთად დაიარებიანო.
ტყუპებივით ორივე ერთად დაიბადებიანო.

სოფელი ნალბანდითა და დალაქითაო.
სოფელი სავსეა ხვავითა და ბარაქითაო.

სოფელს დიდი თვალი და ყური აქვსო.
სოფლის ბელელს ვერ აავსებ, ყოველ დღე რომ ურმით ავსო.

სოფლის დამკარგავი თავსაც დაკარგავსო.
ნუ დაკარგავ სოფელს, სადაც საძირკველი ჩაგიდგამსო.

სტუმარი ნავა და ბარაქა შინ დარჩებაო.
თუ დაბრუნდება უკან, ბარაქა იქ დახვდებაო.

სტუმრის საბაბით მასპინძელი გაძღაო.
მასპინძლის სიძუნწით სტუმარი ველარ გაძღაო.

სულ არარაობას ცალი ხარი სჯობიაო.
თუ მეორესაც იშოვი, გაუჯავრდი, გოგიაო...

სულ სმა-ჭამა რა არი, საქმე ჩონგურის კვრა არი.
სავსე ყანწების სმა არი, მერე მუშტების რტყმა არი.

სულელი მოყვარე მტერზე უარესიაო.
მოყვარე თუ მტრად გაგიხდა, ვერ გიშველის ზევსიაო.

სულელს მტერი რაღად უნდა, თავისი თავის მტერიაო.
ზოგიერთის ცხოვრებაში ფული ფეხის მტვერიაო.

სულმოკლე კაცი უჭკუო კაცის მონახევრეაო.
მშიერი მაძღარი კაცის მონარჩენეაო.

სწავლა იგივე მძიმე შრომააო.
სწავლა სულიერი განცხრომააო.

სწავლა სალესავია, კაცს ფხას აძლევსო.
ცოდნა შეცდომებისგან გაზღვევსო.

სწავლა სინათლეა, უსწავლელობა—სიბნელეო.
ვაუკაცურად გადალახე ყოველგვარი სიძნელეო.

სხვა სხვის საქმეში ბრძენიაო.
სხვის საქმეში რომ ერევი, ნუთუ არა გრცხვენიაო?

სხვათა შვილს აჭმიე, რომ შენ შვილს შეერგოსო.
სხვისი დაპურება და პატივისცემა უნდა შეგეძლოსო.

სხვისი ხელით ნარის გლეჯა ადვილიაო.
ღმერთი დასჯის, ვინც ცხოვრება აგვირიაო.

სხვისთვის ორმოს მთხრელმა თავისი ზომის ორმოც მოთხაროსო.
სხვისთვის ცუდის მქმნელმა თავის ცუდი მოთვალოსო.

სიტყვას ასი ტყვია ესროლეს და ვერ მოხვდაო.
მსროლელი სიტყვის ძალას და სიმაგრეს მაშინღა მიხვდაო.

სიტყვა სხვაა საქმე სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი.
საქმე სიტყვას არ დაშორდეს, თუნდ ჩამოწვეს თოვლის ზვავი.

სიტყვით ვაიმეო, საქმით სხვაი—მეო.
მარტო სიტყვა არა კმარა, საქმით მარგე რაიმეო.

სიფრთხილეს დედ-მამა არ მოუკვდებაო.
არანაირი ფათერაკიც არ მოუხდებაო.

სიფრთხილეს თავი არა სტკივაო.
უფულო ავადმყოფი ექიმთან ვერ მივაო.

სიღნაღი ისე არ დაიქცევა, საქობომდე არ მივიდესო.
სიღნაღი ციხე-სიმაგრეში ზის, რომ არსად წავიდესო.

სიცოცხლე არავის არ მოსჭარბებიაო.
ბაზარ-ბაზარ დახუსხუსებს ას ოცი წლის ბებიაო.

სიძევ, წვენი მიირთვიო და-ხორციც კარგიაო.
მოჭარბებული ხორცი და ცხიმი ზედმეტი ბარგიაო.

სიძე რომ სიმამრისას მივა, ღობის სარებიც გაიხარებენო.
საქეიფოდ და სალაღობოდ მეზობლებსაც დაიბარებენო.

სოფელი გაიქცეს-გაიქე, დადგეს—დადექიო.
ჩვენ მეგობრად გავიფიცეთ, შენ შორს რატომ გადექიო?..

სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხო.
ყაჩაღი არის თოფით და ყაჩაღი არის უთოფო.

სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერიაო.
ზოგი თავის მწარე ენით ნამდვილი მორიელიაო.

სოფლის ჭირს ასი ხარი და ურემი ვეღარ აზიდავსო.
უბრალოს აღარ კადრულობს, ყიდულობს ფირმა "ადიდასსო".

სტუმარი ძაღლიც არ გაიგდებაო.
თუ ზემოგება არ ნახა, ისე არ გარიგდებაო.

სულ უდედობას დედინაცვალი სჯობიაო.
გააჩნია დედინაცვალს, თუ არ გაგხდის ტანზე საცვალს.

სხვათა ჭირი—ღობეს ჩხირიო.
რასაც ვეღარ უშველი, გირჩევ, ნუღარ სტირიო.

სხვა სხვის ომში ბრძენიაო.
ომში ძლიერთან გამარჯვება ძნელიაო.

სხვის ბედაურს შენი ჯაგლაგი გერჩიოსო.
ჯაგლაგისაგან წიხლები არ უნდა გეწყინოსო.

სხვისი მკვდარი ადვილი სატირალიაო.
საერთო ჭიქით ნუ დალევ, სხვისი ნაპირალიაო.

სხვის საფლავს ვერავინ ამოავსებსო.
ამ ქვეყნად არავინ დავრჩებით, გინდა ხარჯავდე ასებსო.

ტ

ტალახიან ჯოხს ხელს არ მოჰკიდებენო.
თუ არა მოგება, ხელსაც არ მოჰკიდებენო.

ტალღას აჰყე, ტალღას— დაჰყე.
აღმართები დაილევა, გამოჩნდება მალე ვაკე.

ტაში, კეკე, ბანი, მართა, თამაშობა გაიმართა.
ტაში დაგკრათ, თუ ცხოვრება, უკეთესად წარიმართა.

ტიალი მინა მკვდარსაც ინახავს და ცოცხალსაც.
როცა მიაღწევ პიკსა და მწვერვალს, ნუ დაივიწყებ მეგობარსაც.

ტიკს მაშინ გაბერავენ, როცა ცარიელიაო.
უცხო ქალთან სიახლოვე, ტრფობა წამიერიაო.

ტირილით ვის უპოვნია სიცილით დაკარგულიო.
ულელტეხილზე ბევრი წევს სიცივით გათანგულიო.

ტკაცუნა შეშას ცოტა სითბო აქვსო.
ნაკლებშაქრიან ჩაისაც ოდნავი სიტკბო აქვსო.

ტკბილი სიტყვით მთას ირემი მოწველილაო.
გაავებული ლომიც დასაძინებლად მიწოლილაო.

ტკბილი სიტყვით რკინის კარი გაღებულაო.
მეგობრობის ხიდიც გადებულაო.

ტკბილი სიტყვით ცხრაკლიტულიც გატყდებაო.
მტერ-მოყვარე რძალ-დედამთილიც დატკბებაო.

ტუგრიას ცუგრია იცნობსო.
უსუსურს ძლიერი იპყრობსო.

ტყე თუ არ არის, ნადირი რისა იქნებაო?
ტყე-პარკის შეშად გაჩეხვა ბარბაროსობად ითვლებაო.

ტყე-მინდორს ცხრა თვალი აქვსო.
ნუ ამპარტავნობ და ნუ იწონებ თავსო.

ტყეს თვალი აქვს და კედელს ყურიო.
აქლემს-კუზი და ძროხას-ცურიო.

ტყუილის მთქმელს მართალსაც აღარ უჯერებენო.
ზოგჯერ მართალს-მტყუანის სარჩულს უკერებენო.

ტყუილი ფიცი შვილიშვილამდე გასტანსო.
ტყუილს არ გეტყვით, ჩემმა მზემ, გეტყვით ყოველთვის მართალსო.

ტყუილს მოკლე ფეხები აბიაო.
იყავ გამბედავი, ნუ ხარ კურდღელივით ნაბიაო.

უ

უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო.
მის იორღა ბედაურსაც კუც კი ხოხვით დაეწევაო.

უბედური კაცი ჯამში დამხრჩვალაო.
ზოგ კაცს ხშირად ჯამით უსვამს, მაგრამ სულ არ დამთვრალაო.

უბედოც ბედს უჩიოდა და ბედნიერიცო.
ზოგჯერ ულამაზოც გასათხოვარი რჩება და მშვენიერიცო.

უგულო ათასსა ორი გულადი სჯობიაო.
პირველობა გულადისთვის ძნელად დასათმობიაო.

უგზო-უკვლოდ მოარული ორივ თვალით ბრმა არისო.
სიყვარული პირველადი მეორეზე ღრმა არისო.

უგუნურ მეგობარს გონიერი მტერი სჯობიაო.
უგუნურთან მეგობრობა მტრობის წარმომშობიაო.

უგუნურობა ტიტინებს, უმეცრებას მოსწონსო.
ბავშვს დედის მკერდს აცილებენ, სანამ ძუძუს მოსწოვსო.

უგუნურს ღმერთი გაჭირვებაში მოაგონდებაო.
ურწმუნოს ღმერთზე ლოცვისთვის ენა-ყბა უდუნდებაო.

უთქმელები სამარეში აწყვიაო.
მხოლოდ ზაფხულში მწიფდება ბალი არის თუ მარწყვიაო.

უთქმელის პური მთქმელმა შეჭამაო.
ფარას მოწყვეტილი თხა მგელმა შეჭამაო.

უდედოდ ფუტკრის ბარტყი დაიღუპებაო.
უსაქმოდ და უმოძრაოდ კაცი დაიხუთებაო.

უდროო დროს მყივან მამალს თავს მოსჭრიანო.
ამის მნახველი დედლები ფრჩხილებით მიწას თხრიანო.

უთავბოლობას ზღვა დაუშვრიაო.
ნერვიულობას სისხლი გაუშვრიაო.

უმხროდ არწივი ვერ გაფრინდებაო.
კაცისა მაშინ გჯეროდეს, როცა დაღვინდებაო.

უმტერო კაცი არ ვარგაო.
არც ბევრი მტრის ყოლა ვარგაო.

უნამუსო ვირზე იჯდა, ფეხებს მიატლაკუნებდაო.
ზაფხულშიაც ჩექმა ეცვა, ფეხებს მიაბაკუნებდაო.

უნამუსოს ნიფხავს ხდიდნენ, რაც არ ეცვა, რას გახდიდნენ.
ხილისაგან არაყს ხდიდნენ, ჭაჭაზე ძვირად ჰყიდიდნენ.

უნახავმა გობი ნახა,— ოო, რა სანახავიაო.
შემდეგ ატმის ბაღი ნახა, — რა კარგი სახრავიაო!..

უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო.
უბატონო ქიზიყსაც გამგებლები დაეპატრონენო.

უპატრონო ცხვარი ზამთარშიაც იკრიჭებაო.
სულელი და დარტყმული უადგილოდ იღმიჭებაო.

უპერანგოს საკინძეს აწყვეტდნენო.
პენსიონერს თავის დროზე რვა ლარსაც არ აძლევდნენო.

ურაკუნე კედელსაო—ელაპარაკე რეგვენსაო.
ვერ მიიღეს, რაც უნდოდათ ჰიტლერსა და ჰებელსსაო.

ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო.
უაზროდ, დაუფიქრებლად—არარა წამომცდებაო.

ურემმა შეშა თუ არ მოგიტანა, თვითონ ხომ შეშააო.
ვერ გაასწორებს ქვეყანას მხოლოდ ოხვრა და ხვნეშაო.

ურემს საცა დააწვება, იქ დაჭირიალებსო.
მიკითხება უნდა დიდსაც, როცა დაიგვიანებსო.

ურია გაღარიბდა და მკვდარ ვირს ნალები აჰყარაო.
ავმა სიდედრმა, ბოროტმა, ტკბილი ცოლ-ქმარი გაჰყარაო.

უპატრონო ძაღლიც კი არ ვარგაო.
დილით გასული ვაჟკაცი უკვალოდ დაიკარგაო.

ურემი ზამთარში და მარხილი ზაფხულში გააკეთეო.
როცა შეშა არ გეზოგვის, ბლომ-ბლომად შეუკეთეო.

ურიას ღორის ხორცი სძულდა და ცხვირწინ უდებდნენო.
თუ რა სტკიოდა ურიას, მკურნალნი ვერას უგებდნენო.

ურწმუნოს მორწმუნე სჯობიაო.
ურწმუნო თომა ნუ იქნები, იყავ მორწმუნე გოგიაო.

უსამართლოდ კაცს კი არა, ძაღლს არ უნდა მოექცეო.
შიმშილსა და სილატაკეს, რა ვქნა, როგორ გავექცეო?!.

უსაქმური კაცი ღობე-ყორეს ედებოდაო.
ქუჩაში დაყიალობდა, შრომაში ვერ ებმებოდაო.

უსწავლელი კაცი უტარო ცულიაო.
ბერწი, ურძეო ძროხა ცარიალი ცურიაო.

უშრომველად კაცისთვის ნუთისოფელს არაფერი მიუციაო.
უბარაქო და უნიათო კაცს საქმე ვერ მოუსწვრიაო.

უძაღლო ქვეყანაში კატას აყეფებდნენო.
ულირსსა და უუნაროს ხოტბით ამეფებდნენო.

უძაღლო სოფელში უჯოხოდ დავიარებიო.
არა მაქვს შიში და არცა ნაიარებიო.

უჭკუო თავს იქებდა, ჭკვიანი გულში იცინოდაო.
ცოცხალი არად მიაჩნდა, მის სიკვდილს მისტიროდაო.

უხეირო მაყარი ლხინსაც მოსცდა და ძილსაცო.
უხეირო კაცი მშობლებსაც ამწარებს და ცოლ-შვილსაცო.

უხეირო ცხენს ზოგჯერ კარგი კვიცი გამოუვაო.
უხეირო კაცს ზოგჯერ ტკბილი სიტყვაც ამოუვაო.

უხეიროს გადაკიდებას თავის ტკივილი სჯობიაო.
კამათის დროს უნდა დასთმო, თუ კი დასათმობიაო.

უხეიროს გინდა აღმა დაფხანე, გინდა დაღმაო.
უხეირო ცოლ-ქმართაგან ერთი გამოღმაა, მეორე-გაღმაო.

უჯილაგოსა ცხენსაო ტყუილად აჭმევ ქერსაო.
ვაი, ონოფრე მღვდელსაო, კარგად ვერ უვლის მრევლსაო.

უსინდისოს პირში აფურთხებდნენ და— ეს რა კარგი წვიმა მოდისო.
ძველებურს აღარ იცვამს და სურს უკანასკნელ მოდისო.

უფულობამ უპირობა იცისო.
უფულობამ თურმე უცოლშვილობაც იცისო.

უგოჭისთაოდ ქორნილი არ იქნებაო.
ახლანდელი ქორწილები უგოჭოდაც იქნებაო.

უშვილო და პურაძვირიო.
უსიყვარულო და გულაძვირიო.

უწინ მოჩივარი ბატონს მართალი ეგონაო.
არ მინახავს მომჩივანი, სამართალი ეპოვნაო.

უჭირო საჭიროდ გაიხადაო.
კაბა სანახევროდ გაიხადაო.

უხეირო პატარძალმა ცხრა ცოცხი მოიხმარა და ერთი ოთახიც ვერ გამოგავაო.
ძლივს მოაგროვა ნაგავი, რამდენი ოფლი ღვარაო;
მიაგდო ცოცხი მოქნევით,— დღეისთვის ესეც კმარაო.

უხნავ-უთესი კაცი ღმერთს ემდურებოდაო.
მშრომელზე უკეთესი ვინ მესტუმრებოდაო.

ფ

ფანცი-ფუნცი გაცვდაო, შავი ჟამი დარჩაო.
"ფრანციცული" წახდაო, ინგლისური დარჩაო.

ფარჩა რომ დაიხევაო, ფეხზე არ დაიხვევაო.
ლანჩა რომ დაირღვევაო, ტუფლი არ ჩაიცმებაო.

ფაფა კარამდისო, სიტყვა ბანამდისო.
ომი მარაბდისო—გმირთა ღაღადისო!..

ფაფის შეშინებული დოს უბერავდაო.
ღვინოს გადაჩვეული ლუდს უბერავდაო.

ფერი ლალისა—გემო წყალისაო.
ვაშლი ბაღისა—ზემო ქართლისაო.

ფეხით დავარდნა გერჩიოს ენით დავარდნასო.
ზევით "ავარდნა" გერჩიოს ქვევით "ჩავარდნასო".

ფია-ფუა ყმანვილსაო, დიდი ლუკმა დედასაო.
ჯერ არ არის რვა წლისა და შეხე, რამდენს ბედავსაო?!.

ფარაში ერთი კოჭლი არ გამოილევაო.
ონკანიდან ქლორიანი წყალი არ დაილევაო.

ფეხი იქამდე გაჭიმე, სადამდისაც ნაბადი გაგწვდებაო.
ფულს თუ მისცემს, ოცი წლისა სამოცისას გაჰყვებაო.

ფეხოსანი ცხენოსანს დასცინოდაო.
ღამე ნათევს და უძილოს თვალები ჩასცვივნოდაო.

ფინია აქეს, აქეზეს და მგლებს შეაჭამესო.
რესტორნის მწვადი, ქაბაბი ზედმეტად შეაფასესო.

ფული რეგვენთან ბატონია, ჭკვიანთან მსახურიაო.
ის ვინც სიტყვის პატრონია, ნამუსის ქუდი ახურიაო,

ფული ხელის ჭუჭყიაო.
უფულოდ ცხოვრება არა ღირს და ფუჭიაო.

ფულით ჭკუას ვერ ვიყიდიო.
ჭკუის გარდა ფულით მთელ ქვეყანას ვიყიდიო.

ფულის ხარჯვისას დაფიქრდი, როგორი ნაშოვნიაო.
გაუფრთხილდი და დაზოგე—მშობლების ნაშრომიაო.

ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.
ქვეყნის მწარე აწმყო და მომავალი მატირებსო.

ფლავი ვის უდგას და მადა ვისა აქვსო.
თავი ვის აბია და სკამი ვისა აქვსო.

ფონი კარგია, მაგრამ ერთ ალაგას ახრჩობსო.
იყო დრო, რომ ვაგროვებდით წელიწადის სარჩოსო.

ფრთხილი ნადირი ოთხით გაებაო.
მატყუარას სალაპარაკოდ ენა დაებაო.

ფრინველი ბუმბულით იცნობა, კაცი საქმითაო.
თავი ძლიერ მომაბეზრე შენი მოსვლა—წასვლითაო.

ფრინველს ბუდით იცნობენ და კაცს მამულითაო.
კაცს შრომით აფასებენ და ქალს ნამუსითაო.

ფული ხმალამოღებული ხელმწიფეა.
ხელმწიფის გარშემო კი მისი წრეაო.

ფულს კამეჩის ღონე აქვსო.
ლარს დოლარის დონე აქვსო.

ფუტკარო, შენს კბენას თაფლის გამო ვუძლებთო.
დღეს ცოლ-შვილს საჭმლით კუჭს ველარ ვუძღებთო.

ფუფუნება და ფული კაცს რყვნისო.
თუ თავი თავად არ ვარგა, ფული ვერაფერს ქმნისო.

ფუჭი კაკალი არც კაცსა და არც ყვავსაო.
კამათში სულ არ ერევა და უფრთხილდება ტყავსაო.

ფხიზელი რასაც ბოდავსო, მთვრალიც იმასვე როშავსო.
ფხიზელია თუ მთვრალია—არაფერს არკვებს ოჯახსო.

ფერი ფერსა , მადლი ღმერთსაო.
ლარი არ მაქვს, ვეძებ თეთრსაო.

ფური იგებდა და მოზვერი კვნესოდაო.
ფურის ტანჯვა მოზვერს ესმოდაო.

ქ

ქათამი რომ წყალს დალევს, ღმერთს შეხედავსო.
კმაყოფილი ღმერთის მიმართ, მადლობასაც გაბედავსო.

ქათამი უკულმა ქექავს, თავისი საქმე წაღმა მიჰყავსო.
ზოგ კაცს თავისი ცხოვრება ქათამივით მიყავსო.

ქათამმა უთხრა კვერცხსაო, მაგრე ვიყავი მეცაო.
გავა დრო, გავა ჟამი და ჩემებრ გახდები შენცაო.

ქათმის შეძლება კვერცხიაო.
კაცის სიმდიდრე ოქრო-ვერცხლიაო.

ქალი აშენებულ ოჯახს დააქცევს და დაქცეულს ააშენებსო.
ქალი გაჩერებულ კაცს გააქცევს და გაქცეულს გააჩერებსო.

ქალი თმიანი, მწვადი— ცვრიანიო.
ორივეს ინატრებს კაცი ჭკვიანიო.

ქალი თმითა, ცხვარი რქითა.
ბევრი თქმითა, ხშირი სმითა, დაითვრები ყანწის ცლითა.

ქალი იჯდეს—ბედს ელოდესო.
ბედი რომ შეხვდება, ტკბილად მღეროდესო.

ქალი მორცხვი—ქვეყნის ფასი "კაცი მორცხვი,—კვერცხის ფასი.
გაშიშვლებულ ქალთა დასი—ყავისა და არყის სმაში.

ქალის პატივი ძაღლმაც იცისო.
ქალის სიყვარულით ყველა იწვისო.

ქალის ფარ-ხმალი ცრემლიაო.
რკინაზე მაგარი გრდემლიაო.

ქალი სხვისა და არა დედ-მამისაო.
ასეთი გასხვისება, ნეტავ, ყველა ქალს აღირსაო.

ქალი ქმარსა სწუნობდა, იყო მისი ამარა.
როგორც იქნა, გაშორდა-შეკრა დიდი კმარა.

ქალი ქმრითა, ცხვარი მთითა.
ძროხა-რძითა, კაცი სმითა, მომღერალი—კარგი ხმითა.

ქალიშვილი ოჯახის ბოქაულიაო.
ქალიშვილის ენა და სიტყვაც მოქარგულიაო.

ქალმა თავისი ქმარი მოწმედ მოიყვანაო.
სასამართლოში გაყრისას მოპასუხედ მოიყვანაო.

ქალმა თქვა: ზღვას დავლევო.
ქმარი თუ არ დამიჯერებს, ოჯახს მთლად ავრევო.

ქალმა თქვა: შვილი მინდა და ქმარი არაო.
მოსაფერებლად სხვაც ხომ კმარაო.

ქალს თავისი ჩრდილისაც უნდა ეშინოდესო.
ტკბილ ცხოვრებას უნდა ეშურებოდესო.

ქათამმა რომ დიდი კვერცხი დადოს, მამალს რა ეტკინებაო?
შვილმა რომ დედას აკოცოს, მამას არ ეწყინებაო.

ქალები ჩვენი ცხოვრების ჭახრაკებიაო.
ცხენების წამალი მათრახებიაო.

ქალი გვარით საძებარიაო.
ქალი თუ ვერ გათხოვდება, მისი რა ბრალიაო?

ქალი ვიდრე გათხოვდება მღერის, რომ გათხოვდება—ტირისო.
სოფელში არვინ ჩერდება, ყველა მოაწყდა თბილისსო.

ქალი სუსტია, დედა—ძლიერიო.
ახალგაზრდა იყოს გინდა ხნიერიო.

ქალი სხვაგან ბედს ეძებდა და ბედი შინ ელოდაო.
ზოგი ქალი სიკვდილამდე იჯდა და ბედს ელოდაო.

ქალი სხვათა სახლის ყორეაო.
ქალმა საქმრო დაიწუნა, არ გავყვები, შორიაო.

ქალი ქებით გათხოვილაო.
კარგი ცხოვრებით გაფხორილაო.

ქალს რომ ქმარი მოუკვდება, თავი მაშინ მოუკვდება.
ჭრელ-ჭრელ კაბასაც ჩაიცვამს, თუ კი ტანზე მოუხდება.

ქამარს რომ შაგხსნიან, ჩოხასაც გაგხდიანო.
ფულსაც წაგართმევენ, შარვალსაც ჩაგხდიანო.

ქალს, რომ გათხოვება მოუნდება, კერას წაეკიდებაო.
თუ ნებით არ წაიყვანეს, ძალით გაეკიდებაო.

ქალს რომ დედა მოუკვდება, ბედი მაშინ შეეკვრება.
ერთი სახის მწუხარება მეორესთან შეერთდება.

ქართველს—გუთანიო, სომეხს—დუქანიო.
ქართველს—გამხდარი, სომეხს—მსუქანიო.

ქარის არც მოტანილი მინდა, არც გატანილიო.
ორმაგად ფასობს ლითონი, საზღარზე გატანილიო.

ქარის მოტანილს—ქარივე წაიღებსო.
ქალის შენახულს ვერავინ გაიგებსო.

ქაჩალი თავს არ მოიფხანს, თუ მოიფხანს—სისხლს დაიდენსო.
თუ კი საქმეს მიჰყო ხელი, ოფლსაც გაიდენსო.

ქაჩალი რომ ექიმი იყოს, თავის თავს მოარჩენსო.
გინესის წიგნში შევა და სასწაულებს მოახდენსო.

ქაჩალი სავარცხლის გაძვირებას ჩიოდაო.
სავარცხელი რად უნდოდა, თმები სულ მთლად სცვიოდაო.

ქერს ნაჩვევი ცხენი ქერს არ მოიკლებსო.
კარგად შენახული ღვინო პრკეს არ მოიგდებსო.

ქვავ აგორდი, ოღონდ მე ნუ მომხვდებიო.
ყველა კაცი ასე ფიქრობს—ოღონდ მე ნუ მოვკვდებიო.

ქვანიც ბერდებიანო.
წყალიც ძველდებიანო, ბოლოს ყროლდებიანო.

ქვაცა აქვს და კაკალიო, თავში შემოსაკრავიო.
დილით ძლივსღა ახელს თვალებს ღამე ღვინონაკრავიო.

ქვის კოდვა და წყლის ნაყვა ერთია.
ორივე საქმეს მოეშვი და შეგეწევა ღმერთია.

ქვის დაგორება ადვილია,—ატანა ძნელიო.
სტუმრად მისვლა ადვილია, დახვედრაა ძნელიო.

ქვეყანას მალე დაღუპავს ლაჩართა გადაკიდება.
დაგვღუპავს უქონლობა და ფასებზე ცეცხლის კიდება.

ქვეყანაც დიდია და ტყეცაო.
ხალხიც ცნობილია და ხეცაო.

ქვეყნად ცოდნაზე მეტი ძალა არ არსებობსო.
დღეს უმეცრების სინდრომი ქვეყანას არ ასვენებსო.

ქმართან დიდი ლუკმა ჭამე, ძმასთან პატარაო.
ქმრის ადგილს ვერვინ დაიჭერს, ჩემო ლატავრაო.

ქოთანი ქვაბს აქებდა, ქვაბი—ქოთანს, ორივე მურიანი იყოო.
ვაჭარი მუშტარს ატყუებდა, მუშტარი ვაჭარს, ორივე ფულიანი იყოო.

ქონი მსუქანს მიაკრესო.
ძვალი გამხდარს მიაბესო.

ქორი ქორსა შობს და ძერა—ძერუკასაო.
ღორი ღორსა შობს და მელა-მელუკასაო.

ქორს წიწილი წივილის გამო მოსწონსო.
ქორი წიწილას აწივლებს და მერე ტვინს ამოსწოვსო.

ქორწილში ძაღლიც კი მოვაო.
ბევრს უყვარს მუქთა ჭამა და მუქთა წოვაო.

ქრთამითა და ოქროთი ყველაფერი იბილწებაო.
ქრთამის და ოქროს ამღები უსირცხვოდ იფიცებაო.

ქურდის ნაკვალევი წყალსაც კი დააჩნდებაო.
თითების ანაბეჭდიც ძიებისას გამოჩნდებაო.

ქურდს ქუდი ეწვისო.
ქურდი პოლიციელი ქურდებს ებრძვისო.

ქურდის ქურდი ცხონებულიაო.
ქურდის ქურდი უფრო გაქნილი და მოგებულიაო.

ქურდის შემნახავი ქურდზე უარესიაო.
ქურდებისა არ დანდობა—კანონი და წესიაო.

ქურდმა ქურდს მოჰპარა და ღმერთს გაეცინაო.
ქურდს არ უნდოდა ქურდობის გარეშე დღე გაეცდინაო.

ქურდს ბარაქა ვინ მისცაო.
ნაქურდალი დაელევა, გაუშრება პირიცაო.

ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებსო.
რა ეშველება ამდენ მათხოვრებსა და ამორძალებსო?!.

ქვეითი ცხენოსანს დასცინოდაო.
ქვეითს ცხენოსნის ჯავრითა კბილები დასცვივნოდაო.

ქვეყანა მაშინ წახდაო, დათვი რომ საძაღლე ვახდაო.
ქვეყანა მაშინ წახდაო, როცა საპირფარეშო ოცი თეთრი გახდაო.

ქვიდან გამოძვრა და სიპში შეძვრაო.
უაზრო ყვირილით ქვეყანა შეძრაო.

ქვრივის ქორწილში ქერის პურს ვინ დაინუნებსო.
ჭამა-სმით ყველას გააძღებს, არავის დაიმდურებსო.

ქიციც იცის და ქიცმაცურიცო.
ტანგოც იცის და ბაღდადურიცო.

ქმარი ლაშქარს იყო, ცოლი ამბავს უყვებოდაო.
მთელი დღე ამბის მოყოლას და ლაქლაქს უნდებოდაო.

ქმარმა რომ ურმით შეიტანოს, ცოლი ნიჩბით გადაყრისო.
საქმოსნები იმდენს ხვეჭენ, ცოლ-შვილს თავზე გადასდისო.
ზოგი ცოლი წყლიდან იღებს, ზოგი კიდევ წყალში ყრისო.

ქოთანი რომ წაიქცევა, შეჭამანდი დაიღვრებაო.
სანამ თონე ცხელი არის, შოთი მაშინ დაიკვრებაო.

ქონებავ სად მიხვალ და საცა ბევრიაო.
ჩვენი ბედი და ხვედრი შუბლზე გვაწერიაო.

ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო.
დღეს წვრილ-წვრილი ელჰესები ჩვენს იმედებს ამართლებსო.

ქრისტე ღმერთი რომ შენი შემწე იყოს, გუთნის კვალი არ
გაგიმრუდდებაო.
დახარჯული ენერგია და ნაშრომი ბუმერანგივით
დაგიბრუნდებაო.

ქრისტე-ღმერთი ჭკუით იცნესო.
ალბათ ქრისტეც ეწეოდა სასარგებლო ბიზნესსო.

ქუდი დასვი და სამართალი ისე თქვიო.
წუ ბლუქუნებ, ყველა ბგერა მკაფიოდ გამოთქვიო.

ქურდმა ერთი ცოდვა ქნა და დამკარგავმა—ათასიო.
თედო ციხეში ჩააგდეს, ბრალი იყო დათასიო.

ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო.
დღისით და მზისით აკეთე, თუ მოიფიქრე რამეო.

ქურდს სწორი გზა და სწორი სიტყვა ვინ მისცაო.
მრუდე გზაზე მავალი ბევრი წაიქცაო.

ქურდს ქურდი სძულდა და ორივე კი—ღმერთსაო.
ქურდის ბოლო ციხე არის, ვიტყვი მხოლოდ ერთსაო.

ღ

ღამით ნაკერი კაბა დღისით არ ჩაიცმებაო.
არც საშინაოდ ვარგა და არც გარეთ გაისვლებაო.

ღამის ქურდს დღისით დაიჭერენო.
დილით დაჭერილ ქურდს საღამოთი გამოუშვებენო.

ღარიბი ის არის, ვისაც ჭკუა აკლიაო.
ჭკუის არ ქონა ყველაზე დიდი ნაკლიაო.

ღარიბის ლუკმა გემრიელიაო.
ღარიბის ლუკმაში ოფლი ერიაო.

ღარიბი კაცი სიხარულში მოკვდებაო.
სამაგიეროდ სამოთხეში მოხვდებაო.

ღარიბი კვდებოდა ნატვრითა, მდიდარი კიდევ ჯავრითა.
სიძუნწემ მოკლა მდიდარი, ვეღარ აკურთხეს ჯვარითა,

ღარიბის გაჩენაში ღმერთი არ ურევიაო.
ღარიბი ჩვენ ქვეყანაში ულევიაო.

ღარიბმა თქვა: მე რომ დალაქი ვყოფილიყავ, კაცები უთავოდ
დაიბადებოდნენო.
ღარიბს ალბათ უნდოდა ეთქვა: კაცები უთმოდ დაიბადებოდნენო.

ღარიბს ორი ეხარჯებოდა, მდიდარს—ერთიო.
ღარიბს არავინ ეხმარებოდა, მდიდარს—ღმერთიო.

ღვთისა არ ეშინია. კაცისა არა სცხვენია.
ქვეყნის სიბილწით გაავსო თავისი სარეცელია.

ღვთის წყალობა ღვთის რისხვად ესმისო.
კაცს როცა რამე სტკივა, სიმწრის ოფლი ესხმისო.

ღვინით გალახულს ჯოხით გალახული სჯობიაო.
გუთნით უკუღმა ხნულს მთლად მოუხვნელი სჯობიაო.

ღვინო არსად იყო, ტიკებს ამზადებდნენო.
ღვინის ფურმულა დაავიწყდათ და H2O-ს აზავებდნენო.

ღვინო კი არა მსმელი აშავებსო.
კარგსა და ცუდს ვეღარ ანსხვავებსო.

ღვინო უფროსს და წყალი უმცროსსო.
გულთბილად შეხვდი სტუმარს უცხოსო.

ღვარძლის მთესველი ხორბალს ვერ მოიმკისო.
დღე და ღამე სხდომებზე ზის, ჩვენთვის როგორ მოიცლისო.

ღია კარი პატიოსანსაც შეაცდენსო.
დიაცის ეშხი ოთახში ჩუმად შეაძვრენსო.

ღმერთო მიშველეო და,—ხელი გაანძრიე და გიშველიო.
ღმერთიც იმას შველის, ვისაცა აქვს გიშერიო.

ღმერთია კაცის გამჩენი, იგივე არის დამრჩენი.
წესიერ სიტყვას არ იტყვის კაცი, გინებას ნაჩვევი.

ღმერთი—ერთი, სიტყვა—ერთი, ცოლი—ერთი.
ქართველების გამრავლებას მოუხდება შვილი ერთი?!.

ღმერთი ვისაც გაუწყრება, ჭკუას წაართმევსო.
უჭკუო და უტვინო კაცს, ნეტავ, რაღას წაართმევსო?..

ღმერთი მექუდეაო,—ერთს მოხდის, მეორეს დაახურავსო.
ღმერთს თუ უნდა სახლს დაგიდგამს, უნდა—მოხდის სახურავსო.

ღმერთმა ნუ ქნას ბებრის ბუქნაო.
"ყოჩაღ ბებია",— პაპამ უთხრაო.

ღმერთმა ქნას თქვენს თხას ტყუპი მოეგოსო.
ღმერთმა ქნას თქვენი შვილიც გონებაზე მოეგოსო.

ღმერთო, ნუ მისცემ გლახასა, ვერაფერს შეგინახავსა.
შედგება ფანჯრის რაფასა, დაბლა მოადენს ბრაგვანსა.

ღმერთო, მაშორე ავი კაცის ვალსა, დედაკაცის შარსა.
ამ ქვეყნიდან ვალმოხდილი წახვალ, თუ მიჰყვები მხოლოდ
ქრისტეს კვალსა.

ღმერთს გავექეცი და ბედს კი— ვერაო.
ერთს გავექეცი და ბევრს კი—ვერაო.

ღმერთს მთა და ბარი არ გაუსწორებიაო.
მაღალი და დაბალი არავის დაუსწორებიაო.

ღობეს—ჩხირი, მჭედელს—ვირი.
წყნარად მითხარ, რატომ ყვირი?..

ღორი ზღვის გაღმაც ღორიაო.
მისგან მზადდება რაჭული ლორიაო.

ღორი რომ გასუქდება, მგლის ჭიდილს მოინდომებსო.
ღორი ტალახში ჩაწვება, ტილებსაც მოიშორებსო.

ღორი საღორეში უნდა იყოსო.
ნეხვის სუნი რომ არ იყნოსო.

ღორი ცხრაჯერ რომ გაბანო, მაინც ტალახში ჩაწვებაო.
მისი წესი ასეთია, გულს ჯავრი ნუ გაწვებაო.

ღორის თავი ხალიჩაზე დადეს და ლაფში გადაგორდაო.
მოჭიდავე ხალიჩიდან ხალხში გადაბობღდაო.

ღორის ტილი ფეხზე რომ დაისვა, თავზე მოგექცევაო.
გამოგაჩენს, ან წაგახდენს ყველგან შენი ქცევაო.

ღორმუცელას საზღვარი გაძღომააო.
ზარმაცის სანატრელი დაწოლაააო.

ღორი ნაპირში შეუშვი, შუაში შევაო.
წყალში შემთხვევით ჩავარდნილს, მალევე უნდა შველაო.

ღორი რკოთი გაძღა და მუხას დაუწყო თხრაო.
ერთმა რეგვენმა გლეხმა ივნისში იწყო ხვნაო.

ღორმა თქვა: დამკალი და დამაფასეო.
ოჯახში და გარეთ შრომა როგორმე შეათავსეო.

ღორს რქები რომ მისცა, დედამიწას გადააბრუნებდაო.
ღორი დინგით მწვანე ეზოს თხრიდა და აბრუნებდაო.

ღრუბლიანი დღე პატარძალს დილა ეგონაო.
ზოგიერთ პატარძალს ერთი შვილი ბევრი ეგონაო.
და ცდილობდა განცხრომა ძილში ეპოვნაო.

ყ

ყასბების ჩხუბი ძაღლების ხეირიაო.
ჩხუბში იმარჯვებს, ვინც უფრო ჯეილიაო.

ყბადაღებული და წყალნაღებულიო.
მადლი და სიკეთე წამწარებულიო.

ყბედი ვინ მოღალა და მუნჯმაო.
ჯერ რიონმა წაგვლეკა და მერე დურუჯმაო.

ყვავი თავის სახელს იძახისო.
თავისი ყვაა-ყვაობით ფრინველებში იძრახვისო.

ყვავი თვითონ ყარდა, ბუდეს იცვლიდაო.
ყვავი ბახალებს დღეში ათჯერ ითვლიდაო.

ყარყუმს რა მოკლავს და თავისი ენაო.
ყარყუმის ყრანტალმა წაიღო ყურთა სმენაო.

ყვავი აფრენაზე იყო და ხელის აქნევას ელოდაო.
ყვავი თავის მელოდიას თითქოს ნოტებზე მღეროდაო.

ყვავი ჩხიკვის მამიდაო, გაფრინდა და წვიდაო.
ნათესავში ვერ მივდივართ, მათი ნახვა მოგვინდაო,

ყვავო სადაც წახვალ, შენი ბოლო იქ წაგყვებაო.
შენი შნო და მარიფათი სადაც წახვალ, თან წაგყვებაო.

ყვავს თავისი ბახალა მოსწონდაო.
მელას თავისი კუდი მოწმობდაო.

ყვავი ნეხვზე იჯდა და ბოლოს არიდებდაო.
ყვავი თავის ბახალებს წვრთნიდა და არიგებდაო.

ყვავმა შვილები დაზარდა, დაჯდა, თვითონვე დაჭამაო.
შვილმა თავისი მშობლები წინდაუხედაობით აწამაო.

ყვავს არ ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო.
მშობელს რაც ჰქონდა, შვილს გაჰქონდაო.

ყვავს ბახალა მოუკვდა, ბუს მიუგდო, დიდი თავი გაქვს—იტირეო.
ყვავი თავის ბახალას წვრთნიდა—პირი გააღებინა, იყვირეო.

ყველა ამბობს: ჩემი სარეცხი კარგიაო.
უმაღლესში თუ ისწავლი, აირჩიე დარგიაო.

ყველა ბედითაო.
ყოფნა შვებითაო.

ყვავს კაკალი გააგდებინეო.
მტერს თავი წააგდებინეო.

ყველა გულითა ხარობდა, ცეცხლი კი—უგულობითა.
არ ვარგა ყოფნა კენტადა, უცოლოდ, უშვილობითა.

ყველა სიმართლე როდი ითქმებაო.
ყველა სიბრძნე კი ხალხში იქმნებაო.

ყველა ფერის ქათამი თეთრ კვერცხსა სდებსო.
კვერცხის გული და ცილა კაცს ერთნაირად რგებსო.

ყველაზე გვიან ჭკუას ვპოულობთო.
საჭირო ლარებს ძნელად ვშოულობთო.

ყველაზე მძიმე რა არის და ცარიელი მუცელიო.
თუ სტომაქი გადატვირთე, წამოდგომას ნურც ელიო.

ყველაზე ცხარე ცრემლი უსამართლობამ იცისო.
ქურდბაცაცა ნუ იქნები და ნურც გამტეხი ფიცისო.

ყველა თავისას ჩიოდა, მენახირე—ბუზანკალსაო.
მინდორში სიარულისას ერიდე ნარ-ეკალსაო.

ყველა თავის სამარეს ამოავსებსო.
კაცი თუ ჯავრს გაგიზიარებს, გულის დარდს ამოანთხევსო.

ყველა თავის ცეცხლს უბერავსო.
შვილი მშობელს საპასუხოდ რაღას აღარ უბედავსო?!.

ყველა კაცი კაციაო, კახაბერიც კაციაო.
კახას ჯინსი აცვია და ჯიბეში აქვს "რაციაო".

ყველა მკვდარს დამარხვა უნდაო.
პატრონი გაიწურება, როგორც მხლის გუნდაო.

ყველა ოჯახში თითო კოჭობი თუხთუხებსო.
სულელი მარტო დადის და ჩუმად ბუტბუტებსო.

ყველას თავისი ფასი აქვს: თხას—თხისა, ციკანს—ციკნისა.
შემწვარი ციკნის მჭამელმა, ღმერთო, რაღა არ იკისრა!..

ყველა ფრინველი ხეზე ზის, მწყერი მიწაზე გოგდება.
მწყერი რომ ხეზე შემოჯდეს,—ეს არასოდეს მოხდება.

ყველამ ერთბაშად მიწას ფეხი რომ დავკრათ, მიწა იძვრისო.
გამარჯვება შენია, თუ ყველა მეომარი ერთი მიზნისთვის იბრძვისო.

ყველაფერი ახალი სჯობია, მეგობარი—ძველიო.
რძალი და დედამთილი—თხა და მგელიო.

ყველაფერს დაიჭერ, გარდა პირიდან ამოსული სიტყვისო.
კაცი უნდა დაფიქრდეს, სანამ რამეს იტყვისო.

ყველაფერს თავისი დრო აქვსო.
დაუფიქრებელ ნათქვამს ცუდი შედეგი მოაქვსო.

ყველაფრის ცოდნა შეუძლებელიაო.
პატარის გონება შეუვსებელიაო.

ყველა ხარი ერთი სახრით არ გაირეკებაო.
ყველასთვის ზარი ერთნაირად არ დაირეკებაო.

ყველი და პურიო, კეთილი გულიო.
მივუმატოთ მარილიო,—გამოვა პურმარილიო.

ყველიპარიას ყველი აგონდებოდაო.
ფული პარიას— ფულიო.

ყველის გამყიდველს ყველის სუნი უდისო.
ყველის ხელმწიფედ ითვლება ალვანური გუდისო.

ყვითელი ოქრო შავი დღისთვისაო.
შავი ოქრო—მარგანეცი ცოტაღაა ითხვისსაო.

ყოველი მარცხი ჭკუის მასწავლებელიაო.
შვილი მშობლების მაწვალებელიაო.

ყოველი დილა სიჭაბუკეა, ყოველი ძილი—პატარა სიკვდილი.
დილის ვარჯიში სიჩაუქეა და ყოველ დილას გარეთ სირბილი.

ყინული თოვლს თავდებად დაუდგაო.
ზამთარში კაცს ორივე წინ აღუდგაო.

ყმაწვილი თუ არ იტირებს, დედა ძუძუს არ მისცემსო.
წინასწარ თუ არ იშრომე, გასამრჯელოს ვინ მოგცემსო?!.

ყმაწვილი ჯერ არ დაბადებულიყო, აბრაამს არქმევდნენო.
პატარაობიდანვე ბავშვს სიმართლის თქმას უნდა აჩვევდნენო.

ყოველგვარ ჭირს ფეხი ზიდავს, ფეხს კი—არაფერიო.
როცა გიჭირს, უნდა ჭამო მჭადის ანაცერიო.

ყოველსა სიტყვას დრო უნდა, ლაპარაკს—მისი ადგილი.
თავის დოზე რომ კარგი თქვა, არ არის ასე ადვილი.

ყურძნის სიყვარულით ღობესა ჰკოცნიდნენო.
უხვი მოსავლის მისაღებად ვაზს დროულად ფურჩნიდნენო.

შ

შავ გულს ხშირად თეთრი კბილები მალავსო.
შავ მიწას ხვნის დროს რკინის გუთანი კვალავსო.

შავი ძაღლი, თეთრი ძაღლი— ორივე ძაღლიაო.
ყველა ფერის გონიერი ძაღლი,—ყველა კარგიაო.

შავარდენის ახლოს ქედანი ვერ იბოგინებსო.
სამშობიაროში ქალი უფულოდ ვერ ილოგინებსო.

შავი ტანი, თეთრი ტანი აბანოში გამოჩნდებაო.
შენი საქები სიტყვები უცბად არ წამომცდებაო.

შარისთვის შარიანმა შარა მოხნაო.
შურიანმა ბოროტებით შურის ბოხჩა მოხსნაო.

შეიყარნენ რვანიო, სულ კოჭლნი და ბრმანიო.
სახლში ვეღარ ეტეოდნენ... დაემატნენ სხვანიო.

შემოვიარე ავჭალა, პური არავინ მაჭამა.
ხეიბარს პატივი ეცი, კოჭლი იყოს, თუ ცალთვალა.

შავი ცხვარი ბანვით მოკლეს, თეთრი—დაუპანლობითო
მთელ სოფელში ცნობილია თავის გაუტანლობითო.

შავი ძროხა თეთრ რძეს იწველისო.
პატრონი კი სისუფთავეს იკვეხნისო.

შეაქეს მურია, შეაჭამეს მგელსაო.
საცოდავი, ჰყეფს, წკმუტუნებს ბევრსაო.

შეგირდი კარგ ოსტატად ჯოხს გამოყავსო.
კარგი სადოღე ცხენი ჯოგიდან გამოჰყავთო.

შენახული ფული ეშმაკისააო.
ყველაფრის შემძლე სავსე ქისააო.

შენ ვინა გკითხავს—ბარი ათი შაურიაო.
გლეხმა თურმე სპირტში წიწაკა და წყალი გაურიაო.

შენი ადგომა—ჩემი აღდგომაო.
როგორ მინდოდა სკამზე დაჯდომაო.

შენი კარი გააღე, სხვისაც ღია დაგხვდებაო.
უდიერი ქცევისთვის წკიპურტები მოგხვდებაო.

შენ ძროხაში ნაბრძანდები, მე ქორწილში წავეთრევიო.
შენ ძროხის რძით გაიჭყიპე, მე კი ღვინით დავთვრებიო.

შენა გგონია—ერბო ქონიაო?
ახლა თუ არა გვაქვს, წინათ ხომ გვქონიაო.

შენდებოდეს—შეასწარი, ინგრეოდეს—გაასწარი.
კაცის კვლას და ქვეყნის ნგრევას, ღმერთო, ნუღარ შემასწარი.

შენი მჭადი სხვათა ხინკალს გერჩივნოსო.
'იცხოვრე ისე უზრუნველად, რომ არაფერზე გეჩივლოსო.

შენი საქმენი თავად ღაღადებენ, რაც ხარო.
ზოგიერთი ისეთია, სულ უნდა რომ ზურგზე ფხანო.

შენი სიგულადე ჩემი სიბეჩავის ბრალიაო.
ჰქვია უმუშევარი და დღედაღამე მთვრალიაო.

შენი მუცელი შენს ქვევითაა.
ნუ დაივიწყებ იმასაც, რომ თავი შენს ზევითაა.

"შენი ჭირიმეთი" შვილი არ გაიზრდებაო.
თუ ვერ გაიგო ნათქვამი, სულ ფუჭად ჩაითვლებაო.

შენ ისე მიყვარხარ, რომ შენს დაქვრივებას, ჩემი დაქვრივება მირჩევნიაო.
ქვრივო, შენგან ბევრჯერ სიტკო მიგემნიაო.

შენც გინდოდა, მეც მინდოდა—მოციქული რად გვინდოდაო?
ჯერ მამიდა გპატრონობდა, მერე ბიძა—ბიძობდაო.

შენც "სუ"" და მეც "სუო".
შენ—არაფერი, მე კი—სულაო.

შეშა იწვება, ნაცარი რჩებაო.
მამა კვდება და შვილი რჩებაო.

შეძახება ხესაც გაახმობსო.
ხმამაღალი ძახილი ტყეში ნადირსაც დააფრთხობსო.

შვიდ სადილზე შეესწარი, შვიდი ლუკმა აიღეო.
ლუკმა პირთან მიტანილი—მეტი უკან წაიღეო.

შვილი გაზარდე მტრულადა, გამოგადგება ძმურადა.
სიკეთის მქმნელი ხელები, მოხვიეთ ვახტანგურადა.

შენს პირსუკან მლანძღველს შენი ეშინია, პირში მქებელს ეზიზღებიო.
ახლობლის კილვა—ლანძღვაში ნურავის ეჯიბრებიო.

შვილმა რომ დედას ხელის გულზე ერბოკვერცხი შეუწვას, მაინც ვერ გადაიხდის იმის ამაგსო.
შვილმა მადლობის მაგიერ დედა გინებით აავსო.

შვილს ვინც გიქებს—მტერია, ვინც გიძაგებს—შენია.
ვინც შეგირცვხენს გვარს და ჯილაგს, იგი ოჯახის მტერია.

შინაური ქალი ელამიაო.
გარეული—ედემიაო.

შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო.
გაცვეთილ როსკიპს ქალური გრძნობა არა აქვსო.

შინ ბალღები გიშიოდნენ, გარეთ ტაბლას რა ხელი აქვსო.
დღე და ღამე სახლში გიზის, შეხე, ყმაწვილს რა ფერი აქვსო!..

შინ გარიგებული საქმე გარეთ, არ გამოდგებაო.
რასაც არ ელი, უეცრად ხანდან გამოჩნდებაო.

შინ კაცს ოქრო სათხრელი ჰქონდა, გარეთ მიდიოდაო.
ქონებითა და ოქროთი ააგო დიდი "ოდაო".

შინ უფროსი არა გყავდეს, დედაბოძს დაეკითხეო.
შვილო, თუ ცოლად მისდევდი, რატომ არ დამეკითხეო?!.

შიში შეიქმს სიყვარულსაო.
ტკბილად ყოფნა კი—სიხარულსაო.

შოლტი ისე უნდა აიქნიო, შენვე არ მოგხვდესო.
გარკვევით უნდა არჩევდე მოქიშპესა და მომხრესო.

შორეულ მოყვარეს აწუხებს, მითხარ, რაღა მოღლისაო?
ვინც მოყვარესა არ ეძებს, ის თავის თავის მგმობიაო.

შორი გზა მოიარე შინ მშვიდობით მოდიო.
მშვიდობის გზა მოკლე გზაზე ბევრად არის მჯობიო.

შეცდომისაკენ ათასი გზაა, ჭეშმარიტებისკენ—მხოლოდ ერთიო.
შეცდომას უკეთ სხვა ხედავს, ჭეშმარიტებას—ღმერთიო.

შეცდომა თუ შეგიძლია, მონანიებაც შეგეძლოსო.
შენი ოფლით მონაგარი უთუოდ უნდა შეგერგოსო.

შვიდ ძმას შვიდი ხარი უხაროდაო.
უეცრად შვიდივე დაეკარგათ უკვალოდაო.

შვიდნი ერთს არ უცდიანო.
მუქთად ფქვილს არ უცრიანო.

შვილი გაზრდისაა, ცოლი—მოვლისაო.
კაცს თუ საქმე არ აწუხებს, მითხარ, რაღა მოღლისაო?

შვილისთვის ყველაზე კარგი დედ-მამას უნდაო.
მშობელი შვილისთვის დნება, როგორც თოვლის გუნდაო.

შვილიშვილი და პაპა ერთი ჭკუისანი არიანო.
შვილიშვილი და პაპა ერთ დონემდე დადიანო.

შინაურ კატას გარეული აგდებდაო.
უსათვალოდ დედაბერი ნემსზე ძაფსაც აგებდაო.

შრომაში ზარმაცი, ჭამაში მამაციო.
დედიკო, მაჭამე, მამიკო, ჩამაცვიო.

შუბლის შეხლას კისრის მოხრა სჯობიაო.
შუქის გამორთვას დახარჯულის გადახდა სჯობიაო.

შუაღამემდე ქმარი ეხვეწებოდა, შუაღამის შემდეგ—ცოლიო.
რად უნდა ხვეწნა ცოლსაო, თავს რატომ იჭერს შორსაო.

შურიანები კვდებიან, მაგრამ შური კი ისევ რჩებაო.
შურიანი კაცის თვალებზე ცრემლები არა შრებაო.

შურიან კაცს მეზობლის ვარდი ეკლად მიაჩნდა.
შურიანსა და ბოროტსა მოყვრის დარდი არაფრად მიაჩნდაო.

შუქით ჩასულმა მზემ მეორე დღეს დარი იცისო.
როგორც ამინდი იცვლება, ხასიათს ისე იცვლისო.

ჩ

ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო.
არ დაილევა მჯობზე მჯობიაო.

ჩამავალი მზე ამომავალ მთვარეს განზე უყურებდაო.
ლოთი კაცი ღვინის ბოთლებს იარლიყს უწუნებდაო.

ჩასიძებულ კაცს გატყავებული მელია სჯობიაო.
ყველა კითხულობს, ყველაო: საქმეა საკვირველაო—
ჩასიძებულ კაცს, ფულიანს, რითი სჯობია მელაო?!.

ჩემ დღეში რომ სახლი ვაგო, შიგ როდისღა შევიდეო.
სადაც არ სჯობს თავის ტეხა, სულ აქე და ერიდეო.

ჩამდინარე წყალივით დღენიც აღარ დაბრუნდებიანო.
პირიდან ამოსული სიტყვებიც უკან აღარ გაბრუნდებიანო.

ჩაცმა-დახურვა ადამიანის მონახევრეაო.
ორი იმდენი კაცია, თუ ტანზე კარგად აცვია.

ჩემი პურ-ღვინით გამძღარი ქვას მევე მატეხს თავზედაო.
ერთი გზა დამრჩენია ღა-გავერიდები განზედაო.

ჩემი არ გითხრა, გული რით დაგწვაო?
რით მოვიბანო თავზე ლაფდასხმაო?..

ჩემი ურგები ქოთანი ქვასა, ხორცი—ძაღლსაო.
ერბოს ქოთნების პატრონი, ახლა ძლივსღა ვხრავ ძვალსაო.

ჩემი ქუდის ქვეშ მეც კაცი ვარო.
კაცი ვარ და ქუდი მხურავს... დედამიწა ჩემთვის ბრუნავს!..

ჩემი წილი კალო გავლეწეო.
ჯამ-ჭურჭელი სიმთვრალეში დავლეწეო.

ჩემი ენა ჩემი მტერიაო.
რაც გადამხდა, ყველაფერი შუბლის ძვალზე სწერიაო.

ჩემი ლამაზი ის არის, ვინც მე მიყვარსო.
ან ფიროსმანმა დახატა, ანდა უკვდავმა პიკასომ.

ჩემი ქონება ხეზე ამყვებაო.
სამარეში კი არაფერი ჩამყვებაო.

ჩემი შენ გითხარი—გული მოგიკალიო.
საიდუმლო რამეს გეტყვი,—ყური მომაპყარიო.

ჩემმა გაკეთებულმა საქმემ წელი მატკინა, სხვისამ კი— გულიო.
საქმის დროს ვერ შევიგრძენი მე სიხალისე—სრულიო.

ჩემმა დაჭედილმა ჯორმა წიხლი ისევ მე მესროლაო.
ჯორი, აბა, რის ჯორია, თუ წიხლი არ გეესროლაო.

ჩვენი ავად მძრახავი ქვის ქვეშ იყოსო.
ჩვენი ავი მძახალიც იქვე იყოსო.

ჩვენი ავლა-დიდებაო ერთ ცხენს აეკიდებაო.
ძაღლმაც იცის ქალის ფასი, მას არ გაეკიდებაო.

ჩვილი ყმაწვილი ბატონიაო.
მხოლოდ ტირილის პატრონიაო.

ჩივილი თხოვნაა, თხოვნა კი წართმევაო.
როცა ძილი თავს მართმევს, რა კარგია წათვლემაო.

ჩიტი ოქროს გალიაში მაინც ტყვეაო.
ფრინველთა თავშესაფარი გაფოთლილი ტყეაო.

ჩხუბში ისეთ სიტყვას ნუ იტყვი, შერიგებისას შეგრცხვესო.
ისეთ სიტყვებით ლანძღავდა, მოსასმენადაც—ჩემს მტერსო!..

ჩვენსა მოხვალ, ღვინოს ყლურჭავ, თქვენსა მოვალ—თვალებს ხუჭავ.
თუ საერთოდ აღარა სვამ, აბა, ჩემთან რატომ წრუპავ?!.

ჩვენს ბატონს გაუვიდაო—ნამუსი წაუვიდაო.
გიჟუას მუშტი მოხვდა და გული მთლად წაუვიდაო.

ჩვეულებამ პანღური ამომკრაო.
ცხოვრებამ ლაგამი ამომდვაო.

ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო.
გაწყდეს მოთმინების ძაფი, სადაც უწვრილესიაო.

ჩიტი ბდღვნად არა ღირდაო.
მისი დაჭერით და გაპტკვნით—მხოლოდ გართობა მინდაო.

ჩიჩიაც გინდა და ბაბაცო.
დაღეჭვაც გინდა და ყლაპვაცო.

ცა

ცა და მიწა.იქცეოდა, ტურა ქორწილს ეწეოდა.
შიმშილისგან იქცეოდა, "მარლბოროს" კი ეწეოდა.

ცალი გვერდი ნათლიისა აქვს ნათლულსაო.
ბაზრობები, ბაზრობები ისანსა და ნათვლულსაო...

ცალი მხრით ხე თავის დღეში ვერ მოიჭრებაო.
გაყოფისას ძმათა შორის ზედმეტი არ მოითლებაო.

ცალი ხელით ტაში ვერ დაიკვრებაო.
გაციებულ კეცებზე მჭადი ვერ გამოცხვებაო.

ცალს ცალმა უნდა უცალოსო.
ქმარს ცოლმა უნდა უცოლოსო.

ცალ-ცალკე მოჩივარი ბატონს მართალი ეგონაო.
ვის უნახავს, ჩივილით რომ რამე კარგი ეპოვნაო.

ცა სირცხვილ-ნამუსს რომ არ ეჭიროს, ჩამოინგრეოდაო.
კარგია, რომ სულ მაღლაა, თორემ ჩიტის ბუდესავით
ჩამოიშლებოდაო.

ცარიელა ტომარა ფეხზე ვერ დადგებაო.
ცარიელი მუცლის მქონეც დაბარბაცდებაო.

ცარიელ ჯამში ხელს არავინ ჩაყოფსო.
კარგი მშობელი შვილებს არ გაყოფსო.

ცა წვიმდა და დედამიწა არ უმადლოდაო.
ცა წვიმდა და ნათესსაც უხაროდაო.

ცდა ბედის მონახევრეაო.
მეუღლეც ცხოვრების მონახევრეაო.

ცეცხლი თივაში არ დაიმალებაო.
ზოგჯერ მეხანძრეთა რაზმსაც ცეცხლი ემალებაო.

ცეცხლთან და თოფთან თამაში არ ვარგაო.
ხანძრით გამოწვეული ქალის კივილი თოფივით გავარდაო.

ცეცხლი რკინას აფოლადებს, გაჭირვება—კაცსო.
თოთოს აჭმევ შოკოლადებს,—შებრალება გაქვსო?!.

ცეცხლი უგულოდ ხარობს, კაცი—გულითაო.
კაცმა უნდა იამაყოს გულითა და რჯულითაო.

ცეცხმოდებულ გულს წყალი ვერ გაანელებსო.
მხიარულ კაცს წლები ვერ დააბერებსო.

ცეცხლო, შენ დამწვი, შენვე მიშველეო.
სახლ-კარი გადამიბუგე, დავრჩი შიშველიო.

ციებაც მაშინებს და ცხელებაცაო.
დაცემინებაც და ხველებაცაო.

ცვარი ცვარსა ჰკარ—ზღვად იქცევაო.
ყინული გაადნე—წყლად იქცევაო.

ცივი თონე პურს არ დაიკრავსო.
კარგი შვილი ჯოხს არ დაიკრავსო.

ცილისწამება ნახშირია, თუ არ დაგნვავს, გაგსვრის მაინცა.
ცილისწამებას ბევრი გაუსვრია—ალალიცა და ბევრი სხვაიცა.

ცის ვალი დედამიწას არ შერჩება, დედამიწას—ცისაო.
მტვერი პირში ჩაგეყრება, თუ გაუხსნი პირსაო.

ციხეს კარი უნდა, კარს—კაციო.
აქედან გაჩნდა კარების მცველი, ანუ კარისკაციო.

ციხე შიგნიდან გატყდებაო.
ნამდვილი დამნაშავე ადვილად არ გამოტყდებაო.

ცოდვის ჩამდენს მალე მოეკითხებაო.
გიჟსა და გადარეულს რაღა მოეკითხებაო.

ცოდვა გამჟღავნებული სჯობიაო.
გაუმჟღავნებელი ცოდვა უფლის დასაგმობიაო.

ცოდვილსა ცოლი რად უნდა, ცოდვაც ეყოფა ცოლადო.
ბახუსის ძმაკაცი თუ ხარ, არ გამოდგები მძღოლადო.

ცოდნა გონების ფარია, თუ რომ არავინ არია.
თუ ვინმემ მაინც არია, მისი სიბრიყვის ბრალია.

ცოდო ან თავს მოეწევა კაცს, ან ბოლოსო.
ისა სჯობია, რომ ცხვარმა მწვანე ბალახი ძოვოსო.

ცოლის ღალატს ყველაზე გვიან ქმარი შეიტყობსო.
ცოლის ღალატს რომ შეიტყობს, სირცხვილი შეიპყრობსო.

ცოლსა დიდი ცომი უნდა, ასი ლიტრა საფანელიო.
ცოლი სავაჭროდ წავიდა, გაცურა დარდანელიო.

ცოლს თავისი ქმარი ლომი ეგონაო.
ჯუნგლებში უნდა ეცხოვრა, რომ მართლა ლომი ეპოვნაო.

ცოლ-ქმრის ამბავი მხოლოდ ლოგინმა უნდა იცოდესო.
თუ სადმე გასცა ლოგინმა, სირცხვილით უნდა იწვოდესო.

ცოლ-ქმრის ჩხუბი რეგვენს მართალი ეგონაო.
რეგვენი რას მიხვდებოდა, მართალი როგორ ეპოვნაო.

ცოდნა ზარბაზანზე ძლიერიაო.
ასაკითაც საკმაოდ ხნიერიაო.

ცოტავ სად მიდიხარ და ბევრთანაო.
იქიდან კი—სალოცავად მღვდელთანაო.

ცოცხალი რომ არ გიყვარდი, მკვდარს რაღას მეფერებიო.
როცა მსურდი, შორს იყავი, ახლა რას მეჩვენებიო.

ცოლი მყავდა მასხარაო, მე მრცხვენოდა, მას არაო.
დღეში სამჯერ გამეტებით მე მირტყამდა, სხვას—არაო.

ცოლი უნდოდა, ცოლეურები—არაო.
შრომის დროს ჩრდილში წამოწვა, ხელში უჭირავს მარაო.

ცოცხალნი მზესა და სიკვდილს ვერსად დავემალებითო.
თხელი და სქელი ერთმანეთს როგორ დავეზმანებითო.

ცრემლი კაცის გულის მჭამელიაო.
ამდენი დაპირებებით გული მთლად დამელიაო.

ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობიაო.
ის, რაც მოხდა აფხაზეთში, ძნელი მოსათხრობიაო.

ცუდია იგი მამაცი, დიაცმა შეაშინოსა.
ოჯახს ბარაქას დაულევს გადაყოლილი ღვინოსა.

ცუდი მწყემსი თვითონ არა ჭამს, ცხვარს და მგელს კი შეაჭმევსო.
ლოთი თვითონაცა სვამს და სხვასაც ბლომად შეასმევსო.

ცუდი ქალი კერას მიაგავს ნაგავსო.
ქალი კარებზე მიაბამს ზედ კავკასიურ ნაგაზსო.

ცული პატარაა, მაგრამ დიდ ხეს წააქცევსო.
გაჭირვება და შიმშილი საზღვარგარეთ გააქცევსო.

ცუდი კაცი აქე და ერიდეო.
თუ ისურვა ცოლის თხოვა, ნუ გაჰყვება ფერიდეო.

ცუდი შვილი მამა-პაპურ სახლ-კარს დაშლისო.
არის თუ არა საჭირო, ქუჩაში სუფრას გაშლისო.

ცუდი ცოლის პატრონს ჭირში რა უნდა, ჭირი შინა აქვსო.
ერთი შვილის პატრონს ხუთი მანქანა და ხუთი ბინა აქვსო.

ცუდს აჰყვები და გადაჰყვებიო.
ისე გაგიხდის საქმეს, რომ ფანჯარიდან გადახტებიო.

ცული ხეს შესჩიოდა, ნახევარი შენი ბრალიაო.
დავრჩით სუფთად პენსიაზე, ვაი ჩვენი ბრალიაო.

ცხენს მისივე ფეხები იპარავსო.
ცხოვრების გზას ზოგიერთი მარტოდ-მარტო იკვალავსო.

ცხვარი ვის კარებზედაც დაიბღავლებს, იმისი არისო.
უნდა გეშინოდეს ლოთის ახირებული შარისო.

ცხვარი რომ მობრუნდება, კოჭლი წინ მოექცევაო.
მწყემსს თუ ბოზბაში მოუნდა, ცხვარი ქვაბს მოექცევაო.

ცხენსაც გავხედნი და ნათლიმამასაც ვნახავო.
შენ კი უმიზნოდ დადიხარ, მიწას ტყუილად ლახავო.

ცხვარი ერთხელ ტყავდებაო, კაცის გული ქვავდებაო..
თუ კი რამე აბადია, კუდამდე გატყავდებაო.

ცხვარი ცხვარია, თუ გაცხარდა, ცხარიაო.
კაცის სევდა, მისი ცრემლი ძმარზე უფრო ცხარეაო.

ცხვარს იალაღი ალაღებსო.
ცხვარს ბატკნის სიყვარული აბღავლებსო.

ცხვარს ცხვართან, კაცს კაცთან მოსძებნიანო.
დამნაშავეს და უცოდველს,—ორივეს ერთად სჯიანო.

ცხვარი ცხვართან მივა, თხა—თხასთანაო.
როგორც სახლში მოიქცევი, მასვე იზამ სხვასთანაო.

ცხვირს რომ დაისველებ, ლოყებიც თან მიჰყვებაო.
შენი ბოღმა, შენი შური საფლავში თან ჩაგყვებაო.

ცხრა რძალი მოვიყვანე და ცხრა თავი საქმე მომეცაო.
ყველამ თავისი ითხოვა, მამულიცა და ღობეცაო.

ცხრა დედაკაცის ჭკუა ერთი თხილის ნაჭუჭში ეტეოდაო.
ახალგაზრდას ქალის ჟინი გულს ვეღარ ეტეოდაო,
სახლამდე ვეღარ ითმენდა, ქუჩაში ეხვეოდაო.

ცხრა ძიძის ხელში ბავშვი შიმშილით მოკვდაო.
ცხრა დადუნებულ ძიძასა—ერთი ყოჩაღი სჯობდაო.

ცხვირი პირიდან როგორ მოიჭრებაო.
პირი უჭმელ-უსმელად როგორ მოისვრებაო.

ცხრა კბილს გადმოსული სიტყვა ცხრა მთას გადასცდაო.
ცხრა მთას იქით გასროლილი მე—საცოდავს არ ამცდაო.

ცხრა ძმას ცხრა ხარი ბევრი ეგონაო.
უმჯობესია ცხრასავე ცხრა წყვილი კიდევ ეპოვნაო.

ძ

ძალა აღმართსა ხნავსო.
ძალა აღმართსაცა ხნავს და დაღმართსაცო.

ძალა ერთობაშიაო.
ღონე ერბოს ქვაბშიაო.

ძალა სჭრის და სამართალი—არაო.
დალაქის მარჯვენა სჭრის, სამართებელი—არაო.

ძალად ბედს ვერავინ იშოვნისო:
ცხოვრებაში ტოლი—ტოლს და შესაფერისს იპოვნისო.

ძალად გამღერებენ: "ვარდო ნანინაო".
გაგსრესენ და გაგთელავენ,—მეტი რა გინდაო?!.

ძალად დასმული კრუხი ნიწილებს ვერ გამოჩეკსო.
ახალ ფეხსაცმელს ძირი გასძვრა, ფუი, მე შენს გამომშვებსო!..

ძალად წართმევა გამიგონია, ძალად მიცემა—არაო.
ძალით არასდროს მიშოვნია რა, რაც გავეც ძალით,—კმარაო.

ძალიან ნუ აიწევი, მაღლა ღმერთიაო.
დედა და ჩვენი სამშობლო,— ამ ქვეყნად ერთადერთიაო.

ძაღლები შეყრაში ჩხუბობენ.
ძმები კი—გაყრაშიო.

ძაღლი ახსენე—ჯოხი მოიმარჯვეო.
ვერ იცოცხლებ, ვერ იცხოვრებ, თუ არ გაისარჯეო.

ძაღლი გულსა სცნობსო.
ზოგი კაცის გული კი მხოლოდ ფულსო.

ძაღლი თავის ეზოში დიდგულიაო.
ძაღლს ოთახში ნუ ამყოფებ, ბინძურიაო.

ძაღლი დაასაქმეს და იმანაც თავისი კუდიო.
ცხოვრებაც ძაღლის კუდივით არის ზოგისთვის მრუდიო.

ძაღლი ვინც მოკლა, იმანვე გადაათრიოსო.
მერცხალი სითბომ მოაფრინა და სიცივემ გადააფრინოსო.

ძაღლი ვის პურსაც ჭამს, იმის კარზე ყეფსო.
ყველას სწორად პასუხობდე, ნუ უკვლანჭავ გზებსო.

ძაღლი იყეფებს და გაჩუმდებაო.
თუ არ აჭამე, სხვაგან ივლის და გასხვისდებაო.

ძაღლი კოჭლობით არ მოკვდებაო.
ჩახმახი თავისით არ მოსხლტებაო.

ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობსო.
ძაღლსაც პატრონი ვეღარა სცნობსო.

ძაღლისგან ბატკანი არ დაიბადებაო.
მგლოვიარე დედაკაცს ღაწვი დაეღარებაო.

ძაღლის კუდი არ გასწორდებაო.
გახურებულ თონეში პური არ ჩაცომდებაო.

ძაღლი საცა სვლეპს, იქა ჰყეფსო.
კაცი საცა სთესავს, იქა ჰკრეფსო.

ძაღლი ძაღლის ძვალს არ გასტეხსო.
ძაღლი ძაღლსაც ჰკბენს და სახლის გამტეხსაცო.

ძაღლის მადლიერი კატა ვერ იქნებაო.
ძაღლისა და კატის მეგობრობა არ ითქმებაო.

ძაღლის ნაკბენს ძაღლის ბალანი მოარჩენსო.
ძაღლი თავისი გონიერებით სასწაულს მოახდენსო.

ძაღლის ყეფით და მამლის ყივილით სოფელი არ აშენდებაო.
უხრეშოდ და უასფალტოდ გზები არ დაიშვენდებაო.

ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდისო.
ვერ გაიგებ, ბაზრობაზე ვინ რას ჰყიდისო.

ძაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო.
კურდღელს რომ დაინახავდა, მოსაშარდად გარბოდაო.

ძაღლმა ყეფა, გველმა კბენა არ იცოდა, კაცმა ასწავლაო.
შვილმა დედა ჯვარს გააკრა, ბევრი აწამაო.

ძაღლს პატრონის სიყვარული აბერებსო.
კაცს ზედმეტი მწუხარება ახევებსო.

ძაღლს ძვალი არ ეთმობოდა. არც ეხვრებოდაო.
ძაღლს მ̣რუდე კუდი არც უსწორდებოდა და არც ეხრებოდაო,

ძაღლს ძვლის ხვრაში ახლოს ნუ მიუხვალო.
ძაღლს ძვლების ხვრა ურჩევნია, თუ გინდ ოქრო მიუყარო.

ძეძვზე ძეძვი ამოვაო.
მთიდან ზვავი წამოვაო.

ძველი კაცის ნათქვამიო,—ხშირად არის მართალიო.
მართალს—ქათმის ბარკალიო, მტყუანს ქათმის ნაწლავიო.

ძველი წინდა და ნაბადი ზამთარში გამოგადგებაო.
მაშინ წინდა რაღად გინდა, ბუღი თუ ჩამოწვებაო.

ძილი სიკდილის ძმა არისო.
განა ყველა ძმა—ძმა არისო?!.

ძმა თუ არ̣ა გყავს, სხვას ეძმე, უძმოდ სიკვდილი ძნელია.
ძმაკაცს მიენდე უსიტყვოდ, სჯობს მეგობრობა ძველია.

ძველი ქვევრი კარგ ღვინოს ინახავსო.
მოხუცი თავის პენსიით შვილიშვილებსაც "ინახავსო".

ძილის წინ სიზმარი ვის უნახავსო.
ლამაზი გოგონა თვალებს ყველას უნაბავსო.

ძილს თავისი დრო აქვს, ლაპარაკს—თავისიო.
მოსვენებას აღარ მოგცემს, თუ კი თავზე დაისვიო.

ძილს ძილი მოაქვსო.
ფულს ფული მოაქვსო.

ძმა მაშინ მოგაგონდება, შვიდნი რომ გცემდნენ მარტოსა.
ძმა მაშინ მოგედავება, თუ რამე დაეკარგოსა.

ძმამ ძმას ანგარიში უყო და ისევ ძმები დარჩნენო.
ნუ ავიწყდებათ ძმებსა, რომ ერთი მუცლიდან გაჩნდნენო.

ძმობის ციხეს საძირკველი მტკიცე აქვსო.
ძმობის ციხეს ნუ გატეხ და ნუ ჩაიდენ საძრახავსო.

ძნელი საქმე ძაღლია, თვითონ გამოსწორდებაო.
ჭირი თუ შემოგეჩვია, ძნელად ჩამოგშორდებაო.

ძროხა ხბოს იგებდა და მოზვერს ეშინოდაო.
ვაჭარი ფულს იგებდა და გულზე ეშვებოდაო.

ძუნწ კაცს საფლავიც კი ეგანიერებაო.
სხვის ქელეხში შილაფლავი ეგემრიალებაო.

ძმას გაეყარე და მტერს გაიჩენო.
თუ არ იშრომე, თავს ვერ დაირჩენო.

ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო.
და არა ერთმანეთის მოსპობისთვისაო?!.

ძუნნი კაცისა ჯამშია ლუკმა არ დასველდებაო.
პური თონეში გამხმარი სულაც არ დაობდებაო.

ძუნნის ოქროები სხვას დარჩებაო.
უთვალავი სიმდიდრის ზღვაც დაშრებაო.

ძუნნმა თაფლი მისცაო.
ლოკვით უკან მიჰყვაო.

წ

წადი და მოდი, განა წადი და მოკვდიო.
არ ველოდი და უეცრად რესტორანში მოვხვდიო.

წაბაძულობით ვაციც დამაკდაო.
ომში რამდენი ვაჟკაცი და ახალგაზრდა დაგვაკლდაო.

წავიდა დღე და არა ფათერაკიო.
არ გეგონოს თავი სანდრო კნდელაკიო.

წამგლეჯთა მფარველი წამგლეჯიაო.
ჭიანი კბილი ზედვე აქვს, საღი კი მოგლეჯიაო.

წასვლა სჯობს წარმავლისა, არ დაყოვნება ხანისა.
მონატრება გვაქვს დღემუდამ ჩვენი მშობლიურ მხარისა.

წაქცეულს არა სცემენო.
დავრდომილს პატივს სცემენო.

წაქცეულს ფეხი არ უნდა დაადგაო.
უამინდობაში ფეხი არსად არ უნდა გაადგაო.

წახედულობამ წამწყმიდაო.
ლოცვა-კურთხევამ გამწმინდაო.

ნელინადში ერთხელ ნეხვიც აყვავდებაო.
დღეში ერთჯერ ლუჩუნაც გაბრაზდებაო.

წვიმა კი მოვა, მაგრამ ქვეყანას ვერ გადასწვდებაო.
ჯაჭვით დაბმული ნაგაზი ადვილად ვერ მოგწვდებაო.

წვეთ-წვეთობით ქვაც კი გაიხვრიტაო.
ვერ შექმენი ოჯახი, ვერ დაიდე დვრიტაო.

წვეთი-წვეთსა და ნიაღვრად იქცევაო.
ნიაღვრისგან მუხაც კი წაიქცევაო.

წინდაუხედავი და აჩქარებული ბევრს წააგებსო.
თავის თავის საზიანოდ მახეს დააგებსო.

წისქვილის ქვები ერთურთს რომ არ ეხმარებოდნენ, ვერ დაფქვავდნენო.
გალიაში ქათმები კვერცხს ვერ დადებენ, რადგან მიწას არ ქექავენო.

წისქვილმაც ჩემი ფქვასო, ქვეყანამაც ჩემი თქვასო.
გაგიმხელთ გულის თქმასო—გუთანმაც ჩემი ხნასო.

წიწილები შემოდგომაზე დაითვალეო.
მაღაზიიდან ნავაჭრი დღის ბოლოს დაითვალეო.

წითელი კვერცხი—აღდგომისთვისაო.
თეთრი ღვინო—დათრობისთვისაო.
სუფთა ლოგინი—დაწოლისთვისაო.

წითელი ძაღლი ტურის ბიძაშვილიაო.
ნაბოლარაც შვილიაო, თანაც უფრო ტკბილიაო.

წითელი ხარი მოკვდაო, წითელი ხარი დარჩაო.
მისი უეცრად სიკვდილით გულში ნაღველი ჩამრჩაო.

ნინა კაცი უკანასი გზა და ხიდიაო.
ზოგჯერ წინა კაცს უკანა ფეხებზე ჰკიდიაო.

ნინწასული მელაო უკან ჩამორჩებაო.
დაიღალა მელაო, აღარა აქვს შველაო.

წინ—წყალი, უკან მეწყერიო.
ღმერთს რა პირითღა შესცქერიო.

ნისქვილს წყალიო, გუთანს ხარიო.
ხოდაბუნები ხანი და ხანიო.

ნინილამ თქვა: მე რომ ბედი მქონებოდა, დედაჩემს ძუძუები ექნებოდაო.
მამაჩემს კი—დეზების ნაცვლად ქამარ-ხანჯალი ერტყმებოდაო.

ნნელი პატარაობისას თუ არ მოგრიხე, დიდი აღარ მოიგრიხებაო.
ბავშვიც პატარობისას თუ არ მოდრიკე, დიდი აღარ მოიდრიკებაო.

ნნორი წყლის პირას ხარობსო.
ბრინჯი ჭაობში გვარობსო.

ნლის საფიქრალი წუთის გასაკეთებელიაო.
ნლის ნაშრომით წუთის სარჩო რა დასაფასებელიაო.

ნმიდა ბერი ნმიდად ნაწყდაო.
მარხვისა და შიმშილისგან ნელში მთლად გადაწყდაო.

ნმინდა გიორგი ვისაც წყალობს, ღმერთიც იმას წყალობსო.
მღვდლისგან უზიარებელი მომაკვდავი ძლიერ ნვალობსო.

ნუნია პატარძალი უქმრობითა კვდებოდაო.
ასე თანდათანობით სამოცისა ხდებოდაო.

წყალი ნაყე, ნაყე, ისევ წყალიაო.
კახეთში მოსავლიანია რქაწითელი, მწვანეაო.

წყალი სათავიდანვე აიმღვრევაო.
საქმე გაუგებრობით თავიდანვე აირევაო.

წყალი ყველაფერს გარეცხს, ნამუსს—ვერაო.
სიცხით გათანგულს, გულწასულს, მხოლოდ წყლით უნდა შველაო.

წყალგაღმა გაედავე, გამოღმა დაგრჩებაო.
"გამოღმით მე ვარ, გაღმით—შენ",—სიმღერა ამოგხდებაო.

წყალზე ვინც გადო ხიდიო, იმან საქმე ქნა დიდიო.
ნერვიულობა არ გარგებს, იყავ ყოველთვის მშვიდიო.

წყალი არ ენახათ და ტანთ იხდიდნენო.
წყალი არ ჰქონდათ და გადასახადს იხდიდნენო?!.

წყალი რომ დაგუბდება—აყროლდებაო.
მოუვლელი ღვინოც აშმორდებაო.

წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო.
შვილები წავლენ, წამოვლენ, ცოლ-ქმარნი დარჩებიანო.

წყალში დამხრჩვალს წყალს აძლევდნენო.
ბავშვს დაბადებიდანვე ცურვას აჩვევდნენო.

წყალწყალებული ხავსს ეჭიდებოდაო.
ხავსთან ჭიდილშიც ეძინებოდაო.

წყევლა—მაწყევარსაო.
რძე კი— მაწოვარსაო.

წყალმაც დაბალზე გადაიარაო.
იარა, იარა და ოკეანეში ჩაემდინარაო.

წყალში ვდგევარ, ცეცხლი მიკიდიაო.
ჩვენი გასაჭირი მავანს და მავანს ფეხებზე ჰკიდიაო.

წყალში იდგე და მწყურვალე კვდებოდეო?..
დასველებული წყალშივე შრებოდეო?..

წყალში ჩავარდნილი მშრალად ვერ გამოხვალო.
მთელი თვის სახნავს ერთ დღეს ვერ გამოხნავო.

წყლის წყურვილს ნამით ვერ მოიკლავო.
წყაროს წყალს საცრით ვერ მოიტანო.

ჭ

ჭადარი ცამდე იზრდებაო, მაგრამ ნაყოფს არ იძლევაო.
ზოგი ისე ცხოვრობს ადგილიდან არ ინძრევაო.

ჭამაში ძაღლიც გაჩუმდებაო.
ბევრი ლაქლაქით ენაც დაჩლუნგდებაო.

ჭამამ რა მიყო, ლოკვა რას მიზამსო?
ჯაბამ რაც გიყო, სხვა ვერ გიზამს და არ ასცდა მიზანსო.

ჭამა ქონებაზე ჰკიდიაო.
ქონება თუ გაქვს, ცხოვრება მშვიდიაო.

ჭამა—ძღომამდე და სმა—თრობამდეო.
მარხვა შობამდე და აღდგომამდეო.

ჭამით უნდა გაძღე და არა გასკდეო.
მშვენიერი ტანი გაქვს, რატომ უნდა წახდეო?!.

ჭიანი კბილი კაკალს ვერ გატეხსო.
უპირო კაცი მეგობრობის ფიცსაც გატეხსო.

ჭიას რომ ფეხს დაადგამენ, ისიც ხმას ამოიღებსო.
კაცს უღელს რომ დაადგამენ, ხმას ვეღარ ამოიღებსო.

ჭინჭრაქა გულაღმა დაწვა, ცა რომ ჩამოინგრეს, ფეხებით დავიჭერო.
ქალს თუ ოჯახი არ უყვარს, ვერაფრით ვერ დაიჭერო.

ჭინჭარის ადგილას ჭინჭარი ამოვაო.
ჭინჭრისაგან კარგი საჭმელი გამოვაო.

ჭირვეული მაყარი ლხინსაც სცდებოდა და ძილსაცაო.
ფეხსაცმლის უდიერი ხმარებით პირსაც ცვეთდა, ძირსაცაო.

ჭირვეულობა ჯერით უნდაო.
ლხინი კი—მღერით უნდაო.

ჭირი და ლხინი—ორივ ძმები არიანო.
მაგრამ ორივე სხვადასხვა ხმაზე მღერიანო.

ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსო.
თავი უნდა ინუგეშო, როცა რამე გიჭირსო.

ჭირს ნუ დაუწვები, უფრო დაგაწვებაო.
როცა მაგრად დაუდგები, ჭირი დაბლა წვებაო.

ჭერქვეშ ნათქვამი ზღურბლს არ უნდა გადასცილდესო.
ჭურჭელი ისე დააწყვე, ძირს არ გადაცვივდესო.

ჭირი თუ დამალე, ჭირი თვითონ დაგმალავსო.
ჩამოგახმობს ჩონჩხივითა, მერე ცოცხლად დაგმარხავსო.

ჭირუნახავმა ლხინისა რა იცისო.
ლხინის შემდეგ ზოგმა მთვრალმა თავში მუშტის კვრა იცისო.

ჭკვიან კაცს სისულელე თან დასდევსო.
ჭკუა ჰკითხე ჭკვიანი კაცის გამზრდელსო.

ჭკვიანი რომ გაბრიყვდება, ბრიყვზე უარესიაო.
ყვავილებში ვარდი ულამაზესიაო.

ჭკვიან კაცს დარშიც მიაქვს ნაბადიო.
მიაქვს და თან მიიმღერის: "მე ვარ და ჩემი ნაბადიო"...

ჭკუა საქმით გამოჩნდებაო.
ზოგი საქმეს ხელს არ ჰკიდებს, თუ არა გამოდნებაო.

ჭკვიანის ენა მოკლეა, უჭკუოსი—გრძელიო.
ჭკვიანის ენა ადვილი გასაგებია, უჭკუოსი—ძნელიო...

ჭკუა ძალზე ძლიერიაო.
დღეს ჭკუის პატრონი ხშირად მშიერიაო.

ჭკუა მასპინძელია, სწავლა სტუმარიო.
მასპინძელო ლაპარაკით სტუმარს ნუ დაღლიო.

ჭკუა ყველასა აქვს, მაგრამ ყველა ვერ იყენებსო.
კაცი ხშირად კარგ ყოფას ვერა და ვერ იფერებსო.

ჭკუა ხანში შესულებში კი არა, თავშიაო.
ჭკუა ჯერ არ მოსვლია, — ორმოცი წლის "ბავშვიაო".

ჭკუამ რა მიყო და — თავში რაკუნიო.
უჭკუობამ რა მიყო, თავი ორად გამიპო.

ჭკუამოკლე დაიწყებს და აღარ დაამთავრებსო.
დასწრებულს დაიწყებს, დაუსწრებელს დაამთავრებსო.

ჭკუის წვიმა რომ იყო, ქოლგა ხომ არ გედგაო?
ქოლგა არა, მაგრამ რა ვქნა, — ეს მარგუნა ბედმაო.

ჭორიანი კვდება, ჭორი რჩებაო.
ყოველ წუთში ახალი ჭორი ჩნდებაო.

ხ

ხალხზე მეტი მსაჯული არავინ არისო.
მოსამართლე და მსაჯული ხშირად მონაა ლარისო.

ხალხი ერთფერი არ არის, ღმერთმა ნურც გააერთფეროსო.
ჩვენი მტერი და დუშმანი ღმერთმა ნურც გაათეთრწვეროსო.

ხამი კაცი ხამ ადგილას ცეტიაო.
ხარბი და ავი თვალი შანთით დასაშრეტიაო.

ხან სულ არაო, ხან კი არხალალოო.
ნახირი რომ არა მყავს, მინდორში რა გავლალოო.

ხანჯლით დაჭრილი მორჩება, ენით დაჭრილი არაო.
ზაფხულის სიცხით გათანგულს ხელში გეჭიროს მარაო.

ხარბის გულს მეტი რა გააძღებსო.
გატეხილ ან გაბზარულ ქვევრს ღვინო როგორ გაავსებსო.

ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო.
ორი ხარი გახდებაო—უღელს კარგად გასწვდებაო.

ხან ცა იცინის, ხან მიწაო.
მოგვენატრა სოჭი, გაგრა, ბიჭვინთა და რიწაო.

ხანდაზმულ კაცს სიზმარიც დაეჯერებაო.
ზედმეტად ნასვამ—ნაჭამსაც მუცელი გაებერებაო.

ხარბის თვალი არ გაძღებაო.
ღმერთმა მოგცეს კაი გაძლებაო.

ხარმა ხარს ურქინა და თივაზე მიაგდოო.
კაცმა სიდუხჭირეს უთმინა და... სული უფალს მიანდოო.

ხე დარგე და ხე ამყნე, შვილიშვილს გამოადგებაო.
მოულოდნელად ხიფათი, ან დარდი გამოვარდებაო.

ხატს სულ მუდამ ვერ მოეფერებიო.
უგუნურ შვილს ზოგჯერ ურჩხულად მოეჩვენებიო.

ხბომ თუ არ დაიბღავლა, ისე ძუძუსთან არ მიუშვებენო.
ბავშვს დაბადებიდანვე თავის ულუფას მიუჩენენო.

ხე არსად იყო, ეშმაკები სახლს აშენებდნენო.
დურგლები და ხუროები სახლებს ამშვენებდნენო.

ხე ნაყოფით იცნობაო.
შვილი თავის მამასავით ღვინის ქვევრში იხრჩობაო.

ხემ მოისხა ხილიო, რაც მამა-ის შვილიო.
მამა ხილს ვერ ყიდულობს, ადგას გასაჭირიო.

ხელი ხელს ჰბანს, ორივე კი—პირსაო.
შენც როცა დამნაშავე ხარ, სხვაზე ნაუ იტყვი ძვირსაო.

ხელმწიფემ ერთი დღის სიცოცლისთვის ძაღლის ლეკვი შეჭამაო.
გაიარა ძველმა დრომ და ხელმწიფეთა ძერწვამაო.
დღეს და ხვალ თუ ვერ წავიდა, ნუ იჩქარებს, ზეგ წავაო.

ხეს იმ ტოტს ნუ მოსჭრი, რომელზდაც ზიხარო.
გარეთ ყველგან გამოავლენ,—რა ჯიშის და ზნის ხარო.

ხელი—ხელსა, გოჭი მგელსა.
ფეხი-—ფეხსა, ღვინო—ყელსა.

ხელში ნაჭერი კეთილი შეგვექმნა საძებნელიო.
ლარი—საჭმელად ადვილი, საშოვნელად კი—ძნელიო.

ხემა თქვა: ცული ვერაფერს დამაკლებს, შიგ რომ ჩემი გვარისა არ ეჩაროსო.
მარტო ცული ხეს ვერას დააკლებს, მისი ტარი კაცს რომ არ ეკავოსო.

ხეს ნიავი იქითკენ გადახრის, საითაც დაუბერავსო.
ყველა მსახურად გაიხდის წყნარსა და გაუბედავსო.

ხევსური სულ თავის ცხენს და თავის სოფელს აქებსო.
ცხადათაც და სიზმარშიაც ციხე-კოშკებს აგებსო.

ხელიდან წასულს ფეხით ვეღარ იჭერენო.
ქურდსა და ავაზაკს ბოლოს მაინც იჭერენო.

ხელმარტო კაცი ჭამაშიაც ცოდვააო.
სიტყვა, ჰაერზე ნათქვამი, არაფრის მთქმელი—ბოდვააო.

ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა.
ფონი სჯობია მორევსა, წყალი ვერ დაგიმონებსა.

ხე ფესვითა დგას, ადამიანი მოყვრითაო.
კაცი ფეხზე დგას პატივითა და მოვლითაო.

ხეხილი რომ დაისხამს, დაბლა ტოტებს დაიწევსო.
კაცი ჯიბეს გაისქელებს, წარბებს მაღლა აიწევსო.

ხვალ გაიგებ ჭიანურის ხმასაო.
ნუ დასჩაგრავ მოყვარეს და ძმასაო.

ხილი ჭამე, მეხილეს რას კითხულობო.
რომ იპარავ, ყველა გხედავს, ტყუილად რად ფიცულობო?!.

ხილს რომ პირი ჰქონდეს, თავის თავს თვითონვე შეჭამდაო.
თუ სიცილი არ უნდოდა, კბილებს რათა კრეჭავდაო.

ხინჯი წყალს მიჰქონდა და ცხრა სოფელი წახინჯაო.
ადიდებულმა ღვართქაფმა მთელი სოფელი მოგლიჯაო.

ხმალი ქარქაშში არ მოტრიალდებაო.
შვილი მარტო ცემით არ მოჭკვიანდებაო.

ხვალინდელ ვარიას დღევანდელი კვერცხი მირჩევნიაო.
სულ არარაობას... მეფის გვირგვინი და კვერთხი მირჩევნიაო.

ხიდი რომ გაიდება, ყველა ზედ გადაივლისო.
კარი რომ გაიღება, ძაღლიც სახლში შეივლისო.

ხმა ღვთისა და ხმა ერისაო.
ერთ-ორ სტუმარს მოევლება, გეშინოდეს ბევრისაო.

ხმალი მქონდა გაჩრილი, ახლა შუბიც მკრესო.
არ მაკმარეს სასჯელი, კეტი თავში მდესო.

ხმელ შეშასთან ნედლიც იწვისო.
გინდა რცხილის და გინდა ფიჭვისო.

ხმლის სიმოკლე ნუ გაშინებს, ფეხი წადგი წინარეო.
როცა გლვიძავს, ვერას ამბობ, რაღას იტყვი მძინარეო.

ხორბლის ხვავი ოქროს ხვავს სჯობიაო.
მომხვეჭელი, ოქროს მთვლელი—კაცად რა საცნობიაო!..

ხოხობიც დაიჭირა და ბარდებიდანაც გაუკანრავი გამოძვრაო.
ნაქურდალიც შერჩა და ციხიდანაც ვადაზე ადრე გამოძვრაო.

ხოხობს თავი დამალული ჰქონდა, ბოლო კი უჩანდაო.
თოთოს თვალები დახუჭული ჰქონდა, მაგრამ ძუძუს ენას
უსვამდაო.

ხუთშაბათის წვიმა ხუთშაბათამდეო.
მთელი კვირა მოგწყინდება წვიმიანი დღეო.

ხუცესმა უთხრა ხუცესსა: აღაპი არის რუსეთსა.
უცხოთა პური რომ არა, რა ეშველება მუცელსა.

ხუცესს ხუცობა გაუვიდა და ცოცხლებს დაუწყო მარხვაო.
მღვდელს ხორცის გემო გაუტკბა, სულ დაივიწყა მარხვაო.

ჯ

ჯამში თუ არაფერი ჩაჰყარე, იქიდან ვერას ამოჭამო.
რაც დაგვემართა, დაგვმართა მოძმის წიხლის ამოკვრამო.

ჯალაბში დიამბეგობა კარში არ გამოდგებისა.
ძირს დაცემული მოხუცი ძნელადღა წამოდგებისა.

ჯალაბში ყოფნა დიდი ბატონობაა.
სიკეთე თუ გინდა, ქვრივსა და ობოლს გაუწიე პატრონობაო.

ჯარი წავიდა და თოფებს უტკაცუნებდნენო.
უსაქმურობისაგან რა ექნაო,—თითებს იტკაცუნებდნენო.

ჯანმრთელი მათხოვარი ავადმყოფ მეფეს სჯობიაო.
დიდი ხნის წინათ ნათქვამი,—ბრძენთაგან მონათხრობიაო.

ჯანმრთელობიდან ავადმყოფობამდე ერთი ნაბიჯიაო.
დროზე ცოლი რად არ მოგყავს, ყველა მასინჯიაო?!.

ჯარავ, ჯარავ ბზიო, ნართი დამირთეო.
ბები, წინდა მომიქსოვე, ფეხი გამითბეო.

ჯერ რა იყოო, ორად გაიყოო.
ჯერ ბავშვი იყო, მერე ყრმა იყოო.
ლოთის ცხოვრების მიზანი მხოლოდ და მხოლოდ სმა იყოო.

ჯერ არ მიჭამია და მუცელს მგვრემს, ვჭამო და რა იქნებაო.
არავითარი საკვები თავისით არ იქმნებაო.

ჯერ ბოსელი, მერე ნახირიო.
სულ ცურვა-ცურვით მიაღწევ, თუ ჩანს ნაპირიო.

ჯერ გადახტი და "ჰოპლა" მერე თქვიო.
წინასწარ ნუ იკვეხნი, ნურც თხასავით ხტიო.

ჯერ არ მინდოდა შობა, მერე სიკვდილიო.
მჯერა ამ აზრისაა ყველა ღვთისშვილიო.

ჯერ გავუშვებ მელასაო, მერე ვუწყებ სტვენასაო.
მერე კიდევ წავუმღერებ: "ოდელია, დელასაო!".

ჯერ თავო და თავოო, მერე ცოლო და შვილოო.
ჯერ მიწავ და ცაო,—მერე სხვაო და სხვაო.

ჯერ მითხარი ჭინჭველაო, მერე მისი თირკმელაო.
რომ დადიხარ, ძლივსა ჩანხარ,—კაცუნა ხარ იმხელაო.

ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასაო.
წიწაკის შემდეგ, ძმობილო, ტკბილი დაიდე ენასაო.

ჯერ ფონს იკითხავენ, მერე წყალში შევლენო.
როცა კაცი დაიხრჩობა, ნავით მერე "შველენო".

ჯიში იკითხე, ცხენი იყიდეო.
საქმეში გაერკვიე და მერე იტვირთეო.

ჯოხს რომ აიღებ, ქურდი კატა დაიმალებაო.
მიწა როცა დასველდება, კარგად დაიბარებაო.

ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც მიუმატესო.
სუფრას "ცოლიკაური" აკლდა, ისიც მოაქვს მათესო.

ჯოჯოხეთში ყვირილია და გაგონება კი არაო.
სამოთხეში ღიღინია, გინება კი არაო.

ჯოხი თუ არა გაქვს, გვერდში ვის უნდა მიუჯდეო.
ცოლი თუ არა გყავს, გვერდში ვის უნდა მიუწვეო.

ჯანმრთელობას ახალი ტანსაცმელივით გაფრთხილება უნდაო.
მაშინ კაცს ვეღარ უშველი, თუ კი გადაბრუნდაო.

ჰ

ჰა, ბურთი და ჰა, მოედანიო.
ჰა, ვიზა და ჰა, ჩემოდანიო.

ჰაი ვიდი აბასთუმანო, რა ბიჭი დავბერდიო.
თავის დროზე გაქცეულ ცხენს სირბილითა ვდევდიო.

ჰაი, ჰუი, ოხრობასა, ამისთანა მოყვრობასა.
რა სჯობია გაგებას და თბილ, ლმობიერ მოპყრობასა.

ჰა, შორს წასული და ჰა, შინ მოუსვლელიო.
ჰა, თავგასული და ხესავით მოუქნელიო.

ჰაცა, ვირო, ნუ მოკვდები, გაზაფხულზე იონჯა მოვაო.
ვაი, თუ გაზაფხულამდე ვირმა დაიწყოს კვდომაო?!.

ჰა, ხუცესო, თავიო, შენ რისთვისაც ბღავიო.
თუ მოკვდები მთვრალიო, ზედ დაგჩხავლებს ყვავიო.

ჰკარ გარეულს, თორემ შინაური სად წაგივაო.
გიჟის პატრონს საქმეები უკულმა წაგივაო.

ჰკითხე ასსა, ჰქმენ გულისა.
ჰკითხე ასსა, მთასა, ბარსა, — ვის გაუღებ გულის კარსა.